პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

სამშაბათი, 7 დეკემბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 280 (1735)

დღიური

- საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა კუკი.
- ინგლისმა თავისი ელჩი ჩინეთში აღჭურვა საგანგებო უფლებებით.
- ბულგარეთის მთავრობამ აკრძალა ახალგაზრდა გლეხთა ყრილობა.
- იტალიაში დატუსაღებულ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებისათვის ჯერ არ წაუყენებიათ არავითარი ბრალდება.
- გაიხსნა საკავშირო პროფკავშირთა მე-7 ყრილობა.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. 8—81

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

დანიშნულია 1926 წ. 10 დეკემბრისათვის აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის **ქალ. განჯაში**

დღის წესრიგი:

1) აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება.
2) ამიერ-კავკ. საბჭოთა ფედ. სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობა.
3) განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენება.
4) ამიერ-კავკ. საბჭოთა ფედ. სოციალისტური რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი.
5) მოსახლეობის საკავშირო აღწერის ამოცანები და მისი წარმატებით ჩატარების პირობები.
6) ამიერ-კავკ. ცაკის იმ დეკრეტების დამტკიცება, რომელნიც მიღებული იქნენ ამ.-კავკ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ ამ.-კავკ. ცაკის მეორე და მესამე სესიამდე.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი—ა. შავერდოვი.

პროფკავშირების საკავშირო ყრილობა

გუშინ გაიხსნა საბჭოთა კავშირის პროფესიონალური კავშირების მეშვიდე ყრილობა.

ამჟამად პროფესიონალური კავშირები საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოადგენენ მძლავრ მასიურ ორგანიზაციას. ყველა კავშირთა წევრების რიცხვი მიმდინარე წელში აღწევს 8.768.200. თითქმის ყველა დაქირავებული შრომით მომუშავე გაერთიანებულია პროფესიონალურ კავშირებში. კავშირის წევრთა რიცხვის ზრდა საგრძნობი ტემპით მიმდინარეობს. მარტო უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში კავშირთა წევრების რიცხვმა 26 პროცენტით იმატა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა უმთავრესად მიმდინარეობს მუშების ანგარიშზე.

რიცხვობრივ ზრდასთან ერთად კავშირების მუშაობას ხარისხისა და თვისების მხრივ დიდი წარმატება ეტყობა. რაც დრო მიდის, კავშირების მუშაობის მასიური ფორმები ფართოვდება. ამჟამად კავშირების ორგანიზაციებში ჩაბმულ აქტივის რიცხვი ორ მილიონამდე აღწევს. ამ უკანასკნელ წლებში კავშირების მუშაობა მთლიანად გადატანილ იქნა ფართო დემოკრატიის პრინციპებზე. ღირსშესანიშნავი მიღწევები არის მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ. თანდათანობით ფართოვდება მუშების საწარმოო თათბირების საშუალებით სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობის მიღება და საწარმოო საკითხების ფართო მასების მიერ დამუშავება. ძლიერ გაიზარდა კავშირის წევრებს შორის კულტურული მუშაობა და სხვ.

ორ წელზე მეტი არის, რაც სრულიად საკავშირო პროფესიონალური კავშირების მეექვსე ყრილობა მოხდა. ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა პროფესიონალური კავშირების მუშაობის საერთო პირობებში არ გამოცვლილა. კავშირების წინაშე არ სდგას მუშაობის ხაზის შეცვლა, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ. მეშვიდე ყრილობას არ მოუხდება საბჭოთა პროფესიონალურ მოძრაობაში რაიმე ახალი ამოცანების დასახვა. ის, რაც დასახული იყო ორი წლის წინათ, საერთოდ უცვლელად რჩება.

პროფესიონალური კავშირების მთავარი დანიშნულება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არის მშრომელთა მასების შეკავშირება, სოციალისტურ მშენებლობაში მასების ფართო ჩაბმა, მათი საწარმოო აღზრდა, კულტურული დონის აწევა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტერესების დაცვა. კავშირების მეშვიდე ყრილობის მუშაობა მიმართული იქნება იქითკენ, რომ ამ ფრიად დიდი მნიშვნელობის ამოცანების პრაქტიკული გატარება გაუმჯობესდეს და კავშირებმა კომუნიზმის სკოლის როლის ნამდვილი მატარებელი გახდენ.

უპირველეს ყოვლისა ყრილობაზე პრაქტიკულად განხილული იქნება კავშირების მუშაობის მთავარი საფუძველი—ფართო დემოკრატიის გატარება: როგორ ხორციელდება ცხოვრებაში, რა მხრივ ემჩნეოდა დეფექტები და რა ახალი ზომები არის საჭირო მისი მთლიანად გატარებისათვის. უნდა დაგმობილ იქნეს დემოკრატიის პრინციპების დამახინჯებული გამოყენება,—ცრუ-დემოკრატიზმი, რომელიც გამოიხატება კავშირების ორგანოების შემადგენლობის გადაჭარბებულ გაფართოებაში, რაც პრაქტიკულ მუშაობას ხელს უშლის; დემოკრატიზმი საერთოდ არ უნდა იყოს ფორმალური.

მიქცეული იქნება აგრეთვე ყურადღება კავშირის წევრების—მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვის საკითხს. კავშირების მუშაობის ეს მხარე ფრიად მნიშვნელოვანი არის და მის გაუმჯობესებისათვის უნდა იქნეს მიღებული ზომები. მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა უნდა იქნეს ყოველმხრივი. ის არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ ხელშეკრულებების დადებით, ან კოლექტიურ და ჯგუფურ კონფლიქტების სათანადო გადაჭრით, არამედ ინდივიდუალურ ინტერესების დაცვასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. კავშირის ორგანოები თვით უნდა იჩენდენ ინიციატივას ამ საკითხებში და არ უნდა უცდიდენ მუშა-მოსამსახურის მხრიდან საჩივრის აღძვრას.

კავშირების მუშაობის ერთ მნიშვნელოვან მომენტად უნდა გახდეს მუშების წამოყენება სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა დარგში სამუშაოთ. კავშირები არ უნდა დაკმაყოფილდენ მარტო წამოყენებით, არამედ უნდა დაიცვან წამოყენებულნი უხეიროთ გამოყენებისაგან.

სატარიფო საკითხებში ყრილობას მოუხდება შრომის ხელფასის მოწესრიგების სისტემის გადასინჯვა. რამდენადაც სახელმწიფო მეურნეობის მუშაობა დამყარებულია გეგმიანობაზე და ეს გეგმიანობა ცენტრალისტურია, ხელფასის მოწესრიგებაც უნდა აგებული იქნეს გეგმიანობის საფუძვლებზე და ეს საკითხები უნდა სწყდებოდეს ცენტრალისტურად. ხელფასის საკითხების ამრიგად გადაჭრა მოსპობს უთანხმოებას და სიჭრელეს. ხელფასის საკითხებში ყრილობას მოუხდება შეჩერება გამომუშავების ნორმების და სანარდო შეფასების მოწესრიგებაზე და ხელფასში სატარიფო განაკვეთის მნიშვნელობის გაზრდაზე ამჟამად არსებულ დიდ გადამუშავების შემცირების გზით.

კავშირების ეკონომიურ მუშაობის მხრივ ყრილობას მოუხდება განიხილოს საკითხი ამ მუშაობის გაღრმავების შესახებ, რამდენადაც ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის წინაშე სდგას უდიდესი მნიშვნელობის საკითხი—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. წარმოების წვრილი დეფექტების გამოსწორების პერიოდი უკვე თავდება, დღის წესრიგში სდგას ახალი ტეხნიკის შემოღება, წარმოების მაქსიმალური რაციონალიზაცია. ყველაფერი ეს მოითხოვს კავშირებისაგან უფრო სხვანაირ მიდგომას და ეკონომიურ მუშაობის უფრო სხვანაირად დაყენებას. კერძოთ დიდი მნიშვნელობა ეძლევათ საწარმოო თათბირებს, როგორც მასიურ ეკონომიური მუშაობის ორგანოებს. უნდა იქნეს მიღებული ზომები მათი მუშაობის გასაფართოებლად.

კავშირის წევრების კულტურული დონის აწევის საკითხებშიც მოუხდება ყრილობას მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების დამუშავება. უმთავრესად საყურადღებო იქნება კულტურული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. კლუბები, წითელი კუთხეები და სხვა კულტურული დაწესებულებები უნდა მოეწყონ ისე, რომ მათ მიიზიდონ არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მოზრდილი მუშებიც. საყურადღებო არის აგრეთვე კულტურული მუშაობის ჩატარება მუშების ახალ ფენებში.

ამრიგად კავშირების მეშვიდე ყრილობის წინაშე სდგას მთელი რიგი საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ კავშირების ამოცანების გატარების გაუმჯობესების მხრივ. რამოდენიმე მილიონ მუშის წარმომადგენელთა ყრილობაში მონაწილეობა და მათი გამოცდილება ხელს შეუწყობს ამ საკითხების სათანადოთ გადაჭრას და ამ მხრივ დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში მთლიანად გატარებას.

ჩინეთის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

კანტონის მთავრობა ინგლისისაგან მოითხოვს ჩინეთის საქმეებში ჩაურევლობას

ლოიდ-ჯორჯი ჩინეთის ამბებს უცხოელების გაუმაძღრობით ხსნის

„ინგლისის და საბჭოთა მუშების კავშირს ვერ დაარღვევს ვერავითარი ძალა“

უცხოელები ჩინეთში

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 5 დეკემბერი. იაპონიის პრესა იტყობინება, რომ გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სამინისტროების და აგრეთვე სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის წარმომადგენელთა თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები იმისათვის, რომ მომავალში დაცულ იქნეს იაპონიის ინტერესები მანჯურიაში ჩჟან-ძო-ლინის თვითნებურ პოლიტიკისაგან. თათბირმა დაადგინა შესრულებულ იქნეს მანჯურიაში იაპონიის სარკინიგზო მშენებლობის პროგრამა და წინააღმდეგობა გაუწიოს ჩინელებს, თუ მათ მოისურვეს ისეთი ახალი ხაზის გაყვანა, რომელიც ზიანს მიაყენებს სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზას.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებული „ჯაპან ტაიმს“ დასძენს, რომ იაპონიას არ სურს საბჭოთა კავშირის ინტერესების შელახვა ჩრდილოეთ მანჯურიაში და ის თავს შეიკავებს ისეთ ნაბიჯებისაგან, რომელსაც შეუძლია იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტის გამოწვევა; ამის გამო ხარბინ-ხეილუნცზიანის რკინის გზის გაყვანა გადადებულ იქნება განუსაზღვრელი ვადით. (ადს).

ლოიდ-ჯორჯი ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში

ლონდონი, 5 დეკემბერი. ბროდფორდში ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ უცხოელები ჩინეთში განიცდიან თავიანთი გაუმაძღრობის შედეგებს. „ინგლისის მთავრობაზე,—სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, დიდ გავლენას ახდენენ იმ მიზნით, რომ შეაცვლევინონ მას თავისი პოლიტიკა ჩინეთში და წააქეზონ ის მეტი ძალადობისაკენ. ამიტომ საჭიროა, რომ საზოგადოებრივმა აზრმა შეიგნოს ის საფრთხე, რომელიც შესაძლოა ჩვენ დაგვემუქროს. ჩინელები იბრძვიან თვითეული თავისუფალი და თავმოყვარე ერის ელემენტარულ და მთავარ უფლებებისათვის“. (ადს).

კანტონელები მაგრდებიან

პეკინი, 5 დეკემბერი. კანტონელები მაგრდებიან ცზიან-სუს პროვინციაში და აწყობენ ადმინისტრატიულ აპარატს. სამხედრო ტყვეებისაგან, რომელთა რაოდენობა 40,000 კაცს უდრის, კანტონელები ადგენენ ახალ ნაწილებს ჩრდილოეთის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

კანტონის მთავრობა უხანში გადადის

კანტონი, 5 დეკემბერი. პოლიტიკურმა საბჭომ დაამტკიცა გომინდანის უკანასკნელ კონფერენციის დადგენილება კანტონის მთავრობის უხანში გადასვლის შესახებ, მაგრამ გადასვლის ვადა ჯერ არ არის გამორკვეული.

გადაწყვეტილებას კანტონის მთავრობის უხანში გადასვლის შესახებ სთვლიან იმის დამამტკიცებლად, რომ ახალი ხელისუფლების მდგომარეობა განთავისუფლებულ პროვინციებში ურყევია. ის მოწმობს, რომ დემოკრატიული ჩინეთის გაერთიანების კამპანიის პირველი ნაწილი დამთავრებულია. (ადს).

პირველი მუშურ-გლეხური კონფერენცია

კანტონი, 5 დეკემბერი. ჩან-შაში გაიხსნა ხუ-ნანის პროვინციის მუშათა და გლეხთა კონფერენცია.

გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მისალმება, რომელსაც კონფერენცია მხურვალე ტაშით შეხვდა. კონფერენციის გახსნის შემდეგ გაიმართა დიდი დემონსტრაცია და იმ 4 მუშის საზეიმო დაკრძალვა, რომელნიც მოჰკლეს სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით კანტონელების მიერ ქალაქის დაკავებამდე. (ადს).

კანტონის ნოტა ინგლისს

კანტონი, 5 დეკემბერი. კანტონის მთავრობამ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს ტელეგრაფით გადასცა ენერგიული პროტესტი ტიან-ძინში ინგლისის კონცესიის ხელისუფლების მიერ 14 გომინდანელის დაპატიმრებისა და მუკდენელთათვის გადაცემის წინააღმდეგ.

ნოტაში ნათქვამია: „ის გარემოება, რომ ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლები აჩქარებით დასთანხმდენ დაპატიმრებულთა გადაცემაზე მუკდენის ხელისუფლებისათვის, მოწმობს, რომ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელნი ჩინეთში შეგნებულად უწევენ დახმარებას კანტონის მთავრობის პოლიტიკურ და სამხედრო მოწინააღმდეგეებს. ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედება გაუგონარი შელახვა და დარღვევაა ჩინეთის იმ მოქალაქეთა უფლებების, რომელნიც უცხოეთის კონცესიების ტერიტორიაზე იმყოფებიან. ეს ნაბიჯი არის ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთა შეგნებული გამოსვლა ჩინეთის ხალხის ეროვნულ მისწრაფებების წინააღმდეგ“.

ნოტა შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ დაპატიმრებულნი შეიძლება მოკლულ იქნენ და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში ჩინეთის ხალხი და კანტონის მთავრობა პასუხისმგებლობას ინგლისის მთავრობას დააკისრებენ. კანტონის მთავრობა მოითხოვს, რათა ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენელთ ჩინეთში წინადადება მიეცეთ მოახდინონ სასტიკი გამოძიება მუკდენელთათვის გადაცემულ გომინდანელების შესახებ და შეეცადონ მათ განთავისუფლებას და აგრეთვე კანტონის მთავრობა მოითხოვს კომპენსაციას გომინდანელების გადაცემისათვის და სათანადო ანაზღაურებას მათი დასჯის შემთხვევაში. კანტონის მთავრობა ინგლისის მთავრობას მიუთითებს იმ შედეგებზე, რომლებიც შეუძლია მოჰყვეს ასეთ მტრულ პოლიტიკას ჩინეთის ხალხის ეროვნულ მოძრაობის და კანტონის მთავრობის მიმართ და აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა მთლიანად პასუხისმგებელია ასეთი პოლიტიკის შედეგებისათვის. (ადს).

ლემპსონის „ფართე რწმუნებები“

ლონდონი, 5 დეკემბერი. ჩინეთში ინგლისის ახალი წარმომადგენლის ლემპსონის ხანკოუში გამგზავრების შესახებ ოფიციალური ცნობა ამბობს: „ინგლისის მთავრობა ფართე რწმუნებებს აძლევს ლემპსონს მდგომარეობის მოსაწესრიგებლად“.

გერმანიის მშრომელთა ყრილობა

ინგლისელ მემაღაროეთა მისალმება

ბერლინი, 5 დეკემბერი. გერმანიის მშრომელთა ყრილობას ინგლისის მემაღაროეთა სახელით მიესალმა ჰერისონი, რომელმაც განაცხადა, რომ მემაღაროეთა დამარცხება პროფკავშირთა ბიუროკრატიის ბრალია. ჩვენს უმთავრეს ამოცანას ამჟამად წარმოადგენს რეფორმისტების განდევნა პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებიდან.

ჰერისონმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ მსხვერპლს, რომელიც საბჭოთა კავშირის მუშებმა გაიღეს, სადაც მათ უკვე 1 მილ. გირ. სტერლინგზე მეტი გაუგზავნეს მემაღაროებს. დასასრულ ჰერისონმა განაცხადა: **ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების კავშირი არასოდეს არ დაირღვევა.“**

ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდა მთელი ყრილობა. (ადს).

მუსოლინის შურისძიება

კომუნისტების გადასახლება

რომი, 5 დეკემბერი. იტალიელი კომუნისტი დეპუტატები, რომელნიც გადაასახლეს ტირენის ზღვის კუნძულ უსტიკაზე მოათავსეს საშუალო საუკუნის ციხის კაზემატებში, რომლებიც ყოვლად გამოუსადეგია საცხოვრებლად. ზოგიერთ გადასახლებულის ჯანმრთელობა საფრთხეშია. ტირენის და ადრიატიკის ზღვების კუნძულებზე და აგრეთვე აფრიკის კოლონიებში, სადაც ამ უკანასკნელ დროს ასახლებენ დაპატიმრებულებს გადასახლებულთა მდგომარეობა აუტანელია. ერთ-ერთი გადასახლებული კომუნისტი დეპუტატი თავის წერილში სწერს:

„მე ვიმყოფები ხმელთა-შუა ზღვის კუნძულზე, უაღრესად ცუდ პირობებში. აკრძალული მაქვს რაიმე კავშირი ვიქონიო ოჯახთან, რის გამო საშუალება არ მაქვს საზამთრო ტანისამოსი მივიღო“. (ადს).

ტერორი მძვინვარებს

ვენა, 5 დეკემბერი. იმ დროს, როცა იტალიის ოფიციალური ცნობა ფაშისტების 552 მოწინააღმდეგის გადასახლებას სთვლის რეჟიმის მოწინააღმდეგეებთან დაწყებულ ბრძოლის დასასრულად, სინამდვილეში რეპრესიები კიდევ უფრო მატულობს. რომში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში რეპრესიები უმაღლეს წერტილს აღწევს. დაპატიმრებულთა ვინაობას და დაპატიმრების ადგილს საიდუმლოდ ინახავენ. მათ ოჯახებმა არაფერი იციან. ფაშისტურ პრესას აკრძალული აქვს რეპრესიების შესახებ რაიმეს დაბეჭდვა, გარდა ოფიციალური ცნობებისა. მუშათა რეფორმისტულ პარტიებზე ტერორი არ ვრცელდება. სოციალისტებს შორის განწყობილება ლიკვიდატორულია. არ არის არავითარი ცდა მუშაობის განახლებისათვის. მთავრობის რეპრესიების დაფარვა და პოლიტიკურ პროცესებზე უარის თქმა გამოწვეულია არა მარტო სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, არამედ აგრეთვე საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებითაც. მრეწველობის ზოგიერთი დარგის წარმოების შემცირება, საქონლის მასალების ნაწილობრივი კრიზისი, პირველი მოთხოვნილების საგნების გაძვირება და სხვა, მშრომელთა მასებში იწვევს ფარულს, მაგრამ ძლიერ უკმაყოფილებას. (ადს).

ფაშისტების თარეში

რომი, 5 დეკემბერი. **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის და სავაჭრო წარმომადგენლობის იტალიელ თანამშრომლების დაპატიმრების მიზეზები გამოურკვეველია, როგორც სრულუფლებიან წარმომადგენლობისათვის, ისე დაპატიმრებულთათვის, რომელთაც არავითარი ბრალდება არა აქვთ წარმოდგენილი.** დაპატიმრებულებთან არავის არ უშვებენ. დაპატიმრებულთათვის მატერიალურ დახმარების გაწევის ცდა იწვევს იმ პირთა დაპატიმრებას, რომელნიც ამ მიზნით მიდიან ხელისუფლებასთან. (ადს).

ერთა ლიგის სესიის წინ

მინისტრების გასტროლები

პარიზი, 6 დეკემბერი. ჩემბერლენი, ვანდერველდე და ზალესკი 4 დეკემბერს გაემგზავრენ ჟენევაში. (ადს).

როლების განაწილება

ბერლინი, 5 დეკემბერი. ერთა ლიგის გენერალურ მდივნის ეხლად დანიშნული თანაშემწე განაგებს კულტურული ხასიათის საქმეებს, მაშინ, როცა სამდივნოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განყოფილება გადავა იაპონიის წარმომადგენლის ხელში. (ადს).

აფერისტი მინისტრები

ვენა, 5 დეკემბერი. კომისიამ, რომელსაც უნდა გამოეძიებია ცენტრალურ შემნახველ სალაროს მიერ გაკოტრებულ ბანკირ ბოზელთან ხელშეკრულების დადების საქმე, რამაც დიდ ზარალი მიაყენა ხაზინას,—გამოარკვია, რომ ამ საქმეში წილ უდევთ ეხლანდელ ვაჭრობის მინისტრს განს შურფს და წინანდელ მთავრობის ფინანსთა მინისტრს იაკობი არერს.

კომისიის მიერ დაკითხულმა კანცლერმა რამეკმა განაცხადა, რომ არერმა და შურფმა მთავრობის დაუკითხავად დაამტკიცეს სახელმწიფოსათვის საზარალო გარიგება ბოზელთან.

კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე“ მოითხოვს ბოზელის, არერის და შურფის დაპატიმრებას. (ადს).

პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობა

ყრილობის გახსნა

მოსკოვი, 6 დეკემბერი. 6 დეკემბერს საღამოს, დიდ თეატრში გაიხსნა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მე-7 ყრილობა.

ყრილობაზე დასასწრებლათ ჩამოვიდა 1053 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 214 სათათბირო ხმით. სულ წარმოდგენილია 9.270.000 პროფკავშირებში გაერთიანებული 26 ეროვნების მუშა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გამოჩენას, ამხ. ტომსკის მეთაურობით, — ყრილობა შეხვდა ხანგრძლივი და მხურვალე ოვაციებით.

ამხ. ტომსკის სიტყვა

ამხ. ტომსკი ხსნის ყრილობას შემდეგი სიტყვით: „მეექვსე ყრილობის მოწვევის შემდეგ გავიდა მძიმე მუშაობის და იშვიათი ბრძოლების ხანა—ორი წელიწადი, როდესაც ჩვენ ვმუშაობდით სოციალისტური მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. მიღწევანი უკვე საგრძნობია ჩვენი პროფკავშირების თვითეული წევრისათვის. მუშაობა დიდათ დააბრკოლა იმან, რომ ერთი მეორეზე გვშორდებოდენ ძველი, გამობრძმედილი ლენინური გვარდიის მებრძოლები“.

ორატორი წინადადებას აძლევს ყრილობას ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ფრუნზეს, ძერჟინსკის და კრასინის ხსოვნას. ყველანი დგებიან. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს.

„—პროფკავშირთა მეხუთე ყრილობაზე, განაგრძობს ამხ. ტომსკი, ჩვენ მივიღეთ ამხ. ვლადიმირ ილიჩის მიმართვა ყველა პროფორგანიზაციებისა და მუშათა კლასისადმი, სადაც დიდმა მასწავლებელმა გვიანდერძა, არ დავიმედებულიყავით სხვისი დახმარებით, არამედ საკუთარი ძალებით აღგვედგინა სოციალიზმის ბაზა — მსხვილი მრეწველობა.

მეხუთე ყრილობამ აღთქმა დასდო, რომ ამას შეასრულებდა. მეექვსე ყრილობამ დაადასტურა ეს აღთქმა, ხოლო ეხლა მეშვიდე ყრილობის მუშაობისას ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს აღთქმა შესრულებულია. ჩვენ აღვადგინეთ მრეწველობა ომამდე არსებულ დონემდე. ჩვენთვის საჭიროა მეშვიდე ყრილობის შემდეგ შეუდგეთ აღთქმის მეორე ნაწილის შესრულებას — ავსწიოთ ჩვენი მრეწველობა ომამდე არსებულ დონეზე მაღლა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მე-7 ყრილობა არ დაზოგავს ძალ-ღონეს სოციალიზმის პრაქტიკული აღმშენებლობისათვის და დაპირებებს შეასრულებს სწორედ ისე, როგორც ჩატარებულმა ყრილობებმა შეასრულეს ილიჩის ანდერძი. ყრილობა შეიკრიბა ახალ ამოცანების წარმოების რაციონალიზაციის და ახალ საფუძვლებზე განვითარების დროს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა, შეუჩერებლივ იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი მრეწველობა, იზრდებოდა მუშათა კლასი, როგორც კულტურულათ ისე პოლიტიკურათ, მრავლდებოდენ მუშათა კლასის ორგანიზაციები—პროფესიონალური კავშირები.

ამ ყრილობაზე ჩვენ გვაქვს საერთაშორისო პროფმოძრაობისათვის ჯერ უცნობი გამოცდილება—ერთ პროფმოძრაობაში გაერთიანებული 9 მილიონზე მეტი წევრი და ეს რიცხვი შეუჩერებლივ იზრდება და უახლოვდება 10 მილიონს.

ყრილობის წინაშე სდგას ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანათა მთელი რიგი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მე-7 ყრილობა წარსული ყრილობების მსგავსათ შესძლებს ლენინიზმის ნაცადი გზით გადაჭრას მის წინაშე დასმული ყველა ამოცანები. მუშაობის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ძველი, ნაცადი და მარადიული ლოზუნგით: „ახლოს მასსებთან“.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი 55 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმში არჩეულ წევრთა შორის არიან, **ამხ. ტომსკი, დოგადოვი, ანდრეევი, ლეპსე, მელნიჩანსკი, სენიუშკინი, უგაროვი, (ლენინგრადი), უდაროვი (შუა აზია), შმიტდი, ლოზოვსკი, ვლადიმიროვი** და სხ.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. **სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი და რუძუტაკი**, რასაც ყრილობა შეხვდა ხანგრძლივი ტაშით.

საშეფო დივიზიის პატაკი

სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების არჩევის შემდეგ პატაკისათვის პროფსაბჭოს მიერ საშეფოთ აყვანილ საგანგებო დანიშნულების №

ამხ. მონმუსოს მისალმება

— პროფინტერნისა და საფრანგეთის პროფინტერნის სახელით ყრილობას მესალმა **ამხ. მონმუსო.**

ცხენოსანი დივიზიის ბრიგადის უფროსს შრომის საყოველთაო კონფედერაციის სახელით, ამბობს ამხ. მონმუსო, მხურვალეთ ვესალმები წითელი პროფკავშირების დელეგატებს. ნება მომეცით მივესალმო აგრეთვე ინგლისის მემაღაროეთა გმირული არმიის წარმომადგენელს, აქ **დამსწრე კუკს.**

მთელი ყრილობა ფეხზე ადგომით ეგებება კუკს. ორკესტრი ინტერნაციონალს ასრულებს.

განაგრძობს, რა თავის სიტყვას, მონმუსო ამბობს:

„კუკი იმ არმიის წარმომადგენელია, რომელიც ამსტერდამის ინტერნაციონალს შიგნით აწარმოებს რევოლუციონურ ბრძოლას და ხელს უწვდის საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და პროფკავშირთა წითელ ინტერნაციონალს. საბჭოთა კავშირის წითელი პროფკავშირები წარმოადგენენ პროფინტერნის უძლიერეს სექციას. ის გამოიბრძმიდა სამოქალაქო ომის ცეცხლში და გვიჩვენებს ჩვენ თავგანწირული პირდაპირი ბრძოლის მაგალითს კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

ამხ. რიკოვის სიტყვა

ყრილობას საბჭოთა მთავრობის სახელით ესალმება **ამხ. რიკოვი.** (ამხ. რიკოვის სიტყვა მოთავსებული იქნება ხვალ).

ამხ. გალახერის სიტყვა

კომინტერნის სახელით ყრილობას ესალმება **ამხ. გალახერი.**

აღნიშნა რა დახმარება, რომელიც გაუწიეს საბჭოთა კავშირის მუშებმა ინგლისის მემაღაროეებს, გალახერმა განაცხადა:

„ეს დახმარება — პროლეტარიატის სოლიდარობის უდიდესი აქტია. ეს სოლიდარობაა არა ფრაზებით, არამედ ნამდვილი საქმით.

„თქვენს ყრილობას ესწრება კუკი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ინგლისის მემაღაროეთა ისტორიულ ბრძოლაში. მემაღაროები დამარცხდენ, მაგრამ ეს დამარცხება სასირცხვო როდია ინგლისის მემაღაროეთათვის, კუკისთვის, რომელსაც ბოლომდე ეჭირა ხელში ბრძოლის დროშა.

ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვა—საუკეთესო ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილია ინგლისის მუშათა კლასისათვის. ინგლისის მუშები სწავლობენ ამ გაკვეთილს და, აგრეთვე, დიდ რევოლუციის გაკვეთილს.

უდავოა, რომ ამ გაკვეთილების შეთვისებისთანავე, ჩვენ განვდევნით ყველა რეაქციონურ ბელადებს და კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ავაშენებთ საბჭოების რესპუბლიკას“.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ ამხ. **ბუხარინი, ვოროშილოვი,** [illegible] და **ჩაპლინი** (მათი სიტყვა მოთავსებული იქნება ხვალ). (ადს).

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

6 დეკემბრის სხდომა

მოსკოვი, 6 დეკემბერი. კომინტერნის გაფართოებული პლენუმის 6 დეკემბრის დილის სხდომაზე ვრცელი მოხსენებით პროფკომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ლოზოვსკი.**

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების შემდეგ გრძელდებოდა კამათი ამხ. **მერფის** მოხსენების გარშემო ინგლისის გაფიცვის გაკვეთილების შესახებ.

ამხ. **რემმელე** (გერმანია) აღნიშნავს თუ რა დიდი გავლენა მოახდინა გაფიცვამ ევროპისა და ამერიკის კონიუნქტურაზე. ინგლისის კომპარტიამ გაფიცვის განმავლობაში უდიდესი მუშაობა შეასრულა. ინგლისელ ამხანაგების ძირითადი ამოცანაა—ინგლისის მასიური პარტიის შექმნა.

გალახერი (ინგლისი) განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ინგლისის ბურჟუაზია სცდილობს მუშათა მოძრაობის ჩახშობას ინგლისის კომპარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მასიურ პარტიად გადაქცევა; ეს იქნება საუკეთესო პასუხი ბურჟუაზიის ამ ცდაზე.

დევისსერი (ჰოლანდია) აღნიშნავს, რომ ჰოლანდიის კომპარტიამ ყველა ღონე იხმარა, რომ ხელი შეეშალა ინგლისში ნახშირის შეზიდვისათვის გაფიცვის პერიოდში. ჰოლანდიის პროფკავშირების მემარჯვენე ხელმძღვანელებმა კი ჩაშალეს ეს კამპანია.

დევისსერის სიტყვით დასრულდა კამათი ამხ. მერფის მოხსენების გარშემო.

თავმჯდომარე რემმელე აცნობებს პლენუმს, რომ გერმანიის კომპარტიისა და კომინტერნის გარეშე მდგარ რუტ ფიშერისა, მასლოვისა და სხვა პირთაგან მიღებულია დეპეშა იმის შესახებ, რომ ისინი პირადათ ჩამოვლენ თავის აპელაციის დასაცავად. მათი გამორიცხვის შესახებ გერმანიის კომუნისტური პარტიიდან. მათგანვე მიღებულია ახალი დეპეშა, რომლითაც ისინი, იუწყებიან, რა თავის ჩამოსვლის შესახებ მასლოვის გამოკლებით, პირობად სვამენ მოსკოვამდე და უკან სამგზავრო ხარჯის ანაზღაურებას, იმ ჯამაგირის 10 დღის ანაზღაურებას, რომელსაც ისინი ღებულობენ, როგორც რეიხსტაგის დეპუტატები, და, აგრეთვე, უკან გასამგზავრებელი ვიზის უზრუნველყოფას.

რემმელე აღნიშნავს, რომ მათთვის ხარჯები და ვიზა უზრუნველყოფილია, ხოლო რაც შეეხება ჯამაგირის ანაზღაურებას, მათ მიეცემათ ჩვეულებრივად ყველა დეპუტატებისათვის დაწესებული ანაზღაურება, რადგან პრეზიდიუმს არ შეუძლია ერთი მეორისაგან განასხვაოს მუშა-დელეგატები და რეიხსტაგის დელეგატები.

მიიღო რა ცნობად ზემოაღნიშნული, პლენუმი გადავიდა მიმდინარე საქმეებზე.

საბოლოო სიტყვა მოხსენებაზე ინგლისის გაფიცვის გაკვეთილების გარშემო მიეცა მერფის, რომელსაც მხურვალე აპლოდისმენტებით შეეგებენ. მერფიმ აუწყა პლენუმს ტიან-ძინში 14 გომინდანელის დაპატიმრება ინგლისის ხელისუფლების მიერ ჩინეთის მილიტარისტებისათვის გადასაცემად.

აღნიშნავს რა იმას, რომ ჩინეთში ინგლისელები ამჟამად იმეორებენ საზიზღარ ისტორიას, რომელიც მათ ბაქოში ჩაიდინეს, ე. ი. 26 კომისრის გადაცემას თეთრგვარდიელთა ხელში, მერფი წინადადებას აძლევს პლენუმს განაცხადოს პროტესტი ინგლისელების ამ ახალი საზიზღარი პროვოკაციის წინააღმდეგ. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ამხ. მერფის საბოლოო სიტყვის შემდეგ, იხურება სხდომა.

შემდეგ სხდომა გაიმართება 7 დეკემბერს, დილით. დღის წესრიგში სდგას ამხ. სტალინის მოხსენება. (ადს).

რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია ჩინეთში

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

მთელი ქვეყნის ყურადღება მოქცეულია რევოლუციონურ მოძრაობის განვითარებისაკენ ჩინეთში. სიხარულისა და იმედის გრძნობით ადევნებს ყველა ქვეყნების რევოლუციონური პროლეტარიატის გული დიდი ხალხის დიადი მოძრაობას. აღშფოთებას და ცხოველურ კლასიურ შიშს იწვევს იგი საერთაშორისო ბურჟუაზიასა და მის დამქაშებში. ეხლა არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ჩინეთში ბრძოლას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს,—რომ ამით ახალი ხანა იწყება საერთაშორისო ისტორიაში, რომ ჩინეთის ბრძოლის შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული კაცობრიობის ბედ-იღბალი უახლოეს მომავალში.

ჩინეთის ბრძოლის ასპარეზზე მომქმედი ძალების ფხიზელი ანალიზი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ აწონ-დაწონილ იქნას რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ყველა შანსები, რომ გაგებულ იქნას მოახლოვებული პერსპექტივები, რომ შეფასებულ იქნას რევოლუციისა და მისი მტრების სტრატეგია და ტაქტიკა.

როგორია ძირითად ძალთა განწესრიგება თანამედროვე ჩინეთში?

ცხადია, რომ რევოლუციის ძირითადი და გადამწყვეტი მოწინააღმდეგეა საერთაშორისო იმპერიალიზმი, მის ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა მიუხედავად. აქედან გამომდინარეობს ის, რომ რევოლუციის უმთავრესი ამოცანაა—შეურიგებელი ბრძოლა იმპერიალიზმთან. ყველა იმპერიალისტური პრივილეგიების ჩამორთმევა საერთაშორისო კაპიტალისათვის, უცხოეთის კვარტალების წყეული დიქტატურის მოსპობა, უთანასწორო ხელშეკრულებათა დარღვევა, განდევნა ჩინეთიდან „განათლებულ“ სამხედრო წრეებისა, უცხოეთის იმპერიალისტურ ბატონობისაგან სამუდამოდ თავის დაღწევა—ეს არის რევოლუციის უმთავრესი ამოცანა. მისი განვითარების ეხლანდელ ფაზაში ამ ამოცანის გადაწყვეტა აჩქარებს რევოლუციის წინსვლას და საშუალებას იძლევა შეუდგენ იმ სხვა, უფრო გრანდიოზულ, სოციალური ამოცანების სრული სახით გადაწყვეტას, რომელნიც ნაწილობრივ ეხლა უკვე დგანან და უნდა დაისვან დღის წესრიგში.

ფეოდალურ-მილიტარისტული კამარილია, რომელსაც დამორჩილებული ყავს ჩინეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი და რეაქციონერი გენერლები—მცირე და დიდი ჩან-ძო-ლინები—ეს არის ძალა, რომელიც უშუალოდ [illegible] უცხოეთის იმპერიალისტებს. ეს არის ჩინეთის „კომპრადორები“ (შუამავლები) იმპერიალიზმისა. ისინი თვითონ ეწევიან ჩინეთის მშრომელი ხალხის ექსპლოატაციას. სძარცვავენ და ტერორქვეშ აყენებენ მას. ამავე დროს ისინი უცხოეთის კაპიტალის დაქირავებული შინა-ყმები არიან. ეგრედ წოდებული ჩინეთის ეროვნული რეაქცია საქმით არის იმპერიალისტური კონტრრევოლუციის წარმომადგენელი. ჩან-ძო-ლინების და სუნ-ჩუან-ფანების საშუალებით ანხორციელებენ თავიანთ ბატონობას იმპერიალისტები. იმპერიალისტური გავლენის გატარება—აი, რეაქციონურ გენერალიტეტის ძირითადი ფუნქცია, ამიტომ, უშუალო ბრძოლით ჩინეთის გენერლებთან, რევოლუციონური არმია არსებითად ებრძვის იმპერიალისტურ შეტევებს ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

ჩინეთის მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზია შედარებით სუსტი ეკონომიური ძალ-ღონის მქონე ჩაება რევოლუციაში. ჩინეთის ინდუსტრია უმთავრესად მსუბუქი ინდუსტრიაა. მძიმე ინდუსტრია—საწარმოო საშუალებათა წარმოება სერიოზულ როლს არ თამაშობს ჩინეთში. ამასთანავე, კაპიტალისტური სამრეწველო წარმოებანი ჩინეთში უმთავრესად არიან არა „ჩინეთის“ არამედ უცხოეთის წარმოებანი. ზედმეტი ღირებულება, რომელიც იქმნება, მაგალითად, შანხაის აბრეშუმის სართავ ქარხნებში, უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ უვარდება ხელში იმპერიალისტებს. აქედან, წარმოსდგება ჩინეთის სამრეწველო ბურჟუაზიის ეკონომიური სისუსტე, აქედან—ეროვნული სამრეწველო დაგროვების ნელი ტემპი, და აქედანვე—ჩინეთის ბურჟუაზიის ნაწილის ანტიიმპერიალისტური განწყობილება, რომელიც იმპერიალისტებში პრივილეგიების მქონე კონკურენტებს ხედავს. საერთოდ, ჩინეთის ბურჟუაზიის, სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის პოზიცია ორმაგია. მისი ნაწილი ემხრობა იმპერიალიზმთან ბრძოლას, მეორე ნაწილი კომპრომისის, იმპერიალიზმთან შეგუების „მშვიდობიანად“ ცხოვრების მომხრეა. ბურჟუაზიის ეს ნაწილი ან პირდაპირ შორდება რევოლუციას, ვინაიდან მისი შემდეგომი ძლევამოსილი განვითარების ეშინია, ან მისი ხელის შემშლელი ფაქტორია.

გლეხობა—ჩინეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ძირითადი მასაა. ჩინეთის გლეხობა—ექსპლოატაციის ფართო მოედანია უცხოეთის იმპერიალიზმისა, მილიტარისტულ ძალთა, სავაჭრო კაპიტალისა და მემამულეთათვის. აუტანელი საიჯარო გადასახადი ახრჩობს ჩინეთის სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებას. ჩინეთის გლეხობა არ წარმოადგენს მთლად ერთგვარ სოციალურ მასას. იგი მრავალგვარ ფენებად არის დანაწილებული, იგი შეიცავს ღარიბი გლეხების მეტად ფართო ფენას, რომელიც მეტად პატარა მეურნეობათაგან შესდგება. ამიტომ ჩინეთის რევოლუციის ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს ღრმა აგრარული რეფორმის გატარება და მიწის საკუთრების ხელმეორედ განაწილება. რევოლუცია ვერ შეასრულებს თავის ამოცანას, თუ იგი აგრარულ საკითხს არ გადასწყვეტს. ქალაქი სოფელს მოსწყდა, ეს ბოლოსდაბოლოს კი დამღუპველი იქნება თვით ჩინეთის რევოლუციისათვის. 1911 წლიდან დაწყებული ნელ-ნელა იწყებოდა მოძრაობა ჩინეთის გლეხობაში. ეხლა კი იგი უკვე შესდგა რევოლუციონურ გზაზე. კაპიტალიზმის განვითარებამ ჩინეთში განამტკიცა გლეხობის კავშირი ქალაქთან. კანტონის არმიის მოახლოებით გლეხობა ეხლა ებმება რევოლუციურ პროცესში. რევოლუციონური ორგანიზაციები უკვე შეიქმნენ სოფელში. აგრარული რეფორმის აუცილებლობას უკვე გრძნობენ სოფლად. თუ გლეხობის მნიშვნელოვანი მასები ჯერ კიდევ განზე დგანან აქტიურ ბრძოლიდან, თუ ისინი ჯერ ისევ რეზერვში იმყოფებიან და მობილიზაცია [illegible] არ არიან, მით უფრო აუცილებელია გლეხობის გადაყვანა რევოლუციის მხარეზე, გლეხობის მასებისათვის გასაგები აგრარული ლოზუნგების გადასროლა.

ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი—ჩინეთის მოწინავე რევოლუციონური ძალაა. პროლეტარიატი — ყველაზე უფრო დაჩაგრული კლასია ჩინეთში, რომელიც ორგვარ ექსპლოატაციას განიცდის — იმპერიალისტურს და ადგილობრივს. იგი ნივთიერად ყველაზე უფრო ჩაგრულია და ყველაზე უფრო მეტი მძულვარებით არის აღსავსე იმპერიალიზმის მიმართ. იგი ანტიიმპერიალისტური ძალის უმთავრეს როლს თამაშობს. ჩინეთის პროლეტარიატის რევოლუციონური მომწიფება მეტად სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ. სულ რამდენიმე წლის წინად ჩინეთის პროლეტარიატი იყო ან პასიური, ან ხალხოსნური ილუზიებით ჩაფლული და თავის პროტესტს „მაქანების წინააღმდეგ ბრძოლაში“ გამოხატავდა. ეხლა კი იგი საუცხოვოდ ატარებს გაფიცვებს შანხაიში, აყენებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ლოზუნგებს და იწვევს მსოფლიო იმპერიალისტებს. ეხლა მან მიიღო პოლიტიკური მონათვლა და თავის ავანგარდად ყავს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის რევოლუციის განვითარება ჩინეთის პროლეტარიატს ეხლა აყენებს რევოლუციის ჰეგემონის როლში. რაც უფრო განვითარდება რევოლუცია, რაც უფრო მწვავედ გაიშლება ბრძოლა, მით უფრო აუცილებელი გახდება ჩინეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობითი როლი. ჩინეთის რევოლუცია ან არ გაიმარჯვებს, ან საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ასე სდგას საკითხი ჩინეთში.

ჩინეთის ძლევა-მოსილ რევოლუციას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია. რევოლუციის გამარჯვება ჯერ კიდევ არ მოუპოვებია მთელი ჩინეთის მასშტაბით. მაგრამ უკვე არსებობს კანტონის რევოლუციონური ხელისუფლება—ახალი სახელმწიფო ხელისუფლების წინამორბედი ჩინეთში. რევოლუციას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია, მას ჯერ კიდევ მძიმე ბრძოლების გადახდა ელის, მაგრამ რევოლუციას უკვე ჰყავს საუცხოვო არმია, რომელიც უდიდეს ავტორიტეტით სარგებლობს მასებში, არმია, რომლის ჯარიკაცები გაცილებით მეტი დისციპლინით არიან აღჭურვილნი, ვიდრე ჩან-ძო-ლინებისა და კომპ. დაქირავებული ჯარისკაცები, არმია, რომელიც ჩინეთის ნამდვილ პირველ სახალხო ჯარს წარმოადგენს.

გაჭირება, რომელიც უკვე ეხლავე მიიღო ჩინეთის რევოლუციამ, ჩინეთის ბურჟუაზიის შედარებით სისუსტე და პროლეტარიატის გამოსვლა მებრძოლთა პირველ რიგებში, პროლეტარიატის წინაშე აყენებს ჰეგემონიის და მთელი ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობის ამოცანებს. ეს უაღრესად ამაღლებს ჩინეთის ახალგაზრდა კომპარტიის ისტორიულ პასუხისმგებლობას და მის წინაშე აყენებს ამოცანების მთელ რიგს.

ჩინეთის კომუნისტების ერთი უპირველესი ამოცანათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელობითი გავლენა მოიპოვოს მასიურ ორგანიზაციებში, დააყენოს კანტონის მთავრობა რევოლუციონური გზაზე და არ გამოეყოს გომინდანიდან, ჩინეთის ამ ყველაზე უფრო ფართო ანტიმილიტარისტულ ორგანიზაციიდან, მაგრამ ამასთანავე წაიყვანოს იგი რევოლუციონურ გზით და მუდამ მასიურ რევოლუციონური მოძრაობის ავანგარდში იდგეს.

ამჟამად რევოლუციონურ ჩინეთს ორგვარი საფრთხე ელის, რომელიც უშუალოდ ემუქრება კანტონს.

პირველი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ „საერთო მტრის“ წინაშე, ე. ი. რევოლუციის წინაშე ხდება თვით ჩინეთის კონტრრევოლუციონური ძალების კონსოლიდაცია. შიშით მოცულნი სახალხო მოძრაობის წინაშე, რეაქციონური გენერლები, ალბად გარედან მიღებული დირექტივებით, გაერთიანდენ ტიან-ცზინში და უმაღლეს ბელადად ჩან-ძო-ლინი წამოაყენეს. ტიან-ცზინის შაიკა ჩან-ძო-ლინს ამტკიცებს სრულიად ჩინეთის ჯალათის პოსტზე, რომელმაც უნდა გაანადგუროს ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობა. ჩინეთის კონტრრევოლუციის ამ მთლიანი ფრონტს კანტონმა უნდა დაუპირდაპიროს ჩინეთის ყველა ანტიმილიტარისტული ელემენტების დარაზმული მთლიანი ფრონტი და უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს დაბალ მასებთან. ჩინეთის გაერთიანებულ რეაქციას საკმაოდ დიდი სამხედრო ძალა აქვს, მას ეხმარება უცხოეთის ბანკირები. მაგრამ მას არ აქვს მასიური ძალა, მასების რევოლუციონური ძალა კი უდიდესი მატერიალური ძალაა, რომელიც აქვს კანტონს, რომელიც შეტევას აწარმოებს და იმარჯვებს. თუ კანტონის სწორ პოლიტიკურ ორიენტაციას აიღებს და გაბედულ რევოლუციონურ პოლიტიკას აწარმოებს, მაშინ ტიან-ცზინის „შეთქმულება“ ვერ შეაჩერებს ჩინეთის რევოლუციას, იგი მას მისცემს ახალ იმპულსს ბრძოლისათვის, ახალ ძალებს შემატებს მას და განამტკიცებს მის ნებისყოფას.

მეორე საფრთხე, რომელიც სწორედ უკანასკნელ ხანებში გამწვავდა და რომელსაც ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური არა მარტო კანტონმა, არამედ მთელი ქვეყნის რევოლუციონურმა პროლეტარიატმა, არის იმპერიალისტების აქტიობის ზრდა. ყველას თვალში ეცემა პროვოკაცია ხანკოუში. „განათლებული“ ჯალათები სიკვდილით სჯიან გაფიცულ ჩინელებს და დემონსტრატიულად სხამენ თავის დესანტს ხანკოუში. განსაკუთრებით აქტიობას იჩენს ინგლისის იმპერიალიზმი, რომელსაც ცოტა „გულს მოუშვა“ მემაღაროეთა გაფიცვის ჩახჩობის შემდეგ. „პატივცემული“ თემთა პალატა საქმიანად განიხილავს ინგლისელი ჯენტლმენების „უშიშროების დაცვის“ აუცილებელ ზომებს. რომ „უშიშროების დაცვა“ მხოლოდ საბაბია მორიგი აგრესიული გამოსვლისათვის, ახალი ვანსიანის მაგვარი ხოცვა-ჟლეტისათვის, რათა ამით გამოიწვიოს პროვოკაცია შეტაკებისათვის და შემდეგ ჩაერიოს საქმეში და დაეხმაროს კონტრრევოლუციონურ ბანდებს—ეს თავის თავად ცხადია.

მთელმა საერთაშორისო პროლეტარიატმა, პირველ რიგში ინგლისის პროლეტარიატმა, თვალყური უნდა ადევნოს იმას, რაც ხდება ხანკოუში. ჩვენ ვიცით, რომ დიდია წინააღმდეგობანი იმპერიალისტების ბანაკში, რომ ძნელია მათთვის ინტერვენციის გზის არჩევა, რომ ისინი იძულებულ იარიან „ზეგავლენა მოახდინონ“ ჩინეთზე უფრო ფრთხილი სტრატეგიული შემოვლითი მანევრებით. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმს ყოველთვის მალულად უჭირავს ხელში ინტერვენციის მახვილი და თუ „შემთხვევა იქნა“ მზად არის შეუტიოს რევოლუციონურ ჩინეთს. თვალყურის დევნება იმპერიალისტური მთავრობების პოლიტიკისათვის აღმოსავლეთში და ყოველგვარი ზომების მიღება იმისათვის, რომ შეჩერებულ იქნას ინგლისის ხელები ხანკოუში,—აი საერთაშორისო და პირველ რიგში ინგლისის პროლეტარიატის მოვალეობა.

მოსკოვი, 6 დეკემბერი.

საბჭოთა პრესა

გლეხის სახლები

ქალაქთან სოფლის დაკავშირების ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციას გლეხის სახლი წარმოადგენს. ჩვენში, გარდა გლეხის ცენტრალური სახლისა, რომელიც თბილისში არსებობს, გლეხის სახლები გახსნილია თითქმის ყოველ სამაზრო ცენტრში. გლეხის სახლებმა საერთო პოპულიარობა მოიპოვეს სოფლად, გლეხები ქალაქში ჩამოსვლისას ეტანებიან მათ და საერთოდ მნიშვნელოვან დახმარებას ღებულობენ. საჭიროა გლეხის სახლების შემდგომ განმტკიცება მატერიალურ და იდეური მხრით, რომ მათ სავსებით შესძლონ თავისი ამოცანების გადაჭრა, როგორ ეს ამოცანები და რა ზომები, უნდა მივიღოთ გლეხის სახლების უფრო მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ამხ. ა. სმირნოვი „ბედნოტა“-ში ამის შესახებ წერს:

„გლეხის სახლებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი ამოცანებით: პირველი, ქალაქში ჩამოსულ გლეხებისათვის სამსახურის გაწევით, საერთო ბინის დათმობით, იურიდიული დახმარების აღმოჩენით და კულტურული მუშაობის ორგანიზაციით; მეორე, ამ პრაქტიკულ ღონისძიებათა პროპაგანდით, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს სოფლად, სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების დარგში ცალკე ღონისძიებათა პროპაგანდით და, ბოლოს, ქალაქში ჩამოსულ გლეხების გაცნობით საქარხნო-საფაბრიკო დაწესებულებათა მუშაობასთან, რათა სოფლის რწმუნებული გლეხები გაეცნონ წარმოების და სამრეწველო მუშათა შრომის პირობებში, და აგრეთვე გლეხებისათვის ექსკურსიების მოწყობით მუზეუმში, გამოფენებზე, საცდელ სადგურებზე და სხ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ადგილებზე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა გლეხის სახლების მუშაობას. ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრით მეტი ყურადღების და დახმარების აღმოჩენის დროს შეიძლებოდა მთელი რიგი მომენტების აცილება, რომელნიც აბრკოლებდენ სოფლის სახლების მუშაობას. ჩვენს საერთო ამოცანას—როგორც ცენტრში, ისე ადგილებში—შეადგენს გლეხის სახლების ქსელის შემდგომი განვითარება და განმტკიცება მატერიალურ-სამეურნეო ხასიათის შეღავათებისა და უპირატესობის აღმოჩენით და იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობის გაძლიერებით, სათანადო ადგილობრივ ორგანოებში გლეხის სახლების მოღვაწეობის შესახებ მოხსენებათა სისტემატიური მოსმენის, კვალიფიციური მუშაკებით მათი განმტკიცების გზით და სხ.“.

გლეხის სახლების როლი და მნიშვნელობა მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირების, ქალაქში მოხვედრილ გლეხებისათვის ყოველნაირი დახმარების აღმოჩენის, მათი პოლიტიკურ და კულტურულ გათვითცნობიერების საქმეში თანდათან იზრდება. ეს კი მოითხოვს გლეხის სახლების მუშაობის გაფართოება - გაღრმავებას, რისთვისაც, ვიმეორებთ, აუცილებელია მათ მეტი იდეურ - ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაეწიოს და მეტი ნივთიერი საშუალება მიეცეს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქარ. ცაკის საქმეთა მმართველობა ამით აცხადებს იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც მიმართავენ საქ. ცაკს თხოვნებით — მატერიალური დახმარების აღმოჩენის, პენსიის დანიშვნის, სასწავლებლებში მიღების, სწავლის ფულისაგან განთავისუფლების, სამუშაოს და სამსახურის მიცემის, სამშობლოში გაგზავნის, სამკურნალოში მიღების და სხვა ამგვარ შუამდგომლობით, რომ ყველა მოხსენებული თხოვნები საქ. ცაკის მიერ იგზავნება განკარგულებისთვის სათანადო დაწესებულებებში.

ამისათვის, როგორც ზედმეტი მიმოწერის, ისე მოქალაქეთა და ცაკის კანცელარიის მიერ უნაყოფოთ დროს დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ამ შინაარსის თხოვნებით მოქალაქეებმა უნდა მიმართონ უშუალოდ სათანადო დაწესებულებებს.

დანარჩენ საკითხებზე საქ. ცაკის თავმჯდომარე ღებულობს მთხოვნელებს ორშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

საქმეთა მმართველობა.

გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა

ბერლინი, 6 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ პოლონეთს გაუგზავნა ნოტა იმ ნოტის საპასუხოდ, რომელშიაც პოლონეთის მთავრობა პროტესტს აცხადებდა იმ განცხადებათა წინააღმდეგ, რომელნიც გერმანიის მთავრობის პარტიების წარმომადგენლებმა გააკეთეს რეიხსტაგში 23 ნოემბერს სათემო არჩევნების შესახებ ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში.

გერმანიის მთავრობა სცნობს, რომ პოლონეთის პროტესტი დაუსაბუთებელია. **ამასთანავე ნოტა მიუთითებს გერმანელთა უმცირესობის საჩივარზე ზემო სილეზიის პოლონურ ნაწილში** იმ დემონსტრაციის გამო, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ გაიმართა 28 ნოემბერს კატოვიცაში პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრსა და სილეზიის სამხედრო პირების მონაწილეობით. (ადს).

ახალგაზ. გლეხთა ყრილობა

აკრძალა ბულგარეთის მთავრობამ

ვენა, 5 დეკემბერი. ბულგარეთის გლეხურ ახალგაზრდობის ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო ნოემბრის ბოლოს, არ შესდგა იმის გამო, რომ ის აკრძალა ბულგარეთის ხელისუფლებამ. (ადს).

სხვადასხვა

ცურვის რეკორდი

ბერლინი, 6 დეკემბერი. ცურვაში საერთაშორისო შეჯიბრებაზე სტრასბურგში გერმანელმა განს ფაუსტმა მსოფლიო რეკორდი აიღო: 1 წამსა და 15 სამმეხუთედ წუთში გასცურა 100 მეტრი. (ადს).

კლოდ მონეს გარდაცვალება

ლონდონი, 6 დეკემბერი. ვერნონში გარდაიცვალა ეგრეთწოდებული იმპრესიონიზმის უდიდესი ხელოვანი კლოდ მონე. (ადს).

კუკი საბჭოთა კავშირში

კუკი ნეგორელოეში

ნეგორელოე, 6 დეკემბერი. 4 დეკემბერს ღამით ნეგორელოეში ჩამოვიდა ინგლისის სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის გენერალური მდივანი კუკი. სადგურზე კუკს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშების წარმომადგენლები, რომელნიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და აგრეთვე ბელორუსიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი. კუკს თან ახლავს მისი მდივანი. (ადს).



საუბარი კუკთან

ნეგორელოე, 6 დეკემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში კუკმა განაცხადა:

„ინგლისის გაფიცვის დამარცხების მიზეზი გახდა სამთამადნო მუშების კატასტროფიული მდგომარეობა. ამოწურულ იქნა ბრძოლის ყველა საშუალებები. შიმშილით და ტანსაცმლის უქონლობით დაუძლურებულმა სამთამადნო მუშებმა გადასწყვიტეს წასულიყვნენ შეთანხმებაზე საბოლოო განადგურების თავიდან ასაცილებლად. მომავალში ცალკე ფედერაციების მაგიერ ინგლისში დაარსებულ იქნება სამთამადნო მუშების მთლიანი კავშირი. მემარჯვენე ბელადების ღალატის შესახებ კუკმა სთქვა: „ბელადებმა ვერ შეიგნეს მუშათა კლასის ინტერესები და ალღო ვერ აართვეს ეკონომიურ ამოცანას, რომელიც მუშათა კლასის წინაშე იდგა. ისინი ზავსა და კომპრომისს უჭერდნენ მხარს. ამ ბელადებმა საბოლოოდ დაჰკარგეს ნდობა მუშათა კლასის თვალში. ინგლისის მთავრობამ ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ყოველგვარი დახმარების გარეშე დაეტოვებია სამთამადნო მუშები. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ სამთამადნო მუშები დამარცხდნენ, **კონფლიქტის პრობლემა ჯერ არ არის გადაჭრილი. მუშები ხელახლა ირაზმებიან და მალე განაახლებენ ბრძოლას“.**

კუკი საბჭოთა საზღვრებიდან სალამს უგზავნის საბჭოთა კავშირის მშრომელთ და მადლობას უხდის მათ ძმურ დახმარებისათვის. (ადს).

კუკი მოსკოვში

მოსკოვი, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა, საკავშირო პროფკავშირთა ყრილობაზე დასასწრებლად, ინგლისელ მემაღაროეთა სასწრებლათ, ინგლისელ მემაღაროეთა ფედერაციის მდივანი — **კუკი**. მას თან ახლავს მდივანი — ინგლისის კომპარტიის წევრი. კუკი ფიქრობს დარჩეს მოსკოვში ორი კვირა და შემდეგ დაბრუნდეს ისევ ლონდონში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს კუკმა გადასცა, რომ იგი ფრიად მოხარული იყო გამომგზავრებულიყო საბჭოთა კავშირში, ვინაიდან ძალიან აინტერესებს საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის შესწავლა, საიდანაც ინგლისელ მუშებს შეუძლიათ მიიღონ ბევრი გაკვეთილები. (ადს).

კუკი მემაღაროეთა ბრძოლის შესახებ

მოსკოვი, 6 დეკემბერი. საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს, რომელიც კუკს შეხვდა სადგ. ვიაზმაში, გზაში ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან ინგლისელ გაფიცულ მემაღაროეთა ბრძოლის შესახებ.

კუკმა საუბარში განაცხადა: — მაღაროს მეპატრონეები მუშებთან ბრძოლით ცდილობდენ გაიაფონ შრომა, რასაც მათ უკვე მიაღწიეს სამუშაო დროის 1 საათით გადიდებით და სამუშაო ხელფასის დაკლებით. გაფიცვამ დიდი ზარალი მიუტანა და ერთგვარათ არივ-დარია მთელი ინგლისის ქვანახშირის მრეწველობა. მაღაროს მეპატრონეები ეხლა ცდილობენ მის აღდგენას სამუშაო ხელფასის შემდეგი დაკლებით, ვინაიდან მათ მხოლოთ ამ გზით შეუძლიათ ნახშირზე ფასების დაკლება და უცხოეთის ბაზრის დაკავება.

მეორეს მხრივ სამუშაო დროის გაგრძელება საშუალებას მისცემს მაღაროების მეპატრონეებს შეამცირონ მემაღაროე მუშათა რიცხვი. **200—300 ათას მუშამდე აღარ იქნება უკან სამუშაოზე მიღებული.**

საშუალებათა ეკონომიისა და ქვანახშირის მრეწველობის რაციონალიზაციის მიზნით მაღაროთა მეპატრონეებს განზრახვა აქვთ დაჰკეტონ ტეხნიკური მოწყობილობათა მხრივ დაძველებულ მაღაროების 10 პროცენტი და მათ მაგიერ გააძლიერონ მუშაობა ახალ მაღაროებში. ამნაირათ მუშების ექსპლოატაციისა და უმუშევრობის ხარჯზე ნახშირის მრეწველობა დროებით კვლავ დაიპყრობს თავის ძველ მდგომარეობას; თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგანაც მაღაროთა მეპატრონეების პირობები მუშებს ძალათ მოახვიეს თავზე. ძალების მოკრების შემდეგ, **მე დარწმუნებული ვარ, მემაღაროელები კვლავ შეუდგებიან ბრძოლას და ამ შემთხვევაში გამარჯვება უსათუოდ ჩვენს მხარეზე იქნება.**

ჩვენი მიზანია—შევქმნათ მთლიანი კავშირი მაღაროების მეპატრონეებთან ბრძოლის საქმეში და გავემიჯნოთ შეთანხმებლებს, რომ უფრო მტკიცეთ განვაგრძოთ დარაზმული ბრძოლა.

მიუხედავათ დროებითი დამარცხებისა, მემაღაროებმა გაფიცვიდან მაინც მიიღეს მომავლისათვის სასარგებლო გაკვეთილები. მათ გაიგეს, რომ მაღაროების მეპატრონეები არ არიან მათი ერთად-ერთი მტერი, რომელთანაც მუშებმა უნდა იბრძოლონ. ისინი მიხვდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არის ბრიტანეთის მთელი მრეწველობა, ბანკირები და მთავრობა. მემაღაროელები მიხვდნენ, რომ ეს არის ბრძოლა არა მარტო ეკონომიური ხასიათის, არამედ პოლიტიკურიც. პროფკავშირების აღმასკომთა კონფერენციაზე, რომელიც უკვე მოწვეულია, მემაღაროეთა ბელადები დაამტკიცებენ, რომ დამარცხებაში დამნაშავეა გენსაბჭო, რომელმაც თავისი შეთანხმებლური პოლიტიკით მოახდინა გაფიცვის ლიკვიდაცია.

შემდეგ კუკი შეეხო მემაღაროეთა დახმარების საკითხს, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების პროლეტარიატის მხრივ და სთქვა:

— საბჭოთა კავშირის მუშებმა გაუგზავნეს 11.500.000 მანეთი დახმარება. სხვა ქვეყნებიდან შემოვიდა 500-ათას მანეთამდე. ამსტერდამის ინტერნაციონალმა მოაგროვა დაახლოებით 590.000 მანეთი, ამერიკის შრ. ფედერაციამ 200.000 მან., ხოლო დიდი ბრიტანეთის მუშებმა შეკრიბეს 4.300.000 მანეთი. სულ გაფიცვის დროის განმავლობაში შემოვიდა 15.000.000 მანეთამდე.

ყველა ქვეყნიდან, რომ ისეთი დახმარება მიგვეღო, როგორიც საბჭოთა კავშირიდან, მაშინ გაფიცვა მიიღებდა სულ სხვა სახეს. ფულს, თითქმის ყველგან კრებდნენ აღმასკომების სურვილის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის მუშებს უფრო სურდათ ჩვენი გამარჯვება, ვიდრე ჩვენს პროფკავშირებს.

მე განზრახვა მაქვს,—სთქვა შემდეგ კუკმა,—გამოვიყენო ჩემი აქ ჩამოსვლა და გავმართო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკასთან ინგლის-საბჭოთა სამთამადნო მუშათა კომიტეტის დაარსების შესახებ. ინგლისელი მემაღაროელები ერთსულოვნათ მოითხოვენ ასეთი კომიტეტის დაარსებას. მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ საშუალება გვექნება მოვიწვიოთ კონფერენცია აღნიშნული კომიტეტის ჩამოსაყალიბებლათ.

კითხვაზე, თუ რა მოსაზრებით ფიქრობს იგი ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მოწყობას, — კუკმა უპასუხა, რომ სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალს იგი **სთვლის უსარგებლო დაწესებულებათ ინგლისელ მემაღაროეთათვის**. გარდა ინგლისელი მემაღაროელებისა, საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალში შეყვანის წინააღმდეგ არიან ყველა ქვეყნების კავშირები, რაც აზრს უკარგავს ინტერნაციონალის არსებობას.

— მე მოვითხოვ ძველი, უსიცოცხლო და უსარგებლო ინტერნაციონალის ლიკვიდაციას. მას ძალიან გამოულპა საფუძველი, იგი უნდა დაინგრეს და შეიქმნეს ახალი, ცხოველმყოფელი და მუშათა ინტერესების დამცველი ინტერნაციონალი—დაასრულა საუბარი კუკმა. (ადს).

საუბარი გლინ ევანსთან

მოსკოვი, 6 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან მოკლე საუბარში, კუკის მდივანმა, ინგლისის კომპარტიის წევრმა **გლინ ევანსმა** განაცხადა, რომ გაფიცვის დროს კუკმა 300 მეტი მიტინგი მოაწყო. გარდა ამისა ის გამოდიოდა მთელ რიგ სახელდახელოდ მოწყობილ მიტინგებზე. ყველგან მუშები მას დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. თვით უკანასკნელ მიტინგებზედაც კი მუშები აღფრთოვანებულ სულიერ განწყობილებაში იყვნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ და არა დამარცხებას. მუშები დარწმუნებული არიან, რომ ეს მხოლოდ დროებითი უკანდახევაა, შესვენება, ძალღონის მოკრეფა, რის შემდეგ განახლებული ძალებით ისინი კვლავ შეუდგებიან ბრძოლას და მიიყვანენ მას საბოლოო გამარჯვებამდე.

სხვათა შორის, გლინ ევანსმა აღნიშნა, რომ გაფიცვის განმავლობაში ინგლისის კომპარტია ერთი ორად გაიზარდა. გაფიცვამდე ის ითვლიდა 6.000 წევრს. ეხლა კი ითვლის 12.000, რომელთაგან 80 პროც. მემაღაროებია. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

იურიდიული დახმარება გლეხობას

მოსკოვი, 6 დეკემბერი. 4 დეკემბერს იუსტიციის სახ. კომისარიატთან შესდგა თათბირი გლეხთათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ყოველ თემში განსაკუთრებული მომუშავე უნდა იყოს ამ მიზნისათვის. (ადს).

უკრაინა

პროფკავშირთა ყრილობა

ხარკოვი, 6 დეკემბერი. 4 დეკემბერს დაიხურა უკრაინის პროფკავშირთა ყრილობა. **ყრილობამ აირჩია უკრაინის პროფკავშირთა საბჭო 120 წევრისა და 49 კანდიდატის შემადგენლობით.** (ადს).

„დნეპროსტროი“

ხარკოვი, 6 დეკემბერი. უკრაინის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში შრომის მოწესრიგების შესახებ დნეპრის ჰიდრო-ელექტროსადგურზე, შრომის სახალხო კომისარმა სუხომლინმა განაცხადა შემდეგი:

„წინასწარი ცნობებით, „დნეპროსტროის“ მშენებლობას პირველ წელში დასჭირდება 5 ათასიდან 7.000 მუშამდე, რომელთაგან 2.000 — კვალიფიციური მუშა უნდა იყოს. გარდა ამისა, „დნეპროსტროი“ გამოიწვევს ბაზრის საერთო გაცხოველებას, რადგან ის იწვევს საამშენებლო მასალის, ცემენტის და ლითონის ნაწარმოების დიდ მოთხოვნილებას და ტრანსპორტზე მოძრაობის გაძლიერებას. „დნეპროსტროის“ მშენებლობა დიდათ შეანელებს უმუშევრობას უკრაინაზე. სხვადასხვა სახის სამუშაოებს განსაკუთრებით მიწის სამუშაოებს ასრულებდნენ უმუშევართა სპეციალური არტელები.

„დნეპროსტროის“ გარშემო პრესში ფართე კამპანიის დაწყების გამო შემჩნეულია უმუშევართა უწესრიგო თავმოყრა უკრაინაში. ეს თავმოყრა პირველ ხანებში დიდ უარყოფით გავლენას მოახდენს თვით ჩამოსულ უმუშევრებზე ჯერ ერთი იმის გამო, რომ საეჭვოა მათი სამუშაოზე მოწყობა და მეორე იმიტომ. რომ ისედაც გამწვავებულია საბინაო კრიზისი. მუშა-ხელის ნაკლებობას უკრაინაში არ იგრძნობს „დნეპროსტროი“, რაც უნდა ეცნობოს საბჭოთა კავშირის ყველა ბაზრებს, რომ შეაჩერონ უმუშევრობის მოძრაობა. „დნეპროსტროის“ სამუშაოებზე დაქირავება იწარმოებს სასტიკი ორგანიზაციული წესით და პირველ რიგში გამოყენებული იქნებიან უკრაინის უმუშევრები. (ადს).

ქარიშხალი შავ ზღვაზე

ოდესა, 6 დეკემბ. ღამით, 4 დეკემბერს, ოდესის ნაპირებზე იყო ძლიერი ქარიშხალი.

მიღებულია ცნობები, რომ ასეთივე ქარიშხალი იყო ყირიმის ნაპირებზე. (ადს).

ოდესა, 6 დეკემბერი. თბილი ამინდებისა და წვიმების შემდეგ მთელი აზოვის და შავი ზღვის ნაპირებზე ტემპერატურა მოულოდნელად დაეცა. ზღვაზე მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი. (ადს).

ამხ. კალინინი ტულაში

ტულა, 6 დეკემბერი. 5 დეკემბერს ტულაში ჩავიდა ამხ. კალინინი, რომელიც საგუბერნიო პარტკონფერენციაზე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. 6 დეკემბერს ამხ. კალინინმა დაათვალიერა ტულის ქარხნები. (ადს).

ტაჯიკისტანი

ბამბის პირველი ქარხნები

დიუშამბე, 6 დეკემბერი. ჯილიკულში დასრულდა ტაჯიკისტანში ბამბის პირველი ქარხნის აშენება. მოკლე ხანში დასრულდება, აგრეთვე, ქარხნების აშენება კურგან-ტიუბესა და საროში. დაიწყო ქარხნის აშენება დიუშამბეში. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

920 სადგილი უბანი

ბაქო, 6 დეკემბერი. მთავარმა საბამბო კომიტეტმა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს გადასცა 90000 მანეთი იმ პირობით, რომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ამ თანხით მიმდინარე წელში საბამბო რაიონებში მოაწყოს 920 სადგილი უბანი, წინანდელ 230 მაგიერ. (ადს).

ხორბლის დამზადება

ბაქო, 6 დეკემბერი. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა აზერბეიჯანის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველოსთვის 800.000 ფუთი ხორბლის დამზადების ნებართვის შესახებ. ეს ხორბალი უნდა დამზადდეს ჩრდილოეთ-კავკასიაში. (ადს).

სახელმწიფო მუზეუმი

ბაქო, 6 დეკემბერი. აზერბეიჯანის სახელმწიფო მუზეუმში სხვადასხვა სისრულით არის წარმოდგენილი იტალიის, ვენეციის, ესპანეთის, ჰოლანდიის, გერმანიის და საფრანგეთის სამხედრო სკოლები. განსაკუთრებით მდიდარია რუსული მხატვრობა, სადაც წარმოდგენილია მე-16, მე-17 და 18 საუკუნეების რუსული ხელოვნება. ეს სურათები 200-ზე მეტი ეგზემპლიარი თავის დროზე იქნა მიღებული საბჭოთა კავშირის ცენტრალური მუზეუმიდან. ზოგიერთი სურათი მეტად ძვირფასია, ასე მაგ., სურათი „სალომეა“ შეფასებულია 100.000 მანეთად.

მუზეუმში არის აივაზოვსკის, ვერეშჩაგინის, ლაგორიის და სხ. სურათები.

სომხეთი

სამაზრო პარტიული კონფერენცია

ლენინაკანი, 6 დეკემბერი. ლენინაკანის მაზრის მე-7-ე პარტკონფერენციაზე, მე-15-ე პარტკონფერენციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ამბარცუმიანი. (ადს).

დახმარება

ლენინაკანი, 6 დეკემბერი. ლენინაკანის აღსადგენად დაარსებულ სამაზრო კომიტეტს სახელზე პავშინის (მოსკოვის გუბერნია) მეორე საფეხურის სკოლის მეხუთე ჯგუფის მოწაფეთაგან მიღებულ იქნა 3 მანეთი.

ფულს დართული ჰქონდა შემდეგი წერილი:

„ჩვენ გეოგრაფიის გაკვეთილზე გავიგეთ ლენინაკანში მომხდარ მიწისძვრის საშინელი შედეგების შესახებ, მე-5-ე ჯგუფ. მოწაფეთა საერთო კრებამ დაადგინა ნებაყოფლობით შეეკრიბა ფული და შეგროვილი თანხა გაეგზავნა ლენინაკანის ბავშვების სასარგებლოდ.

თათბირები

პროლეტარულ სტუდენტთა კონფერენცია

პირველი სხდომა

კვირას, დღის 12 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა მეოთხე გაფართოებული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის ბიუროს თავმჯდომარემ—ამხ. ა. მდივანმა, რომლის წინადადებით კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. კრასინის ხსოვნას.

შემდეგ კონფერენცია შეუდგა საქმიანი ორგანოების არჩევას.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. შამბერგი, მდივანი, ბარამიძე, სვანიძე; ასრიბეგოვი; ვანცხავა, გეგენავა, ხვიჩია, მეფოდიევი, დარაჯელიძე; თარხანოვი, ვაშაკიძე, კალანდაძე ქეთო, გაბიანი; დოშოიანი, შატოხინი და ჰოლოშვილი.

სამდივნოში: ხოფერია, ხორავა, გაბრიაძე; კოზაევი და ლაბაკოვი; სამანდატო კომისიაში: პოპლავსკი, ნიკოლაიშვილი და ბეკ-ოსიპოვი.

საპატიო პრეზიდიუმში: ამხ. სტალინი, ბუხარინი, ტომსკი, ლუნაჩარსკი, ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ქართველიშვილი, კახიანი, მახარაძე, ყურულაშვილი, სუხიშვილი და დ. კანდელაკი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. შამბერგის მოხსენება სრულიად საკავშირო პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ.

ამხ. შამბერგის მოხსენება

მომხსენებელი ეხება იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლის ცენტრალურ ბიუროს მუშაობას და აღნიშნავს, რომ ბიურო ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში აერთიანებს 1.320 სასწავლო ერთეულს; აქედან 123 უმაღლესი სასწავლებელია, 13 კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი, დანარჩენები სხვადასხვა სპეციალური ტეხნიკუმები და მუშფაკები.

ყველა ამ სასწავლებლებში სწავლობს 339.000 სტუდენტი, მათ რიცხვში 25 პროც. მუშები და მათი შვილები, 26 პროც. გლეხები და მათი შვილები, დანარჩენი—მშრომელი ინტელიგენცია.

მთელი ამ სტუდენტობიდან პროფკავშირებში აერთიანებულია 64 პროც.; პარტიულობის მიხედვით, 13 პროც. კომუნისტებია, 14 პროც. კომკავშირელები, დანარჩენი— უპარტიოები.

წელს უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებული იყო მიღების ახალი სისტემა. ადგილების წინასწარ განაწილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა შარშან, წელს შეიცვალა. სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის განაწილებული იქნა მხოლოდ ადგილების 60 პროც., დანარჩენი 40 პროც. მიღებული იქნა თავისუფლად.

ამას გარდა სტუდენტების კვალიფიკაციის გამოსარკვევად შემოღებული იქნა გამოცდები. წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნა სულ 21.640 სტუდენტი, აქედან 4.000 კაცი მიღებულია მუშფაკებიდან.

რუსეთში წლიურად სტიპენდიებზე იხარჯება 24.630.000 მანეთი, სტიპენდიანტების რიცხვი კი უდრის 92.312 კაცს.

მეორე სხდომა

პროლეტ-სტუდენტთა თბილისის ბიუროს მუშაობა

(ამხ. მდივანის მოხსენება)

საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. მდივანის მოხსენება პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის ბიუროს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი ეხება ბიუროს მიერ ერთი წლის განმავლობაში შესრულებულ მუშაობას და აღნიშნავს, რომ ბიურო თავის მუშაობაში უმთავრესს ყურადღებას აქცევდა ეკონომიურ საკითხებს.

უპირველეს ყოვლისა, მიღებული იყო ზომები სტუდენტების გასაერთიანებლად პროფკავშირებში. წლის დასაწყისში პროფკავშირებში გაერთიანებული იყო მხოლოდ სტუდენტობის 29—30 პროც., ბიურომ შესძლო ამ რაოდენობის 35 პროც. აყვანა. მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტში 6040 კაციდან პროფკავშირის წევრი იყო 864 სტუდენტი, ეხლა კი არის 1.500 კაცი.

ამჟამად ბიურო აერთიანებს 15 სასწავლო ერთეულს, რომლებშიაც ითვლება 12.825 წევრი; აქედან პროფკავშირების წევრია—4.481 კაცი, ე. ი. 35 პროც., სტუდენტობიდან 1.544 კაცი მუშებია და 1098 გლეხები.

სტიპენდიანტთა რიცხვი უდრის 1.569 კაცს, ე. ი. მთელი სტუდენტობის 12,5 პროც., შარშან სტიპენდიების გადიდება ვერ მოხერხდა, 25-27 წლისათვის კი სათანადო ორგანოების მიერ გადიდებულია 30.000 მანეთი სტიპენდიების გასადიდებლად.

ბიუროს მიერ მიღებულია ზომები სტუდენტობის კვების გასაუმჯობესებლად. ბიურომ აღმასკომისაგან მიიღო ერთდროული დახმარება, რომლითაც მოეწყობა სადილების გაუმჯობესება. მიღებულია ზომები აგრეთვე სტუდენტების ჯანმრთელობის დასაცავად. წელს ბიუროს მიერ სანატორიუმებში სამკურნალოდ გაგზავნილი იქნა 14 კაცი.

ეკონომიური მუშაობის გარდა ბიურო მონაწილეობას იღებდა აკადემიურ მუშაობაშიაც. შემუშავებული იქნა ნორმები ახალი სტუდენტების მისაღებად. ამას გარდა, ბიურომ მონაწილეობა მიიღო სასწავლო გეგმების შედგენაში.

დიდი მუშაობა იქნა აგრეთვე ჩატარებული სტუდენტების საზაფხულო პრაქტიკაზე გაგზავნის საქმეში; სულ წელს პრაქტიკაზე გაიგზავნა 691 სტუდენტი.

მესამე სხდომა

კამათი

მესამე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ს მდივანის მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 35 კაცმა.

ორატორები აღნიშნავდნენ ცენტრალურ გამგეობის მუშაობის სისუსტეს, ეხებოდნენ საბინაო კრიზისს და აღნიშნავდნენ, რომ სტუდენტობა ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობას განიცდის; ორატორები მოითხოვდნენ, რომ სტუდენტების მეტი რიცხვი იქნეს მიღებული პროფკავშირებში.

აკადემიური საკითხების შესახებ ორატორებმა ხაზი გაუსვეს ბიუროს მუშაობის მიღწევებს და აღნიშნეს, რომ სამოსწავლო პროგრამები კარგად არის დამუშავებული. ორატორების მიერ გამოთქმული იქნა აგრეთვე აზრი სტიპენდიების როგორც რაოდენობის, ისე რიცხვის გადიდების შესახებ. ამ მხრივ ორატორები სასურველად სცნობდნენ ისეთ პროცენტულ შეფარდების მიღწევას, როგორსაც ადგილი აქვს სხვა მეზობელ რესპუბლიკებში.

6 დეკემბერს საღამოს სხდომაზე ამხ. შამბერგის და მდივანის მოხსენების გარშემო კამათის დასრულების შემდეგ, კონფერენციამ მოისმინა განათლების სახალხო კომისარის ამხ. კანდელაკის მოხსენება განათლების სისტემის შესახებ.

ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება მოთავსებულ იქნება ხვალინდელ ნომერში.

თათბირი ფასების დაკლების შესახებ

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის სამმართველოსთან შესდგა, საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო, სამრეწველო და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი საცალო ფასების დაკლების შესახებ.

ამხ. ბერელაშვილის მოხსენება

მოხსენება გააკეთა ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, შინავაჭრობის მოწესრიგებელი განყოფილების უფროსმა ამხ. ბერელაშვილმა, რომელმაც გააცნო თათბირს ის ღონისძიებები, რომლებიც რწმუნებულის სამმართველოს მიერ მიღებულ იქნა საცალო ფასების დასაკლებად. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საცალო ფასები საშუალოდ შემცირებულ იქნა 2-დან 4 პროცენტამდე, უმეტესად ფართო მოთხოვნილების საქონელზე, როგორიცაა: ფართლეული, ლითონის ნაწარმოები, საამშენებლო მასალა და სანოვაგე (ლობიო, კარტოფილი, ხახვი და სხვა).

რაც შეეხება ფასების დაკლებას, მაგარ სასმელებზე, ამას ხელი შეუშალა ტრესტისა და აქციზის გადიდებამ. ეხლა უკვე მიღებულია შესაფერი ზომები, ამ საქონელზე ფასების დაკლება ჩატარებული იქნება ცხოვრებაში. მომხსენებლის აზრით, ეს შესაძლებელი გახდება სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციით და აღნიშნულ საქონლით ვაჭრობის უფლების ჩამორთმევით იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

ფასების დაკლება კოოპ. ორგანიზაციებში

ამხ. ბერელაშვილის მოხსენების შემდეგ თათბირმა მოისმინა თბილისის ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისა მოხსენებები კოოპერატიულ ორგანიზაციებში ფასების დაკლების შესახებ.

თბილისის მუშკოოპის წარმომადგენელი ამხ. ანინიძე აღნიშნავს, რომ მუშკოოპმა საერთოდ შესძლო თავისი ხარჯების შემცირება. რაც შეეხება საცალო ფასების დაკლებას საქონელზე, ამ მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: ასანთზე და მარილზე ფასები უცვლელი დარჩა. ფასები შაქარზე შემცირდა 3 პროცენტით. დანარჩენ საქონელზე ფასების დაკლების ჩატარებას მრავალმა მიზეზებმა შეუშალა ხელი.

საერთოდ კი მუშკოოპის ზედნადები ხარჯები შემცირებულ იქნა 1 პროცენტით. დაახლოებით ამდენითვე შემცირებული ფასები საქონელზე.

„მეთამბო“-ს წარმომადგენელი ამხ. შირიაევი აღნიშნავს, რომ „მეთამბოში“-ც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც მუშკოოპში.

„ფოსტელკოპი“-ს წარმომადგენელი ამხ. შოთაძე ამბობს, რომ „ფოსტელკოპში“-ც ფასების დაკლების საქმე ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც მუშკოოპში. განსხვავება იმაშია, რომ „ფოსტელკოპი“ წევრებს საქონელს აძლევს 2 პროცენტით ნაკლებ ფასებში, ვიდრე კერძო მოქალაქეებს!

ამხ. ტაუგლიხი, საზ-ბა „თბილისის ვაჭრობა“-ში ფასების დაკლების შესახებ ამბობს, რომ ამხანაგობა ცალობით ვაჭრობას არ აწარმოებს. მხოლოდ ეხლა ფიქრობენ საცალო მაღაზიის გახსნას. ბითუმად ვაჭრობაში კი ზედნადები ხარჯები შემცირებულია 2 პროცენტით.

საქ. სახ. ვაჭრობის [illegible] ფასების დაკლების შესახებ მომხსენებელი ამხ. მატინოვი ამბობს, რომ მათ 1 ნოემბრისათვის შესძლეს საცალო ფასების საშუალოდ 5 პროცენტით დაკლება.

კამათი

ბ. თევზაია, უკეთებს რა დასკვნებს მოხსენებებს აღნიშნავს, რომ საცალო ფასების მნიშვნელოვანი დაკლება ჯერ-ჯერობით არ მომხდარა.

მომხსენებელი დასასრულ აყენებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა ჩატარება, მისი აზრით, შესაძლებელად გახდის საცალო ფასების კიდევ უფრო დაკლებას.

ასეთ ღონისძიებებად ბ. თევზაიას მიაჩნია: 1) რაციონალიზაცია საერთო სავაჭრო ქსელის, რომელიც სავსებით გამარტივებული უნდა იქნეს, 2) ვაჭრობის აკრძალვა ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამისათვის მოწყობილნი არ არიან.

მნიშვნელოვან ზომად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე საცალო ვაჭრობის გადაცემა კოოპერაციისათვის, რაც გამოიწვევს დატვირთვას უკანასკნელის საქონლით და ზედნადებ ხარჯების შემცირებას.

თათბირს აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო საცალო ვაჭრობის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის და მისი გადაცემა კოოპერაციისათვის.

ამასთანავე თათბირს აუცილებლად მიაჩნია, სავაჭრო ფუნქციების ჩამორთმევა ისეთ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც არ არიან ამისათვის მოწყობილნი. ასეთებია: საზ-ბა „დინამო“, „წითელი ჯვარი“, გლეხკომები, ინვალიდთა დამხმარე კომიტეტი და სხვები.

საქ. პასუხისმგებელ შრომის არტელის კონფერენცია

კვირას, დღის 12 საათზე, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის წევრთა მორიგი მე-6 კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ამხ. **კალანდიამ**; არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 5 კაცის შემადგენლობით. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები:

1) გამგეობის საანგარიშო მოხსენება;
2) არტელის ფინანსიური მდგომარეობა;
3) სახელმწიფო დაზღვევაზე გადარიცხვა არტელის წევრების;
4) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
5) მიმდინარე საკითხები.

არტელის გამგეობის მუშაობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. **ასკურავამ**. იგი შეეხო არტელის მუშაობას უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში და ამ მუშაობის მძიმე პირობებს. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო თავდებობამ უკანასკნელ ხანებში მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა არტელის წევრები. არტელის წევრები უმთავრესად ემსახურებიან რკინის გზას მოლარეებად. მომხსენებელმა განაცხადა, რომ სავსებით არ არის ანაზღაურებული წარსული წლის დავალიანება.

შემდეგ ამხ. ასკურავა შეეხო გამგეობის საორგანიზაციო მუშაობას და აღნიშნა ზოგიერთი მიღწევები ამ დარგში.

გუშინდელ სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა, ამხ. ირ. გერსამიას ვრცელი მოხსენება არტელის წევრების სახელმწიფო დაზღვევაზე კოლექტიურ გადაყვანის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოება რომ მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო დაისვა საკითხი გამგეობის წინაშე არტელის სახელმწიფო დაზღვევაზე გადაყვანის შესახებ. დავალიანება რკინისგზისადმი არტელისა ამ ჟამად შეადგენს 75.000 მანეთს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არტელის წევრებს საერთაშორისო თავდებობით გადაუხდია რკინისგზისათვის 200.000 მანეთი. ამის გამო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან არტელის წევრები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ამხანაგმა. კამათის დამთავრების შემდეგ დაიხურა გუშინდელი სხდომა.

ინჟინერ-სპეციალისტების თათბირი

4 დეკემბერს სახელმწიფო სათბობის განყოფილებაში შესდგა სპეციალისტების განსაკუთრებული თათბირი, ტყიბულის მაღაროებში გაჩენილ ცეცხლის შემდეგ ნახშირის ამოღების განსავითარებელ ზომების გამოსამუშავებლად.

თათბირმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას ნახშირის ამოსაღებად ყველა იმ ადგილებში, სადაც სათანადო გამოკვლევები იძლევიან დადებით შედეგებს. აღნიშნულ მიზნით დაწყვეტილი დაიქირავონ მუშები დიდი რაოდენობით და შეუდგნენ მუშაობას დღე და ღამით სამ ცვლად. სამუშაოთა სახელმძღვანელოთ ადგილობრივ გაგზავნილია ინჟ. ტ. ყიფიანი. თათბირმა დაადგინა აგრეთვე მაღაროებში მუშების ზედმიწევნით იქნას დაცული ხანძრის მიზეზების გამომკვლევი კომისიის დადგენილება ახალ ადგილებზე ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებლად.

ვინაიდან ამას წინედ გაჩენილი ხანძრის ადგილი უკვე უშიშროდაა ცნობილი, ამიტომ თათბირმა დაადგინა ხანძრის ადგილის ქვეშ გათხრილ იქნას გვირაბი, რომელიც გახსნის გზას 70.000.000 ფ. მარაგიან ფენისაკენ. აღნიშნულ ადგილიდან ნახშირის გამოტანის გარდა, დაწყებულ იქნება აგრეთვე მუშაობა ახალ მაღაროს სათვალთვალოდ, აღმოსავლეთ უბანში; ამ ადგილას მაღაროს სიგრძე იქნება დაახლოებით 350 საჟენი. სპეციალისტების გამოანგარიშებით აღმოსავლეთ უბანში ნახშირის მარაგი უდრის დაახლოებით 200.000.000 ფუთს.

ყველა აღნიშნულ სამუშაოთა დაწყება განზრახულია მოხდეს დეკემბრის დასასრულამდე. ტყიბულში ნახშირის ამოღების რაოდენობა მაისამდე მიაღწევს 500.000 ფუთს, ე. ი. ხანძრის გაჩენამდე არსებულ ნორმას.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

6 დეკემბერს გაიხსნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პირველათ, პლენუმმა მოისმინა ამხ. **ამბარცუმიანის** ცნობა ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენისათვის გამომუშავებულ ზომების შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ანგარიში ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ზრდის მოწესრიგების შესახებ.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას გაფართოებული პლენუმი

მეხუთე სხდომა

(საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის სხდომაზე, რომელიც შესდგა კვირას დილით მოსმენილ იქნა ამხ. კახიანის მოხსენება ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლენინის მიერ 1921 წ. წამოყენებული ლოზუნგი საბჭოების გამოცოცხლების შესახებ სავსებით გამართლდა პრაქტიკულად. ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატს ემჩნევა გაჯანსაღება და გამოცოცხლება. სოფლის ღარიბი და ძირითადი საშუალო შეძლების გლეხთა ფენები პარტიას მისდევენ. საბჭოების გადარჩევის დროს ჩვენ გამოვააშკარავეთ მენშევიკების სრული პოლიტიკური გაკოტრება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველებას, ვინაიდან ქალაქი პროლეტარული დიქტატურის ძირითადი ბაზაა.

საქართველოს ქალაქის საბჭოების სოციალური შემადგენლობა ასეთია: 56 პროც. მოსამსახურე. 16 პროც. შინა-მრეწველნი და ხელოსნები, 15 პროც. მუშები. თბილისის ქალაქის საბჭოში მუშები შეადგენენ 59.5 პროცენტს. ბათომის საბჭოში—30 პროცენტს, ქუთაისის—21 პროცენტს, ფოთის—26,5 პროცენტს, ახალციხის, ლაგოდეხის, გორის, დუშეთის, ონის და ზუგდიდის ქალაქის საბჭოებში არც ერთი მუშა არ არის. ამ ქალაქებში. სადაც საკმაო მუშათა ბაზა არ არის, ქალაქის საბჭოებს არ აქვთ არსებობის უფლება; ისინი უნდა შეიცვალონ სათემო საბჭოებად.

საქმიანი საკითხები ქალაქის საბჭოებში წმინდა ფორმალურად სწყდება. მუშაობის [illegible] დადგენილია სახელმძღვანელო კრებების მოწყობაზე. კრებები იშვიათად იმართება. ქალაქის საბჭოების სექციების მუშაობას ჩიხში იძლევა სათათბირო ხასიათი, რის გამოც მისი წევრები ჰკარგავენ მუშაობის ინტერესს. საბჭოების მუშაობის გაცხოველებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს; ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ საბჭოებში ჩაბმულ იქნენ მუშათა ახალი ძალები. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ჩვენი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება და სხ. შეუძლებელია წარმატებით იქნას ჩატარებული, თუ ამაში არ ჩავაბამთ თვით მშრომელებს.

მოითხოვს აგრეთვე პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოებში. ფრაქციის წევრები ხშირად არ ესწრებიან საქმიან სხდომებს. მაშინ, როდესაც კომპარტიამ მტკიცე ხელმძღვანელობას უნდა უწიოს ქალაქის საბჭოების მუშაობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ამხ. მახარაძის და კახიანის მოხსენების გარშემო.

ამხ. ბაქრაძე აღნიშნავს. რომ ზოგიერთ მაზრაში არჩევნების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი პირობები და ქალთა კრებები ცალკე უნდა გაიმართოს. დუშეთის მაზრაში კრებებზე ვერ ჩატარდა მუშაობა ქალ გლეხებს შორის. მოსახლეობის ნაკლები აქტიობა საბჭოების გადარჩევის დროს აიხსნება იმით. რომ ზამთრის პირობებში არ გამოჩნდა სათანადო შენობები არჩევნების ჩასატარებლად. ამ მაზრებში საბჭოების გადარჩევა უნდა გადატანილ იქნას სხვა, უფრო მოხერხებული დროისათვის.

ამხ. ჟვანია წინააღმდეგია ქალაქის საბჭოების გაუქმებისა წვრილ ქალაქებში და იძლევა წინადადებას, რომ გაცხოველებულ იქნას მათი მუშაობა.

ამხ. ცეზაძე ამბობს, რომ ქალაქის საბჭოები უნდა გაუქმდეს მხოლოდ იქ, სადაც სრულიად არ არიან მუშები.

ამხ. კირტავა აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკამ მთავარი ყურადღება მიაქცია სოფლად მუშაობას, რის გამოც ნაწილობრივ მოიკოჭლებდა ხელმძღვანელობა ქალაქის საბჭოზე. ქალაქის ბიუჯეტი დეფიციტიანია. ქალაქის საბჭოს მუშაობისათვის უნდა შეიქმნეს ნივთიერი ბაზა.

ამხ. ღვედერიანმა აღნიშნა, რომ საბჭოების მუშაობის გაცხოველებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემობილიზაციაქმნილ წითელ არმიელებს.

ამხ. ჩერქეზიშვილი ამბობს, რომ წინასწარი საარჩევნო კამპანია ქალებს შორის სუსტად ჩატარდა. საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში აუცილებლად ჩაბმულ უნდა იქნან დეპუტატი-ქალები.

ამხ. ესაიაშვილი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ქალების ჩაბმა საბჭოების მუშაობაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. საკიაძემ, გოგოზიამ, ურუშაძემ, აკოფოვმა და ფციაურმა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კახიანი აღნიშნავს, რომ საკითხი სდგას ქალაქის საბჭოების გაუქმების შესახებ ისეთ ქალაქებში, სადაც მუშათა რიცხვი ძალიან მცირეა. ეს საკითხი დეტალურად იქნება განხილული. რაც შეეხება ქალების კრებების ცალკე მოწყობას, ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს პოლიტიკას და იგი ჩატარებულ უნდა იქნას იმ მაზრებში, სადაც საჭიროა.

აუცილებელია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის აღმასრულებელი ორგანოს გამოყოფა, რომელიც თბილისის აღმასკომში უნდა შევიდეს როგორც მისი ნაწილი. ამგვარად პრეზიდიუმის ყველა დადგენილებებს კონტროლს გაუწევს საბჭოს პლენუმი. მუშათა ფართო მასების აქტიობის აწევა მოითხოვს მუშათა და გლეხთა ახალი მასების ჩაბმას სახელმწიფო აღმშენებლობაში.

ამხ. მათიკაშვილმა საბოლოო სიტყვაში ხაზი გაუსვა დემობილიზაცია-ქმნილი წითელ არმიელების უდიდეს როლს. შემდეგ აღნიშნა, რომ ქალების საბჭოებში ჩაბმას სიძნელე აიხსნება ერთის მხრით მათი ჩამორჩენილობით და მეორეს მხრით მამა-კაცების კონსერვატიზმით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა ჩაბმას საბჭოებში და სარევიზიო კომისიების მოწყობას საბჭოებთან.

საბოლოო სიტყვების შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები. დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. რუხაძის მოკლე ინფორმაცია მოსახლეობის მომავალი აღწერის შესახებ, რის შემდეგაც პლენუმი დაიხურა.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინურ ცეკასთან ერთად

(სიღნაღი)

28 ნოემბერს შესდგა საქ. კომპარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე გამოვიდა ამხ. მ. ვარამაშვილი. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს კომპარტიის (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის პლენუმი, მოისმინა, რა მან მოხსენება ამხ. **ვარამაშვილისა** მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანათ უერთდება კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს.

პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტ-კონფერენციამ სწორათ და ლენინურათ გადასჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანები. კონფერენციამ, რომელიც ჩატარდა ლენინიზმის დროშის ქვეშ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ერთსულოვანი გადაწყვეტილებებით პარტიის ბოლშევიკური სიმტკიცე და ურყევი პროლეტარული რწმენა იმაში, რომ ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში.

მე-15 პარტ-კონფერენციამ სრული სიცხადით გამოამჟღავნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა არის ერთად ერთი სწორი გზა, რომლის მეხებით ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური ელემენტები განუწყვეტლივ იზრდებიან და ვითარდებიან.

საკავშირო კომპარტია მუდამ ებრძოდა და მომავალშიც შეებრძოლება ლენინიზმის გადამახინჯების და ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლის ცდას. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რა ოპოზიციონური ბლოკის 16 ოქტომბრის და აგრეთვე საქართველოს ოპოზიციის წევრთა განცხადებას, რომლითაც ისინი გმობენ ფრაქციულ ბრძოლას, სთვლის, რომ რადგან ოპოზიცია კვლავ რჩება თავის პრინციპიალურ პლატფორმაზე, მომავალში უნდა გაგრძელდეს იდეური ბრძოლა ოპოზიციის შემცდარ შეხედულებათა და სოციალ-დემოკრატიულ გადახრათა წინააღმდეგ, მათ სრულ დაძლევამდე.

პლენუმი უერთდება, რა მე-15 პარტ-კონფერენციის დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, საჭიროთ სთვლის მათ ცხოვრებაში გატარებას სისწრაფით.

სიღნაღის მაზრის ორგანიზაცია შემდეგშიაც განაგრძობს შინაპარტიულ დემოკრატიის ყოველ მხრივ განვითარებას და განმტკიცებას პარტიის ბოლშევიკური მთლიანობის და რკინისებურ დისციპლინის საფუძველზე და ყოველ ღონეს იხმარს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით ასაგვარგვინებლად.

გაუმარჯოს ლენინურ პარტიის მთლიანობას, გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ბოლშევიკურ ცეკას!

ბოლშევიკური რიგების მთლიანობისათვის

(ახალციხე)

26 ნოემბერს შესდგა საქართველოს კომპარტიის ახალციხის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. კრასინის ხსოვნას, რის შემდეგ მოისმინა ამხ. **ცეხაძის** მოხსენება მე-15 პარტ-კონფერენციის შედეგების შესახებ. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. **ცეხაძის** მოხსენება მე-15 პარტ-კონფერენციის შედეგებს შესახებ, ქ. ახალციხის საერთო-საქალაქო პარტიული კრება კომკავშირის აქტივის, კავკასიის № მსროლელ პოლკის, სანაპირო-სამოსწავლო პოლკის და ახალციხის № სანაპირო რაზმის პარტიულების თანდასწრებით, სავსებით უერთდება პარტ-კონფერენციის ყველა დადგენილებებს. კრება აღნიშნავს, რომ მე-15 პარტ-კონფერენციამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო პარტიის ბოლშევიკური მთლიანობა და სიმტკიცე, მიიღო რა ერთხმად რეზოლიუციები ყველა საკითხების გარშემო.

ოპოზიციონური ბლოკის პოზიცია, რომელსაც მეთაურობდენ ამხ. ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი და რომელსაც არ სწამდა სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, მიიღდა სოციალ-დემოკრატიის და მენშევიზმის პოზიციამდე, მას ერთსულოვნად წინააღუდგნენ ლენინურ საკავშირო კომპარტიის ყველა ორგანიზაციები და მე-15 პარტ-კონფერენცია, რის გამო ოპოზიციამ სრული მარცხი და იდეური გაკოტრება განიცადა. ოპოზიცია, რომელმაც მე-15 პარტ-კონფერენციაზე ლენინიზმის დამოწმებით სცადა თავზე მოეხვია პარტიისათვის სოციალ-დემოკრატიული შეხედულებები, აუცილებლად მოითხოვს პარტორგანიზაციებისაგან დაუზოგავ ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე, რათა აქაც ოპოზიციის ბელადებმა საბოლოო კაპიტულიაცია მოახდინონ და შემცდარად აღიარონ თავიანთი შეხედულებები.

კომპარტიის ახალციხის ორგანიზაციის საერთო კრება მოუწოდებს საქართველოს კომპარტიის ცეკას განაგრძოს ბრძოლა ქართველ ოპოზიციონერების წინააღმდეგ და თუ ეს საჭირო იქნება არ დაერიდოს მათ პარტიიდან გამორიცხვას. პარტიამ არავის არ უნდა მისცეს ლენინიზმის მოძღვრების გადამახინჯების უფლება.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ლენინიზმს!“

ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ყველა თემკომებს

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით სრულიად საკავშირო პარტ-აღწერის დაწყება გადადებულია 1926 წლის 10 დეკემბრიდან 1927 წ. 10 იანვრისათვის. 10 იანვრამდე შეიძლება შეიცვალოს თემკომების მიერ გაერთიანებულ უჯრედების რიცხვის შემადგენლობა, ამიტომაც თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ჩაატაროთ შემდეგი მოსამზადებელი მუშაობა:

1) აცნობოთ პარტიულებს პარტიული აღწერის ჩატარება. დასვათ ეს საკითხი უჯრედების ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე. 2) დააგზავნოთ უჯრედებში და საკანდ. ჯგუფებში ჩვენს მიერ გამოგზავნილი ცირკულიარი და თვალყური ადევნოთ მის შესრულებას იმ მიზნით, რათა ყველა საჭირო სიები წარმოდგენილ იქნენ თემკომში არა უგვიანეს ა.-წ. 15 დეკემბრისა.

15-დან 20 დეკემბრამდე 3) შეამოწმებულ იქნეს უჯრედების ნამდვილი შემადგენლობა საუჯრედო სიების (ფ. № 1) თემკომებში არსებულ სიებთან შედარებით, 4) უჯრედების სიების მიხედვით გამორკვეულ იქნას კომუნისტების მიერ საერთო კრებებზე დაუსწრებლობის მიზეზი. 5) უჯრედის სიების მიხედვით შემოწმებულ იქნას საწევრო გადასახადის შეტანა.

6) უჯრედებში და საკანდიდატო ჯგუფებში იმ კომუნისტების შემადგენლობის საბოლოოდ გამორკვევის შემდეგ, რომლებსაც ეხებათ პარტ-აღწერა, შედგენილ იქნეს თანდართულ ფორმის „ც“-ს მიხედვით უჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების სია და არა უგვიანეს 15 დეკემბრისა გადმოგზავნილ იქნას იგი თბ. კომიტეტში.

7) შედგენილ იქნეს პარტიის იმ წევრებისა და კანდიდატების სია, რომლებიც უკვე დამტკიცებულნი არიან თბ. კომიტეტის მიერ, მაგრამ რამე მიზეზების გამო პარტ-დოკუმენტები არ მიუღიათ. ამავე სიაში იქმნენ შეტანილი ამხანაგები, რომლებმაც დაჰკარგეს პარტ-დოკუმენტები. ეს სია უნდა გამოიგზავნოს თბ. კომიტეტში არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.

1-დან 10 იანვრამდე 8) თვალ-ყური ადევნოს უჯრედების მიერ ცნობების დამზადებას სრულ-წლოვან მოსახლეობის რიცხვის შესახებ ყველა ცალკე სოფლებში. სრულ-წლოვან მოსახლეობის რიცხვის შესახებ ცნობები უნდა აღებულ იქნენ აღმასკომში საბჭოების უკანასკნელ გადარჩევისათვის შედგენილ სიების მიხედვით.

თბილისის კომიტეტის მდივანი **სვანიძე**.

ხელი შევუწყოთ აღწერას

ამ დღეებში ჩატარდება მოსახლეობის სრული და ყოველმხრივი აღწერა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ აღწერას. მზადება უკვე კარგა ხანია სწარმოებს. მიღებულია ყოველგვარი ზომები იმისათვის. რომ ეს ფრიად დიდ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე წარმატებით იქნეს ჩატარებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მოსალოდნელია მუშაობის პროცესში წარმოიშვას ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზები, განსაკუთრებით სოფლად.

სოფლის პარტიული და ა. ლ. კომკავშირის უჯრედებმა ამ თავითვე უნდა შეეცადონ, რომ ეს დამაბრკოლებელი მიზეზები თავიდან იქნეს აცილებული. გლეხობაში ამ თავითვე უნდა იქნეს ჩატარებული ახსნა - განმარტებითი მუშაობა აღწერის ნამდვილი მიზეზებისა და ამოცანების შესახებ. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ აღწერის დროს გაუგებრობას არ ექნეს ადგილი და გლეხობამ აღმწერელს სწორი და ამომწურავი ცნობები მიაწოდოს. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გლეხმა განსაკუთრებით ჩამორჩენილ ადგილებზე, აღწერის მიზანი შეიძლება სხვანაირად გაიგოს. მან შეიძლება იფიქროს მაგალითად, რომ აღწერა ტარდება იმ მიზნით, რათა ხელისუფლებამ გააძლიეროს საგადასახადო ტვირთი, ბეგარა და სხვა. ის გლეხი, რომელიც ასე მიუდგება საკითხს აღმწერელს არ მიაწვდის სწორ ცნობებს, ის შეეცდება „საწყლად“ მოაჩვენოს თავი მას, დამალოს ბევრი რამ, მიუმატოს სულადობას და ამ რიგათ არა სწორი ცნობები მიაწოდოს მას. ეს გარემოება კი არას შემთხვევაში არ არის მისაღები, რადგან თუ ეს ასე მოხდა, მაშინ აღწერას მნიშვნელობა ეკარგება და ფუჭად ჩაივლის ამდენი შრომა, ენერგია და ხარჯები.

ამ დამაბრკოლებელ მიზეზების თავიდან ასაცილებლად საჭიროა უჯრედებმა ამ თავითვე მიიღონ ზომები. საჭიროა საკითხი საყოველთაო აღწერის შესახებ დაისვას უჯრედების ღია კრებებზე, რომლებზედაც უნდა მოწვეულ იქნას უპარტიო გლეხთა ფართო მასა. უჯრედმა უნდა აუხსნას და შეაგნებინოს გლეხს აღწერის ნამდვილი მნიშვნელობა და მიზანი, რათა ამ უკანასკნელმა სწორი ცნობები მიაწოდოს აღმწერელს.

რასაკვირველია უჯრედის წევრებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე აღწერაში, მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ აღმწერლებს. ამრიგათ უჯრედები უნდა დაეხმარონ ხელისუფლებას იმ დიდი საქმის შესრულებაში, რომელიც ნათელყოფს რა საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მდგომარეობას, კიდევ მეტად შეუწყობს ხელს ჩვენს საერთო წინსვლას და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით წაყვანას.

ბანიძე.

სადელეგატო კრებების მუშაობის შინაარსი სოფლად

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება)

I ცეკას დირექტივების შემოწმებამ დელეგატ ქალების პოლიტიკური აღზრდის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირების გაუმჯობესების დარგში ცხადჰყო მთელი რიგი მიღწევებისა სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სადელეგატო კრებების და დელეგატ ქალების გავლენის გაძლიერების საქმეში და მათი კულტურული დონის ამაღლებაში.

ამ მიღწევებთან ერთად ცეკა აღნიშნავს შემდეგ ნაკლულოვანებებს:

ა) მიუხედავათ იმისა, რომ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა საგრძნობლად არის გაძლიერებული, დელეგატ ქალების აქტივობა მეტად სუსტად არის გამოყენებული საბჭოების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში პრაქტიკული მონაწილეობის მხრივ.

ბ) სადელეგატო კრებების მუშაობა საკმაოდ ვერ არის შეთანხმებული დელეგატ ქალების ცალკე ფენების, განსაკუთრებით მოჯამაგირე ქალების მოთხოვნილებებთან.

გ) პროგრამის დამუშავება სუსტად არის დაკავშირებული ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციების პრაქტიკულ ღონისძიებებთან და აგრეთვე ვერ ხდება ადგილობრივი მასალის ჯეროვნად გამოყენება;

დ) პარტკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებები საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ სადელეგატო კრებების ამხსნელების მუშაობას, აგრეთვე ძალიან მოსუსტებს სადელეგატო კრებებისათვის საპროპაგანდო ძალების შერჩევა.

II რადგან სოფლად შეიცვალა მუშაობის საერთო პირობები, პარტიულმა ორგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ სადელეგატო კრებების შინაარსის გაუმჯობესება, უნდა შესცვალონ მისი ხასიათი იმ მხრივ, რომ დელეგატი ქალები უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმულნი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ამ ამოცანის შესასრულებლად ცეკა წინადადებას იძლევა:

1. სადელეგატო კრების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობაში უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოფლის ძირითად ფენების (ღარიბ გლეხ ქალების, მოჯამაგირე ქალებისა და საშუალო გლეხ-ქალების) მოთხოვნილებები, ეს მუშაობა უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ამოცანებს, დელეგატი ქალები მომზადებულნი უნდა იქნენ საბჭოების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობისათვის, აგრეთვე დელეგატ ქალებს დახმარება უნდა გაუწიონ გლეხ ქალების მეურნეობის და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

2. უფრო მეტად იქნეს გამოყენებული სადელეგატო კრება სოფლის მთელს პოლიტიკურ მუშაობაში (საბჭოების გადარჩევის ჩატარება, მუშაობა ღარიბ გლეხებს შორის, საბჭოების სექციების, კოოპერაციის და სხვ. მუშაობა); სადელეგატო კრებები მთლიანად ჩაბმული უნდა იქნენ ამ მუშაობაში; მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სადელეგატო კრებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას და დაეკისროს ცალკე დელეგატ ქალებს დავალებები შეძლებისდაგვარად. ამ მუშაობის დროს ამოცანად უნდა იქნეს დასახული ისეთ დელეგატ ქალების მომზადება პარტიაში შესასვლელად, რომელნიც უფრო ახლოს დგანან პროლეტარიატთან და რომლებმაც თავი გამოიჩინეს საზოგადოებრივ მუშაობაში.

3. განმტკიცებული უნდა იქნეს დელეგატ ქალების კავშირი ამომრჩევლებთან, რისთვისაც დელეგატი ქალები სისტემატიურად ანგარიშს უნდა აბარებდნენ ამომრჩეველ გლეხ ქალთა მასებს და აგრეთვე გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები ქოხ-სამკითხველოებში.

4. წერა-კითხვის უცოდინარ დელეგატ ქალების მთავარ პრაქტიკულ დატვირთვად ჩაითვალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რისთვისაც ისინი განთავისუფლებულნი უნდა იქნენ დანარჩენ პრაქტიკულ მუშაობიდან. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დელეგატ ქალების წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას. რისთვისაც დელეგატი ქალები მონაწილეობას უნდა იღებდნენ „წერკუმ“-ში.

5. პარტკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა და მუშა-ქალთა განყოფილებებმა უნდა მოაგვარონ სადელეგატო კრებების მთელი აღმზრდელობითი მუშაობის (პროგრამულ და პრაქტიკულ) სისტემატიური ხელმძღვანელობა, ამ მუშაობაში უნდა ჩაიბან საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებების ხელმძღვანელები და აგრეთვე სოფლის მუდმივი პროპაგანდისტები, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა უფრო ხანგრძლივად მიმაგრებას.

6. აუცილებლად იქნეს ცნობილი, რათა პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ დახმარება აღმოუჩინოს ქოხ-სამკითხველოების საშუალებით სადელეგატო კრებებს, ლიტერატურა („დელეგატ ქალის ბიბლიოთეკა“) მოაწყოს ხმამაღლა კითხვა.

7. პარტორგანიზაციებმა უნდა განამტკიცონ სადელეგატო კრების კავშირი წინანდელ მოწვევის დელეგატ ქალებთან, რისთვისაც უკანასკნელნი ჩაბმულნი უნდა იქნენ სოფლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და საბჭოების სექციების და კომისიების პრაქტიკულ მუშაობაში.

ბიუროების არჩევნები გორის თემში

(გორის მაზრა)

ჩვენ თემში ბიუროების ხელახალი არჩევნები დაიწყო 20-ს და დამთავრდა 26 ნოემბერს. ხელახალ არჩევნებს საფუძვლად დაედო, გორის სამაზრო თემკომების და რაიპარტკომების მდივნების თათბირის მიერ მიღებული ღონისძიებები.

ბიუროების ახალ არჩევნებს ჰქონდა დასახული შემდეგი ამოცანები: უჯრედების მუშაობის სწორი შეფასება, ნაკლულოვანებათა აღნუსხვა, შეწყვეტა უჯრედის უნაყოფობისა და შინაპარტიული დემოკრატიის გატარებისა და აგრეთვე მომავალ მუშაობისათვის ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებული პრაქტიკული ღონისძიების დასახვა. არჩევნებიდან გამოირკვა, რომ სოფლის უჯრედების უპარტიო მასაში საკმაო ავტორიტეტი აქვთ, რაც მტკიცდება უპარტიო მასების ლტოლვით პარტიისაკენ. ღია კრებები ეწყობოდა ხშირად და ამ კრებებს ესწრებოდა გლეხობის საგრძნობი რიცხვი. გამოირკვა აგრეთვე ნაკლიც. ასე მაგალითად, ქალთა შორის მუშაობა ზოგიერთ სოფლებში არ არის დამაკმაყოფილებელი, კომკავშირის სუსტ ხელმძღვანელობას უწევს ზოგიერთი უჯრედები, თითქმის ყველა უჯრედებში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა თვითგანვითარების საქმეს და სხვა.

არჩევნების დროს შინაპარტიულ დემოკრატიის გატარებამ მოგვცა სასურველი შედეგი. წინადადებები იქნა საქმიანი და [illegible] ამხანაგური; ბიუროს წევრების დასახელება ხდებოდა პერსონალურად. არჩევნების შედეგად გაუმჯობესდა ბიუროების წევრთა სოციალური შემადგენლობა. არჩეულია უმთავრესად ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები.

დ—ძე.

სოფლის უჯრედების მდივანთა კურსები

20 ნოემბერს ქუთაისში გაიხსნა სოფლის უჯრედების მდივანთა ერთთვიანი კურსები. კურსების გამგეა ამხ. მინდაძე. კურსების ლექტორებად მოწვეული არიან 14 ამხანაგი, მეცადინეობა მიმდინარეობს გეგმიანათ და სისტემატიურათ.

ფხიზელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ალმშენებლობა ტყიბულში

ქუთაისი, 6 დეკემბერი. ტყიბულში ქვანახშირის მაღაროს ტერიტორიაზე მალე დამთავრდება 6 ქვის სახლის აგება. ორსართულიან სახლებში მოთავსებულ იქნება 260 მუშა, ხოლო დანარჩენ შენობებში მოეწყობა საწყობები და სხვა სამეურნეო ნაწილები.

მომავალ წელს აგებულ იქნება კიდევ რამოდენიმე სახლი მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებლათ. ამ ახალ შენობების აგება დაიწყება მარტში. მათთვის უკვე გადადებულია 350.000 მან. სწარმოებს საამშენებლო მასალის დამზადება. (ადს).

გაფლანგვა კოოპერაციაში

ქუთაისი, 6 დეკემბ. აღძრულია საქმე ტყიბულის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის წევრის ბენედიქტე ჰუმბურიძის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება 2.280 მანეთის გაფლანგვა. (ადს).

საოლქო სასამართლო სესია

ოზურგეთი, 6 დეკემბერი. ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია. გასარჩევია 10 საქმე. (ადს).

ახალი პოლიკლინიკა

ახალსენაკი, 6 დეკემბ. ახალსენაკში იხსნება პოლიკლინიკა. პოლიკლინიკის შენობის შეკეთება უკვე დამთავრდა. (ადს).

აჭარისტანი

ჩხენკელის საქმე

ბათომი, 6 დეკემბერი. დღეს დამთავრდა ჩხენკელის, რუცკის და შატუნოვის საქმე. აჭარისტანის უზენაეს სასამართლომ, ხუთი საათის თათბირის შემდეგ, უარყო ჩხენკელის მიმართ წაყენებული ბრალდება და დამნაშავეთ აღიარა მხოლოთ სამსახურისადმი უყურადღებობაში, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ ჩხენკელმა პასუხისგებაში არ მისცა კლიენტი, რომელმაც საქართველოს სასურსათო კომის. მიჰყიდა ბანკში დაგირავებული კონიაკი. ჩხენკელს მიესაჯა ერთი წელიწადი და ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან.

დამცველნი უკმაყოფილონი დარჩენ განაჩენით და აღძრეს საკასაციო საჩივარი. (ადს).

ბიდონის ქარხნის გადაკეთება

ბათომი, 6 დეკემბერი. ნავთის სინდიკატი აწარმოებს ბიდონის ქარხნის ყველა ნაწილების შეკეთებას. შეკეთებამდე ქარხანა ამზადებდა 5.000 ბიდონს დღეში, მაგრამ ბევრი უვარგისი ბიდონი გამოდიოდა. შეკეთების შემდეგ ქარხანაში ყველა სამუშაო მექანიკურად იწარმოებს, ხოლო ქარხნის პროდუქცია შეიძლება აყვანილ იქნეს 15.000 ბიდონამდე დღეში.

სამუშაო 40—45 პროცენტით არის შესრულებული. (ადს).

წერილები

გზა გვექნება

(წერილი ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმის მაზრის ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზია უგზოობა, რომლის გამო მაზრის ცენტრი—ცაგერი დღემდე მოწყვეტილი იყო, როგორც მაზრაში შემავალ თემების უმრავლესობას, აგრეთვე რესპუბლიკანურ ცენტრსაც.

აქ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, არა სათემო მნიშვნელობის, არამედ სამაზრო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზაზე.

ლეჩხუმის მაზრის ცენტრი—ცაგერი დაშორებულია რკინის გზის ხაზიდან (ქუთაისი) 65 ვერსით. ამ მანძილზე სახელმწიფო მნიშვნელობის გზათ ითვლება მხოლოდ ოსეთის სამხედრო გზატკეცილი ქუთაისიდან სადგ. ალპანამდე, ე. ი. 50 ვერსი. დანარჩენი 15 ვერსი გზა ორგვარია. 9 ვერსი ამ გზიდან კლდოვანი ადგილია, რაიც უზრუნველჰყოფს მას საგრძნობ დაზიანებისაგან. უკანასკნელი 6 ვერსის სრული უვარგისობის გამო კი შეფერხებული იყო ყოველგვარი მუშაობა მაზრაში.

ის გარემოება, რომ გზის გამოყვანის საქმე უკანასკნელამდე ვერ იქნა მოწესრიგებული, მიეწერება არა მაზრის მცხოვრებთა მოუნდომლობას, არამედ „კუთხურ პატრიოტიზმს“, რომლითაც შეპყრობილნი იყვნენ წინათ ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკები და ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლებისა; ყველა თავის კუთხისაკენ მიიწევდა, როდესაც გზის გასაყვანად დგებოდა საკითხი იყო ამგვარი ტენდენციაც—მოითხოვდენ მაზრის ცენტრის ცაგერიდან ლაილაში გადატანას.

ასეთ პირობებში მოუხდა სამაზრო აღმასკომის ახალ შემადგენლობას ლეჩხუმისათვის ასეთი დიდი საქმის დაწყება.

სანამ სამაზრო აღმასკომი პრაქტიკულად მუშაობას შეუდგებოდა—ჩატარებულ იქნა წინასწარი სამუშაო: გზის მიმართულების ტეხნიკური შემოწმება და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. მაზრის მცხოვრებთა დარწმუნება და დაინტერესება გზის გაყვანის საქმეში.

დღევანდელი მიმართულების თანახმად გზა გადის 12 ვერსის მანძილზე. მოკლე ხნის განმავლობაში (სამი თვე), შესრულებულია მთელი სამუშაოს 80 პროცენტი. ამასვე ადასტურებს უკანასკნელად გზათა სამმართველოდან რევიზორ ინსტრუქტორი ინჟ. ანდრონიკაშვილი, რომელიც აღნიშნავს თავის მოხსენებებში შემდეგს: „მოკლე ხნის განმავლობაში შესრულებულია მეტად დიდი სამუშაო, აგებულია 200 კუბ. საჟენი დასამაგრებელი კედლები, მუშაობა გრძელდება ჩქარი ტემპით“. და აღნიშნავს 80 პროცენტით სამუშაოს შესრულებას.

ამავე მოხსენებაში, რომელიც იქნა წარდგენილი გზათა სამმართველოში 14 ნოემბერს 1926 წ., ინჟ. ანდრონიკაშვილი დასძენს, რომ საჭიროა გაიღოს მთავრობამ ერთდროული დახმარების სახით 30—35 ათასი მანეთი დარჩენილ კაპიტალურ სამუშაოს შესასრულებლად: კლდის აფეთქება, კედლის ამოყვანა, ხრეშის დაყრა და სხვა.

ასეთია მოკლედ დღემდე წარმოებული მუშაობა ორბელ-ცაგერის გზის გასაყვანად.

მაზრის მშრომელი გლეხობა და ხელმძღვანელი მუშაკები დარწმუნებულია, რომ ლეჩხუმის მაზრის გლეხების მიერ საზეიმოთ გახსნილი იქნება ცაგერი-ორბელის ახალი გზა.

ან. სიამაიშვილი.

მევახშეების პარაპაში

(ზემო-სვანეთი)

[illegible] მევახშეები ღარიბ გლეხებს აძლევენ სესხათ ფულს და აგრეთვე პურსაც. თუ ფული გაასესხა მევახშემ, რომელიმე გლეხზე, აუცილებელია, ორმაგი სარგებლით დაიბრუნებს გასესხებულ თანხას. მაგალითად მევახშემ გაასესხა ოცდა ათი მანეთი ერთის წლის ვადით, თვეში 10 პროცენტად. წლის ბოლოს ძირითადი თანხის გარდა მევახშეს მოუვა 36 მანეთი. სულ ძირითადი თანხით სამოცდა ექვსი მანეთი.

არა ნაკლები მოგებით სწარმოებს პურის გასესხებაც. ორი ფუთი პური იძლევა სარგებელს ერთ ფუთს პურს. მხოლოდ თუ გლეხმა პური მკის დაწყებიდან ისესხა მკის დამთავრებამდე, ამ ხნის განმავლობაში სარგებელი არ აღემატება ფუთზე 10 გირვანქას. ხოლო თუ სესხი აიღო მკის დაწყებამდე, გლეხი ვალდებულია შემოდგომაზე გადაიხადოს ორ ფუთ პურში ერთი ფუთი [illegible] სარგებელი.

ყოველივე ეს უბედურება გათვალისწინებული აქვს გლეხს, მაგრამ იძულებული ხდება ისევ მევახშის კანონს დაემორჩილოს. ბოლოს გლეხი იმ ზომამდე მიდის, რომ ჰყიდის მცირე ნაჭერს მიწისას და ამით ისტუმრებს ვალებს.

ადგილობრივ ხელისუფლებას დღემდე არ მიუღია სათანადო ზომები ფულის და პურის გასესხების შესახებ. დღეის შემდეგ მაინც უნდა მოგვარდეს ეს საკითხი და ამით ღარიბ გლეხს საშუალება მიეცემა მევახშის კლანჭებიდან თავი დააღწიოს.

შუაენაშელი.

საეჭვო პირები არ ავირჩიეთ

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

უნდა ავლაგმოთ თავხედი მოსამსახურე.

კვირას, 21 ნოემბერს, საგარეჯოს საკრედიტო ამხ-ბის წლიური კრება იყო. კრებას დაესწრო თბილისიდან ჩამოსული ინსტრუქტორი. დამსწრეთა მიერ წამოყენებულ იქნა რწმუნებულთა კანდიდატები, რის შემდეგაც დაიწყო არჩევნები. სხვათაშორის იყო კანდიდატურები არასანდო პირებისაც, რომელნიც პასუხისგებაში არიან მიცემულნი მკვლელობის ნიადაგზე.

ერთი ამხანაგი შეეკითხა ინსტრუქტორს, დაუშვებია თუ არა კანონით, რომ კაცი პასუხისგებაში იყოს მიცემული და იგი ხმოსნათ არჩეულ იქნასო. ინსტრუქტორმა იკითხა, ვინ არისო, და როდესაც გაიგო, რომ ეს პირები იყო ანტონ ქურთიშვილი და დ. შაქარაშვილი, ისინი სიიდან ამორიცხა.

სხვათა შორის მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ქურთიშვილის შიშით ხმა ვერავის ამოუღია. თუ გაბედა რამე ვინმემ, მაშინვე იარაღით გაუმასპინძლდება. ხშირათ ეს ვაჟბატონი დაითვრება და, აბა, მაშინ ნახეთ ყველასი უდანაშაულო დედმამის გინება. ამ ცოტა ხანში პეტუაშვილის ოჯახში დათვრა და უდანაშაულო გლეხს კვარტები და ჭიქები ესროლა, ნიშანიც დაა[illegible]. [illegible] ვინმე მისი ხმის გამცემი. ამ გარემოებას უნდა მიექცეს მილიციის ჯეროვანი ყურადღება.

მაისი.

რა მოგვცა თბილისთან შეერთებამ

(თიანეთის რაიონი)

თიანეთი ყოფილი სამაზრო ცენტრია. გასულ 1925 წელს თიანეთის რაიონი გადმოვიდა თბილისზე.

ამხანად თიანეთში სახელმწიფო მნიშვნელობის შენობები გაპარტახებული იყო, გზატკეცილი და სასოფლო გზები კი დანგრეული. ოდესღაც არსებული ელსადგური სამუდამოდ ძილს მისცემოდა. აგრეთვე საავადმყოფო და აგრონომიული პუნქტი უპატრონობის გამო ყოველგვარ სახსარს მოკლებული უმოქმედოთ იყო, სკოლის შენობები შეუკეთებელი იყო და მეცადინეობა ფერხდებოდა. მავნე ელემენტები, ბანდიტები შიშის ზარს გვრიდენ მშრომელ მოსახლეობას.

თბილისის აღმასკომის მიერ პირველ რიგში აღმოფხვრილ იქნა ბანდიტიზმი, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზაციულ მუშაობის გაძლიერებას ადგილობრივ. ამ მოკლე ხნის განმავლობაში, ე. ი. დღიდან თიანეთის თბილისის მაზრაზე შემოერთებისა, თბილისის აღმასკომის დახმარებით. ადგილობრივ თემაღმასკომის ინიციატივით და რაიონის მშრომელი მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობით თიანეთის რაიონში შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

შეკეთდა გზა-ტკეცილი თბილის-თიანეთის შუა რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე. შეკეთდა აგრეთვე მრავალი სასოფლო გზები და ბოგირები (მუშაობა ამ მხრივ გრძელდება). რომელმაც ხელი შეუწყო რაიონისა და ცენტრის შორის კავშირის უფრო გამტკიცებას. თიანეთში მოეწყო საავადმყოფო.

დაარსდა შესანიშნევი აგრო-პუნქტი და რაიონში ამჟამად მუშაობს „ხოლტის“ სისტემის ტრაქტორი, სათესი მანქანა. ამოძრავებულ იქნა ელექტროსადგური და ამჟამად თიანეთი განათებულია ელექტრონის სინათლით, ამავე სადგურთან ეწყობა სახერხი ქარხანა, რომლის მიზანია ხელ-მისაწვდომ ფასებში გლეხებისათვის საამშენებლო მასალის მიწოდება და ქარხნის შემოსავლით თემ-ბიუჯეტის გაძლიერება. შეკეთებულია სკოლის უვარგისი შენობები და ზოგ სოფლებში შენდება ახალი.

კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის შენობებს, სადაც ამჟამად მოთავსებულია, როგორც სახელმწიფო, ისე პარტიული და საზოგადოებრივი ადგილობრივი ორგანიზაციები. ერთი სიტყვით ამ მოკლე ხანში თიანეთში გაკეთდა იმდენი, რაიც უდრის ათეულ წლებში გაკეთებულ საქმეს.

ამრიგად თიანეთის შემოერთებამ თბილისის მაზრაზე სავსებით და მთლიანად გაამართლა ის იმედები, რომელსაც ამ შემოერთებისგან მოელოდნენ.

ქ. გვალია.

სოფლის ქრონიკა

— **თათბირები.** მუშაობის გასაცხოველებლად ბორჩალოს აღმასკომმა გადასწყვიტა სისტემატიურად მოიწვიოს თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.

— **ალმშენებლობა.** წინადადება მიეცა თემაღმასკომებს შეიმუშაონ თემებში ახალი გზების არხების გაყვანისა და ხიდების აგების გეგმები.

— **ქოხ-სამკითხველო.** აღმასკომმა დაადგინა უვარგის ბინებში მოთავსებული ქოხ-სამკითხველოებისათვის ააგოს ახალი შენობები.

— **მასწავლებლებისათვის** საცხოვრებელ ბინების საშოვნელად აღმასკომმა გამოჰყო ცალკე კომისია.

— **დახმარება.** აღმასკომმა გადასწყვიტა საკუთარი თანხით შეიძინოს სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები სოფ. სარვანის 7 წლედისათვის.

თბილისის საბჭოს სექციებში

კომუნალური სექცია

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟ. დიასამიძემ, რომელმაც სექციას გააცნო წყალსადენისათვის წყაროების აღმოსაჩენად წარმოებული მუშაობის მიმდინარეობა. პირველ ყოვლისა სპეციალისტთა საგანგებო კომისია შესდგომია წყლის რაოდენობის გამორკვევასა და შესწავლას ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროების მიდამოებში. ამ მიზნით ამოღებული არის ნატახტარის რაიონში ოთხი ჭა, ხოლო ბულაჩაურის რაიონში სამი ჭა. მთავარი ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ გამორკვეულ იქნეს თუ რა წარმოშობის არის ნატახტარის წყაროების წყალი. წყალსადენისთვის უმჯობესია, თუ ნატახტარის წყალი არის დამოუკიდებელი წარმოშობის. თუ კი წყარო მდინარე არაგვიდან ღებულობს წყალს, წყალსადენისთვის ის იმდენად გამოსადეგი იქნება, რამდენად იგი დაშორებულია თავის სათავეს ე. ი. განიცდის დიდსა და ხანგრძლივ ბუნებრივ ფილტრაციას. ამჟამად სწარმოებს წყაროების გეოლოგიური ანალიზი პროფ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით და ქიმიური ანალიზი დამსახურებული პროფ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით. წყაროების გამოსაკვლევად გადადებულია სულ 220.000 მანეთი. ამ თანხიდან დღემდე დახარჯულია 36.000 მანეთი: შეძენილია საბურღი და სხვა საკვლევი იარაღები.

სექციამ მოხსენება მიიღო ცნობად და გამოსთქვა სურვილი მოეწყოს სექციის წევრთა ექსკურსია ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროებზე.

საფინანსო სექცია

საფინანსო სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქორქიამ საბინაო მიზნობრივი გადასახადის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბინაო მიზნობრივ გადასახადის დანიშნულება არის არამშრომელ ელემენტებზე განსაზღვრული თანხის გაწერის და აკრეფის საშუალებით გააძლიეროს საბინაო მშენებლობის ფონდი. საბინაო გადასახადის აკრეფა დაიწყო 1924 წლის მეორე ნახევრიდან, როცა გაწერილი იყო 69832 მანეთი, რაც სავსებით აიკრიფა. 1925—26 წლის პირველ ნახევარში გაიწერა 94.517 მანეთი. გადასახადის უმართებულოდ გაწერის შესახებ სხვადასხვა საჩივრების განხილვის შემდეგ, დარჩა 86.445 მანეთი. ეს თანხაც სრულებით იქნა აკრეფილი. 1925—26 წლის მეორე ნახევარში გაწერილი იყო 123.231 მანეთი. აქედან პირველ ნოემბრამდე აკრეფილია 98.558 მანეთი. 1926—27 წლისათვის განზრახული იყო საბინაო მიზნობრივი გადასახადის გაწერა, მაგრამ ფინსახკომის წინადადებით შეჩერებული იქნა.

შემდეგ სექციამ მოისმინა ამხ. სანაძის მოხსენება თემის ბიუჯეტის შესახებ.

განათლების სექცია

განათლების სექციის მორიგ სხდომაზე ამხ. ქ. ზერიძემ სექციის წევრებს გააცნო სახალხო განათლების მდგომარეობა თბილისის მაზრაში 1926—27 სასწავლო წლისათვის. განათლების განყოფილების მთავარ მიზანს, განაცხადა მომხსენებელმა,—მიმდინარე წელს წარმოადგენდა დაბალი სკოლის პროფესიონალიზაციის გატარება. ამ მიზნით საერთო განათლების სკოლები—შვიდ-წლედები, სადაც მოსაზრებელი შეიქნა, გადაკეთებულ იქნა გლეხური ახალგაზრდობის სკოლებათ, რომელთა რიცხვი ამჟამად მთელ მაზრაში უდრის 9. აქედან ორი სკოლა მოწყობილია საბავშვო ახალშენებათ,—ერთი დუშეთში და მეორე აღბულახში. გლეხური ახალგაზრდობის სკოლები მოზარდებს საერთო განათლების გარდა აძლევენ პრაქტიკულ და თეორიულ სამეურნეო ცოდნას. გარდა ამ ტიპის სკოლებისა, მაზრაში გახსნილია 156 ოთხწლედი. 10 შვიდწლედი და ერთიც ცხრაწლედი სამეურნეო განხრით (საგარეჯოში). წელს ახალი სკოლები გახსნილი არ ყოფილა, სამაგიეროდ ადგილი ჰქონდა სკოლების ჯგუფების ზრდას, რადგან ყველა სკოლები ჯერ კიდევ სრულ კომპლექტოვანი არ არიან და თანდათან ივსებიან. მოწაფეთა რიცხვი ყველა ტიპის სკოლებში შარშანდელი 15.000-დან გადიდებულია 18 ათასამდე, ხოლო ჯგუფთა რიცხვი მომატებულია 112-ით. ეროვნული შემადგენლობის მხრივ სკოლები ასე ნაწილდება: ქართული სკოლა არის 102, რუსული 12, სომხური 14, ბერძნული 24, გერმანული 4, ოსური 2. არის სკოლები გახსნილი აგრეთვე სხვა ეროვნულ უმცირესობისთვისაც.

თბილისის მაზრის სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, შედარებით სხვა მაზრებთან მაღალია, რადგან ამ ორი-სამი წლის განმავლობაში მასწავლებლებმა გაიარეს სპეციალური გადასამზადებელი კურსები. შედარებით გაუმჯობესებულია მაზრის მასწავლებელთა ხელფასიც, რომელიც გასულ წელთან შედარებით 15 პროცენტით არის გადიდებული.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის წევრებს ამჟამად თბილისში გავრცელებულ ქუნთრუშის შესახებ მოკლე ინფორმაციული მოხსენება გაუკეთა ექ. ქამალოვმა. მომხსენებლის გადმოცემით ქუნთრუშას ქალაქში ჯერ არ მიუღია ეპიდემიური ხასიათი: პირიქით ავადმყოფობა თანდათან კლებულობს. ყოველ შემთხვევაში არ ვრცელდება. ოქტომბერში იყო ქუნთრუშით დაავადმყოფობის 45 შემთხვევა ნოემბრის პირველ კვირაში 26, მეორე კვირაში 24, მესამეში 25, ხოლო ნოემბრის დამლევს 23 შემთხვევა. სულ ნოემბერში აღრიცხულია ქუნთრუშით დაავადმყოფების 98 შემთხვევა. ჯანმრთელობის განყოფილება იღებს ყოველგვარ ღონისძიებებს ეპიდემიის აღმოსაფხვრელად.

გადასახლების საქმის გამოკვლევა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა გადასახლების საქმის გამოკვლევა: გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიაში გლეხების გადასახლებას მცირემიწებიან რაიონებიდან მრავალმიწებიან რაიონებში აქამდი სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

ამასთანავე გამოირკვა, რომ საჭიროა გლეხების გადასახლებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში უფრო გეგმაშეწონილი ხასიათი მიეცეს, რადგან აგრარული რეფორმის ჩატარებისა და ყველა გამოსადეგი მიწების გამოყენების შემდეგ, წინასწარი ანგარიშით, უმიწაწყლოთ რჩება: საქართველოში—420.000 სულამდე, სომხეთში—90.000 და აზერბეიჯანში—400.000 სული.

ყველა ამ გლეხების მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალ ადგილებზე გადასახლებას გეგმიანი ხასიათი ექნება.

მაგრამ, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა სპეციალური აპარატების და თანხების უქონლობის გამო უკანასკნელ დრომდე ვერ შესძლეს ნამდვილი ზომების მიღება უმიწაწყლო გლეხების გადასახლების და მოწყობის საქმეში.

ამჟამად რესპუბლიკებში არსებობს გადასახლების ათწლიანი პერსპექტიული გეგმები, რომლებიც დამყარებულია მელიორატიულ სამუშაოების პერსპექტიულ გეგმებზე და შეთანხმებულია გადასახლების ცენტრალურ საკავშირო კომიტეტთან.

განზრახულია ამ გეგმების განხორციელება დაიწყოს 1926—27 წელში, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი თანხები იქნება გადადებული ბიუჯეტიდან.

ამიერ-კავკასიის თავისუფალ მიწების ფონდის უფრო მიზანშეწონილად გამოყენების და უმიწაწყლო გლეხების მიწით დაკმაყოფილების მიზნით, გამოკვლევამ საჭიროთ სცნო გადასახლების ცალკე რესპუბლიკანური გეგმების შეთანხმება.

გამოკვლევის დასკვნებთან შეფარდებით, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღო და ა.-კ. სახკომსაბჭოში დასამტკიცებლად წარადგინა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს გადასახლების გაუმჯობესებას ამიერ-კავკასიაში.

საზამთრო არდადეგები

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა: ვინაიდან მასწავლებლების ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკავშირო აღწერის ჩატარებაში და ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია სკოლის ნორმალური მუშაობა, საზამთრო არდადეგები გატარდეს შემდეგი სახით: 1) შრომის სკოლების ორივე საფეხურისათვის, ქ. თბილისის გამოკლებით, მიმდინარე სასწავლო წლის საზამთრო არდადეგები განისაზღვროს 15 დეკემბრიდან 1927 წლის 2 იანვრამდე; 15 დეკემბრამდე სკოლებმა უნდა დაასრულონ ნორმალურად სატრიმესტრო მუშაობა. 2) თბილისის ორივე საფეხურის შრომის სკოლებსა, რესპუბლიკის ყველა სპეციალურ ტეხნიკუმებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ლენინის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტებისათვის არდადეგები განისაზღვრება 1927 წლის 1 იანვრიდან 15 იანვრამდე; 3) უმაღლეს სასწავლებლებში—პოლიტეხნიკუმსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცადინეობა შეწყდება 1927 წლის 15 იანვრიდან, არდადეგები გაგრძელდება 15 თებერვლამდე.

ზემოხსენებული დადგენილება არ ვრცელდება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებზე და დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებლებზე.

საშაქრე ჭარხალი

საბოლოოდ გადაწყდა საშაქრე ჭარხლის კულტურის გაშენება გორის მაზრაში. ამ მიზნით სპეციალისტ აგრონომებისაგან გამოკვლეულ იქნა გორის მაზრაში მოყვანილი ჭარხალი, რომელშიაც აღმოჩნდა შაქრის დიდი პროცენტი. ამ მაზრაში მოყვანილ ჭარხალზე გაკეთებული ცდებით გამოირკვა, რომ იგი სავსებით გამოსადეგია მაღალი ღირსების შაქრის დასამზადებლად. სპეციალისტების დასკვნით ტირიფონის ველი ნიადაგის და ჰავის მხრით საუკეთესო პირობებს იძლევა ჭარხლის გასაშენებლად. წელს საცდელად ჭარხლები დათესილ იქნება გომისა და ტირიფონის ველებზე, სადაც ჭარხლის პლანტაციები დაიჭერენ 22 დესეტინას. ჭარხალი საცდელად დათესილ იქნება აგრეთვე მუხრანის მამულში 5 დესეტინის სივრცეზე. ქალაქ გორში მოეწყობა ლაბორატორია პლანტაციებში მოყვანილ ჭარხლის შაქრიანობის გამოსაკვლევად, ხოლო გომსა და ტირიფონის ველზე დაიდგმება მეტეოროლოგიური სადგურები.

სტუდენტები პრაქტიკაზე

ამჟამად საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი აწარმოებს ამიერ-კავკასიის, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებებში იმ ადგილების აღრიცხვა, სადაც შეიძლება სტუდენტების მივლინება პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად. აღრიცხვა დაიწყო დეკემბრის პირველ რიცხვებში და დამთავრდება 15 დეკემბრისათვის. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სტუდენტების მუშაობა პრაქტიკის მისაღებად უნდა სწარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში. თვითეულ მივლინებულ სტუდენტის პრაქტიკის ვადათ დაწესებულია ოთხი თვე. შრომის ხელფასი პრაქტიკანტ სტუდენტისათვის განისაზღვრება სატარიფო ცხრილით და უდრის ხელფასს არა ნაკლებ მეექვსე თანრიგისა. შრომის სახალხო კომისარიატთან იმუშავებს საუწყებათაშორისო კომისია, რომელი[illegible] ანაწილებს სტუდენტებს სამუშაოებზე. კომისიაში შედიან შრომის, ფინანსთა, განათლების სახალხო კომისარიატების, პროფსაბჭოს, რკინის გზის სამმართველოს და პროლეტარული სტუდენტობის წარმომადგენელნი.

მუშათა კრედიტი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, მუშკოოპი ამჟამად აწარმოებს წინასწარ მუშაობას მუშა-მოსამსახურეებისთვის საქონლის ნისიად მისაცემად.

სესხი მიეცემა ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელთა ხელფასი არ აღემატება 120 მანეთს; სესხის გაცემა იწარმოებს მხოლოდ მუშკოოპის სრულუფლებიან წევრებზე.

ვისაც არ აქვს შეტანილი საწევრო გადასახადი სრულიად, აქვთ უფლება მიიღონ სესხი იმ პირობით, თუ შეიტანენ სრულად ან ჩარიცხავენ [illegible] სესხში.

სესხი გაცემული იქნება კრედიტის უნარიანი წარმოება - დაწესებულებების თამასუქის ქვეშ; სესხი დაფარული უნდა იქნეს 4 თვის განმავლობაში.

სესხი გაცემული იქნება ასორტიმენტის თავისუფალი შერჩევით და მასში შევა შემდეგი საქონელი: შეკერილი ტანისამოსი, ფეხსაცმელები, საოჯახო ნივთები და საგალანტერიო საქონელი, მათ რიცხვში: ტანისამოსი პალტო, კოსტიუმი, თეთრეული, ზევითა ხალათი, ქსოვილი ნაწარმოები, როგორიცაა ჩულქები, ფუფაიკა, ნაქსოვი ჟაკეტები და სხვა.

ფეხსაცმელები ყოველგვარი; საოჯახო ნივთები—ჭურჭლეულობა და სამზარეულოს მოწყობილობა.

საქონელი გაცემული იქნება ორდერებით მუშკოოპის ყველა უნივერსალური მაღაზიებიდან.

სესხის მისაღებად დაწესებულია შემდეგი წესი: წარმოება - დაწესებულებები ადგენენ სესხის მიმღებთა სიას უკანასკნელი თვის ხელფასის ჩვენებით; სიას ადგენს ფაბქარხკომი და ამოწმებს ადმინისტრაცია, რის შემდეგ სია ეგზავნება მუშკოოპს სესხის გაცემის შესაძლებლობის გამოსარკვევად.

ორდერები მუშა - მოსამსახურეთ მიეცემათ ხელზე მაღაზიიდან საქონლის გამოსატანად. სესხი არ მიეცემა იმ დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეთ, რომლებზედაც ირიცხება ძველი დავალიანება.

განზრახული იყო მუშა - მოსამსახურეთ კრედიტის სახით მისცემოდათ აგრეთვე საოჯახო დგამი, მაგრამ ვინაიდან სატყეო მრეწველობის ტრესტს ამჟამად არ აქვს დამზადებული დგამის საჭირო რაოდენობა, ამ სახის კრედიტი ჯერ-ჯერობით გატარებული ვერ იქნება.

ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის გახსნის შემდეგ.

მაუდის ფაბრიკა

საამშენებლო მუშაობა დიდუბეში

ქალაქის განაპირა უბანში—დიდუბის რაიონში, იქ, სადაც თავდება ტრამვაის ხაზი, ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა მაუდის ფაბრიკის შენობის ასაგებად. უკვე ამოყვანილია კედლები, რომლის სიმაღლე დღითი-დღე იზრდება. ამჟამად დამთავრებულია და გამოსაყენებლად გადაცემულია შენობები სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კანტორისა და ფაბრიკის საამშენებლო კომიტეტის მოსათავსებლად. გარდა ამისა, აგებულია დროებითი ბარაკები 400 მუშის დასაბინავებლად. აშენებულია დროებითი საწყობები საამშენებლო მასალებისათვის, გაყვანილია რკინის გზის შტო 1,5 კილომეტრის მანძილზე, გაყვანილია აგრეთვე გზა საამშენებლო მასალის გადასაზიდად. მუშაობას ხელმძღვანელობს მშენებელი ინჟინერი, რომელიც ყოველ დღე ათვალიერებს ნაშენებს და აძლევს საჭირო შენიშვნებს. ამჟამად მაუდის ფაბრიკის შენობის სამუშაოებზე მუშაობს 150 კაცი, რომელთა შორის სჭარბობენ კვალიფიციური მუშები: კალატოზები, დურგლები, მღება[illegible] და სხ.

როგორც ჩვენ გაზეთში იყო, თბილისის მაუდის [illegible] შენობა მთელ ა.-კ. იქნება ერთი უდიდესი შენობათაგანი, რომელიც დაიჭერს 15.000 კვ. მეტრს მოედანს. ფასადის სიგრძე იქნება 162 მეტრი, ხოლო კედლების სიმაღლე 8 მეტრი.

საკავშირო აღწერის წინ

რწმუნებულების დაგზავნა

ცენტრ. სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილება შეუდგა მაზრებში თავის რწმუნებულებისა და ხელმძღვანელების დაგზავნას შესაფერი მასალებით. რწმუნებულები და ხელმძღვანელები ადგილებზე გაემგზავრებიან ამ ორ დღეში.

მზად არიან

ცენტ. სტატ. სამმართველოსთან არსებულ აღწერის განყოფილებას დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ უკვე მზად არიან და ყოველგვარი მასალები მიიღეს აღწერისათვის შემდეგ ადგილებში: ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თბილისის, რაჭის, ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთის, აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკებში. მასალები მიღებულია აგრეთვე ცხეთის რაიონშიაც.

ჯერ-ჯერობით ცნობები არაა მიღებული ლეჩხუმიდან და სვანეთიდან.

სენაკის მაზრა

აღწერის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიაში მიღებულია ცნობა რამოდენიმე მაზრიდან აღწერის ჩასატარებელ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

თითქმის ყველა მაზრებში უკვე დასრულდა სააღწერო რაიონების გამოყოფა და სააღწერო პერსონალის განაწილება. კერძოთ სენაკის მაზრიდან მიღებული ცნობით, მაზრა დაიყო 162 სააღწერო უბნად და 16 საინსტრუქტორო რაიონად.

როგორც სენაკის მაზრაში, ისე სხვა მაზრებშიაც, დეკემბრის 5-დან დაიწყება სააღწერო პერსონალის მომზადება და მცხოვრებლებში მასიური საგიტაციო კამპანიის ჩატარება. კამპანიის ჩასატარებლად შესაფერი ლიტერატურა, ფორმულიარები და სხ. მასალები უკვე მიღებული და განაწილებულია ადგილებზე.

ზემო - სვანეთში და ხევსურეთში

მიუხედავათ იმისა, რომ ზემო - სვანეთი და ხევსურეთი ითვლება ზამთარში მიუვალ ადგილებათ სამაზრო აღწერების ხელმძღვანელებმა და თვით სააღწერო პერსონალის ზოგიერთმა წევრებმა მაინც შესძლეს აღნიშნულ ადგილებში წასვლა და სათანადო სააღწერო მასალების მიტანა. აღწერის განყოფილების ცნობით შესაძლებელი გახდება მოხსენებულ ადგილებში აღწერის კარგათ ჩატარება.

სამხრეთ-ოსეთი

სამხრეთ-ოსეთის სტატისტიკურმა ბიურომ დაამთავრა სამზადისი მუშაობა აღწერისათვის. შედგა ინსტრუქტორების შტატი 10 კაცისაგან და 112 აღმწერელისაგან. აღმწერლების უმრავლესობას სოფლის მასწავლებლობა შეადგენს. ამასთან დაკავშირებით სამხრეთ-ოსეთის სკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილ იქნა 16 დეკემბრამდის. (ადს).

მომგებიანი სესხის ტირაჟი

50.000 მან. მოგებულია თბილისში

საკავშირო სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილების საფონდო ქვეგანყოფილების ცნობით, 50.000 მანეთი მოგება ხვდა ობლიგაციას 0,1 სერიიდან № 5590-ს

აღნიშნული ნომრის ობლიგაცია გაყიდულია ქალ. თბილისში.

ობლიგაციების გასაღება

თბილისის სახ. ბანკის საფონდო განყოფილების მიერ უკვე გასაღებულია 1-ლი მომგებიანი სესხის და მეორე საგლეხო სესხის ყველა ობლიგაციები 160 ათასი მანეთის ღირებულების. განყოფილებამ კვლავ გამოითხოვა გასასაღებლათ 300.000 მანეთის ორივე სესხის ობლიგაციები.

ახალი გათამაშებანი

1927 წლის 1-ლ იანვარს მოხდება პირველი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გათამაშება, ხოლო ერთი თვის შემდეგ გათამაშებულ იქნება საგლეხო სესხის ობლიგაციები.

აღწერის წინ

გლეხკომების გადარჩევა

ქუთაისის მაზრა

ამჟამად ქუთაისის მაზრაში მიმდინარეობს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების გადარჩევის კამპანია. საარჩევნო მუშაობას ხელმძღვანელობენ სპეციალური კომისიები, რომელშიდაც შედიან ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის, სამაზრო პარტიული კომიტეტის, ქალთა განყოფილების და სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენელნი. ქუთაისის მაზრის მთელ რიგ თემებში გლეხკომების არჩევნები უკვე დამთავრდა. მთლიანად კი მაზრაში არჩევნები დასრულდება 15 დეკემბრისათვის. 25 დეკემბერს მოწვეულია გლეხკომების სამაზრო კონფერენცია ქალაქ ქუთაისში.

კოოპერაცია

გურიის ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებები

დასრულდა ოზურგეთის რაიონულ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების 1926 წლის ოპერაციების ბალანსის შედგენა. საერთო ბრუნვა გამოიხატება 518.000 მანეთში, საკუთარი საბრუნავი თანხა უდრის 20.000 მანეთს, საქონლის თვითღირებულებაზე ზედნადები ფასი—14,8 პროც., წმინდა მოგება—16.454 მანეთს. მიმდინარე საოპერაციო წელში ზედნადები ხარჯები განზრახულია შემცირებულ იქნას 0.8 პროც., ხოლო ხარჯები საერთოდ—1,6 პროცენტით.

ამჟამად გურიაში მომქმედ 10 რაიონულ ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებიდან თავისი სიძლიერით პირველი ადგილი უჭირავს ჩოხატაურის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებას. მას მისდევენ შემდეგ ნატანების, ნიგოითის და სხ. ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა მთელი საბრუნავი თანხების ჯამი უდრის 180.000 მანეთს. ამჟამად გურიაში ტარდება გამგეობის წევრთა შემადგენლობის გადარჩევა, რომელიც დასრულდება 23 დეკემბერს.

ბათომის ნავთსადგურში

ამჟამად ბათომის ნავთსადგურში უკვე დამთავრებულია ერთი ღრმა ამოღებული ნავთსაყუდის მოწყობა. ამ ერთ კვირაში დამთავრდება მეორე ნავთსაყუდის შენება. ღრმად ამოღებულ ნავთსაყუდების მოწყობა დიდად აადვილებს ნავთის პროდუქტების გადასხმას ნავთსაზიდ გემებზე, რადგან ღრმა ძირიანი ნავთსაყუდები ოკიანის დიდ გემებს საშუალებას აძლევენ ზღვის ნაპირს ძალიან მცირე მანძილზე მოადგენ. უკანასკნელ დრომდის ბათომის ნავთსაყუდი ასეთ პირობებს მოკლებული იყო და ნაპირს ადგებოდენ მხოლოდ დაბალძირიანი გემები. ნავთსაყუდის მოლდისათვის სიგრძის მომატება ჰქმნის პირობებს გემების მშვიდობიანი გაჩერებისათვის, ცუდი ამინდის მიუხედავად. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ფოთის ნავთსაყუდის მოლდის გასაძლიერებლად.

ტყეების მოშენება

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გამოიმუშავა გეგმა რესპუბლიკაში ახალი ტყეების გასაშენებლათ და გაჩეხილი ტყეების აღსადგენათ. სულ მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ამ საქმეზე დასახარჯავათ გამოთხოვილია 103.124 მანეთი.

ამ თანხიდან ტყეების ბუნებრივი ზრდის ხელისშესაწყობათ, გასაწმენდათ, ნიადაგის განაპოხიერებლათ და ტყეების დასაცავათ დაიხარჯება 42.400 მანეთი. სულ რესპუბლიკაში არსებულ 25 სატყეოში გაშენდება ახალი სანერგე 11 ჰექტარზე, რასაც დასჭირდება 11.683 მანეთი.

ტყეების მოსაშენებელ საჭირო ხის თესლეულობის მოსაკრებათ განზრახულია დაიხარჯოს 4.875 მანეთი.

გარდა ამისა გათვალისწინებულია გასაშენებელ ადგილებში გზაწვრილების გაყვანა, ახალი ტყის დათესვა 300 ჰექტარის სივრცეზე, საჭირო სამუშაო იარაღების შეძენა და სხ.

ნადირობა

მგლების მოკვლა

სიღნაღის მაზრაში ნადირობისას, მონადირეთა კავშირის წევრებს მოუკლავთ 8 მგელი. ერთი მოკლული მგელი აღმოჩნდა ძალიან დიდი ტანის და იშვიათი ჯიშის.

მგლის ტყავი ჩამოტანილია თბილისში ზოოლოგიურ მუზეუმისათვის გადასაცემათ.

მონადირეების გაგზავნა

მონადირეთა კავშირის დადგენილებით, კავშირის ტრადიციულ სალამოსათვის ნადირის ხორცის ჩამოსატანათ, სხვადასხვა რაიონებში დაიგზავნა მონადირეთა რამოდენიმე ჯგუფი.

ყარაიაზში გაგზავნილმა ჯგუფმა ჩამოიტანა 3 გარეული ღორი და ერთი გარეული კატა.

სიღნაღიდან ჩამოიტანეს 80 ხოხობი, 2 შველი და 3 ღორი. თელავის მაზრაში გაგზავნილმა მონადირეებმა მოჰკლეს 43 ხოხობი და 1 შველი.

მატარებლის დამტვრევა

გუშინ, 6 დეკემბერს, მცხეთა-ქსანს შუა, ძეგვის ხიდზე, დაიმტვრა საბარგო მატ. № 842. მატარებელი შესდგებოდა 58 რონოდისაგან. ხიდიდან ქსანის მხარეზე, ლიანდაგზე სდგას 13 რონოდა და ორთქლმავალი, თბილისის მხარეს კი—18 რონოდა, მათგან ლიანდაგიდან გადავარდნილია ერთი რონოდა. თბილისიდან დამხმარე მატარებლის მისვლის შემდეგ ჩავარდნილი რონოდა ამოღებულ იქნა და უკანა 18 რონოდა ჩაიყვანეს მცხეთაში, წინა ნაწილი—12 რონოდის შემადგენლობით კი—ქსანში.

მატარებლის შუა ნაწილი,—26 რონოდის შემადგენლობით, სდგას ხიდზე. მათგან დამტვრეულია—17 რონოდა, მათ შორის 5 გადავარდნილია ლიანდაგიდან.

რონოდების დამტვრეული ნაწილები და დამტვრეული რონოდებიდან გადმოცვენილი საქონელი ყრია ხიდზე და დაკავებული აქვს ხაზი. ქსანში სდგას სამგზავრო მატარებელი № 8 და მცხეთაში № 4. მგზავრების გადასხდომ-გადმოსხდომა მატარებლიდან-მატარებელში შეუძლებელი გახდა, რადგან გზა შორ მანძილზე სავსეა რონოდების ნამტვრევებით და გადმოყრილი საქონლით და აგრეთვე იმიტომ, რომ ერთი ცისტერნიდან იქცეოდა ბენზინი.

გამორკვევა იმისა, თუ როდის გაიწმინდება ხიდი ძნელია. ნამდვილი მიზეზი კატასტროფისა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

მატარებლის დამტვრევის დროს რონოდებს შორის მოყოლილა კონდუქტორი ტაბატაძე, რომელიც გასრესილია. მისი გვამი ჯერ კიდევ არ ამოუღიათ.

კომისიის გამგზავრება

შემთხვევის ადგილზე გუშინვე დილით ავტოდრეზინით გაემგზავრნენ ინჟ. ვეირდლითელი, წევის დარგის უფროსი—ინჟ. ლეონტიევი, მოძრაობის დარგის უფროსი—ინჟ. ნეზნსკი, ლიანდაგის დარგის უფროსი ინჟ. ზებიძე და გამგეობის საუბნო რწმუნებული ამხ. თოფჩიშვილი.

კატასტროფის მიზეზები

მატარებელი, რომელიც დაიმტვრა ძეგვის ხიდზე, მცხეთიდან მისვლის შემდეგ გაწყდა ხიდის ახლოს. წინა ნაწილი განაგრძობდა სვლას და გაჩერდა აღმართზე ხიდის იქეთ, ხად. ქსნის სემაფორთან, მემანქანემ მატარებლის გაწყვეტა შეამჩნია მხოლოდ გაჩერების შემდეგ.

მოწყვეტილი ნაწილის ისევ შესაერთებლად მემანქანემ მატარებელი უკან დააბრუნა. ამავე დროს მატარებლის მოწყვეტილი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დამუხრუჭებული იყო, მაინც განაგრძობდა სვლას დაღმართზე, ძეგვის ხიდისაკენ.

დაჯახება მოხდა თვით ხიდზე. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ 17 რონოდა, რომელიც ხიდზე იდგა ასცდა ლიანდაგს და დაიმსხვრა. რონოდები დატვირთულნი იყვნენ: ფქვილით, თევზით და სხვა.

დაჯახების დროს ორ რონოდას შორის მოჰყვა კონდუქტორი ტაბატაძე. მასი გვამი, რონოდების ერთმანეთისაგან დაშორებამდე ვერ ჩამოიღეს. როგორც ჩანს კონდუქტორი რონოდის დასამუხრუჭებელ მოაჯირის ნაპირზე იდგა და მემანქანეს აძლევდა სიგნალს.

ხიდმა სიმძიმეს გაუძლო.

ვინაიდან ხიდი დამტვრეულ რონოდებით და იქიდან გადმოყრილი ბარგით იყო ავსილი და [illegible] რების გადასხდომ-გადმოსხდომა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ყოველგვარი მოძრაობა 6 დეკემბრის ღამის 2 საათიდან ბათომისაკენ შესწყდა.

თბილისიდან და ხაშურიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნილ იქნენ მუშები ხიდის გასაწმენდად. გაწმენდაზე მუშაობდა ასზე მეტი კაცი. გზის გაწმენდა დამთავრდა ღამის 10 საათზე და მატარებლების მიმოსვლაც აღდგენილ იქნა. მოძრაობა არ სწარმოებდა 21 საათის განმავლობაში.

ზარალი ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის.

ცეცხლი ტყიბულის მაღაროებში

ტყიბულის ქვანახშირის ახალ მაღაროების მიწის ქვეშ სამუშევრებზე 25 ნოემბერს, სალამოს 8 საათზე, შემჩნეული იქნა ცეცხლი. ამის გამო მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები. ყველა სასულეები და პირდაპირი გვირაბები დახურული იქნა, რათა ცეცხლი შეჩერებულიყო.

ასეთი საშუალებებით ცეცხლის სხვა ადგილებში გადასვლა შეჩერებული იქნა. 26, 27 და 28 ნოემბრის რიცხვებში ამ გარემოებამ ძლიერი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ყველა მუშა-მოსამსახურეთა შორის, მაგრამ სულ სხვა გვიჩვენა შემდეგ დღემ, 29 ნოემბერმა.

დილის 9—10 საათზე ცეცხლის სიძლიერემ იმატა, ზოგიერთ გამაგრებულ ადგილებში კვლავ გამოვიდა კვამლი ძლიერი გაზით. მუშებს საშუალებაც აღარ ჰქონდა მუშაობისა, რამდენიმე მუშები გაზით და კვამლით გაბრუებულნი ხელით გამოიყვანეს მაღაროებიდან.

მათ შორის ძლიერ შეწუხებული იყო მუშა სევასტი ცირეკიძე, რომელიც საავადმყოფოში იქნა მოთავსებული, ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

ცეცხლის გაჩენამ 29 ნოემბრის სალამომდე ნახშირის გამოღება თითქმის ნახევრად შეამცირა.

იმ სამუშევრებიდან, საიდანაც დღემდე ნახშირი გამოჰქონდათ, დღეიდან მოსალოდნელია შესწყდეს ნახშირის გამოტანა. არის ისეთი სამუშევრები, რომლებსაც ახლად გაჩენილ ცეცხლიდან საშიშროება არ მოელის და იქ თამამათ შეიძლება მუშაობის გაგრძელება.

რაც შეეხება ცეცხლის შეჩერებას, მიუხედავათ ენერგიული ზომების მიღებისა, იმედს ვერ ვიქონიებთ, რადგან ცეცხლი გაჩენილია ისეთ ადგილებში, რომლებშიაც ზვავები იყო ჩამოსული და ამასთანავე დაშლილი ადგილებია, საერთოდ ამას ახლო მომავალი დაგვანახებს.

იმ გვირაბებში, რომლებსაც ცეცხლიდან საშიშროება მოელის, არღვევენ გზებს და გარეთ გამოაქვთ მისი მასალები, რელსები, შპალები და სხვა. მუშები და ტეხნიკური პერსონალი ენერგიულად მუშაობენ, რომ შეჩერებული იქნეს ცეცხლის სხვა ადგილებზე გადასვლა.

მიღებულია მხედველობაში, რომ ნაწილს მუშებისა მოელის შტატს გარეთ დარჩენა, რადგან მოსალოდნელია ნახშირის გამოღების შემცირება. ამის თავიდან ასაცილებლად განზრახულია კარიერებზე მუშაობის დაწყება და იმ გვირაბების სამუშევრების მოწყობა, რომლებსაც ცეცხლით საშიშროება არ მოელის. ამ მხრივ უკვე გადაიდგა სათანადო ნაბიჯები.

სილ. ბრეგაძე.

ქრონიკა

ქარხანა „ტემზა“.

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ელექტრო-მექანიკური ქარხანა „ტემზა“ გამოირიცხოს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის უწყებიდან და გადაეცეს საქ. სახკომსაბჭოს იმ პირობით, რომ ქარხანამ პირველ რიგში უზრუნველყოს ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველოს შეკვეთების სასწრაფო შესრულება.

სესხი საბინაო ალმშენებლობისათვის

საბინაო - საამშენებლო კოოპერატივების მუშაობის გაცხოველების მიზნით, საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, გაიღოს განსაზღვრული თანხა სესხათ საბინაო - საამშენებლო საქმის ხელის შესაწყობათ.

ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკანურ საბინაო - საამშენებლო კოოპერატივების თანხების გასაძლიერებლად გამოთხოვილია თითოეულისთვის ას-ასი ათასი მანეთით.

მებამბეობის კომიტეტში

საქართველოს მებამბეობის მიერ 20 ნოემბრამდე მებამბე გლეხებისაგან შეყიდულია შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული ბამბის პროცენტი. საქართველოს მებამბეობის მთავარი კომიტეტის მიერ გლეხებზე ავანსად გაცემული [illegible]5.302 მანეთიდან გლეხებისაგან უკვე დაბრუნებულია 138.000 მანეთი. მებამბე გლეხების ავანსების დაფარვა ნორმალურად მიმდინარეობს.

ავიაქიმის ყრილობა

გუშინ უნდა გახსნილიყო ავიაქიმის სრულიად საქართველოს ყრილობა.

ძეგვის ხიდზე გუშინ მომხდარმა კატასტროფამ ხელი შეუშალა დასავლეთ საქართველოდან დელეგატების თავის დროზე ჩამოსვლას.

ამის გამო ყრილობა გაიხსნება დღეს სალამოს 5 საათზე გლეხთა სასახლის დარბაზში.

თბილისის ალმასკომში

— **ელექტრო ძალის მრიცხველები.** თბ. აღმასკომმა ლენინგრადში შეუკვეთა 8.500 ახალი ელექტრო - მრიცხველი აბონენტებისათვის ზაჰესის ენერგიის მისაღებათ.

— **ახალი სახლი.** უახლოეს ხანში დამთავრდება თავისუფლების მოედნის და სომხის ბაზრის კუთხეში ახალი 3 სართულიანი სახლის აგება.

— **წყალსადენის გასაყვანად** თბ. მაზრაში, გადაიდო 60.000 მანეთი.

— **სასოფლო - სამეურნეო იარაღების** შესაკეთებლად მაზრაში, აღმასკომი აწყობს მოძრავ სახელოსნოებს. ამ სახელოსნოებისათვის ავტომობილების შესაძენად გადაიდო 4.500 მ.

— **სტადიონი.** პროფკავშირებისათვის აღმასკომი ვაკეში აწყობს დიდ სასპორტო სტადიონს.

მუზეუმები

— **საისტორიო - საეთნოგრაფიო მუზეუმი** გასულ წელს დაათვალიერა 20.950 კერძო პირმა.

—**1905 წლის** რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავად რევოლიუციის მუზეუმში მოეწყო სპეციალური გამოფენა.

— **ეროვნული სამხატვრო გამოფენა** გასულ წლის 1 ოქტომბრიდან 1926 წ. ივლისამდე ინახულა 17.000 კაცმა.

— **საქართველოს ცენტრალური მუზეუმი** გასულ წელს დაათვალიერა 50.000 კაცმა. განსაკუთრებით მრავალ ხალხს იზიდავდა ზოოლოგიური განყოფილება.

პლენუმი

გუშინ გაიხსნა რკ. გზ. პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის პლენუმი.

საბინაო მშენებლობა

— **ახალი სახლი.** წელს ლენინის ქუჩაზე შეუდგებიან გემოკვების მუშათა ახალი სახლის აგებას. სახლი იქნება 200 ოთახიანი.

— **გაერთიანება.** საბინაო - საამშენებლო რეს. კოოპერაციამ გადასწყვიტა გააერთიანოს ერთ რესპუბლიკანურ კავშირში ყველა საბინაო-საიჯარო და საამშენებლო ამხანაგობანი.

— **სესხი.** ჰიათურის საბინაო-საამშენებლო ამხ-ბას სესხად მიეცა 5.000 მან.

— **ხაშურის საბინაო - საამშენებლო ამხ-ბას** მუშაობის გასაძლიერებლად დახმარების სახით მიეცა 2.500 მან.

— **საბინაო - საამშენებლო კოოპერაციის** რიცხვი ამჟამად აღწევს 35, რომლებშიაც ირიცხება 1018 წევრი. ძირითადი თანხა შეადგენს 129.752 მანეთს.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **სამკურნალო დაწესებულებებისათვის** ახალი იარაღ - ხელსაწყოების შესაძენად ჯანსახკომმა გადასდო 19.227 მანეთი.

— **კბილის საექიმო კაბინეტები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა დიდ თემებში საექიმო პუნქტებთან მოაწყოს კბილის სამკურნალო კაბინეტები.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

— **სესხი.** ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა საქ. სას.-სამ. ბანკს სესხად მისცა 359.000 მანეთი საკრედიტო ამხანაგობებზე დასარიგებლად.

— **კულტურულ სასოფლო მეურნეობის** გასაძლიერებლად და მუშა საქონლის შესაძენად, აფხაზეთის სას.-სამ. ბანკს სესხად მიეცა 43.000 მან.

სხვა და სხვა

— **მოსკოვის მანქანა ტრესტის** მთავარი კონსტრუქტორი ინჟინერი კვიატოვსკი დღეს, მუშათა ცენტრ. კლუბში წაიკითხავს მოხსენებას: საწყლო ტურბინების მშენებლობა საბჭოთა კავშირში.

— **საქონლის გატანა.** გასულ საანგარიშო წელში ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთ გაიტანა 5.871.410 მ. სხვადასხვა სახის ნაწარმოები.

კრებები და მოხსენებები

— **ი. ახლანიშვილის მოხსენება.** ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, სალამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (შესავალი კალოუბნის ქ.) საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლა - მგზავროსნობის განყოფილების საჯარო სხდომაზე მკურნალი ი. ახლანიშვილი გააკეთებს მოხსენებას „აფხაზეთის სვანეთი“-ს შესახებ.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში ქუთაისის ამბებში მოთავსებულ ცნობაში გაზეთების ტირაჟის შესახებ შეცდომით სწერია თითქოს „კომუნისტის“ ტირაჟი ქუთაისში იყოს 1000. უნდა იყოს: „კომუნისტი“ ვრცელდება 2.000 ცალი“.

შემთხვევები

— **ჯიბგირი ქალი.** „ძმურ კავშირში“ ქეიფის დროს კონსტანტინე ჯავახიძეს ამოაცალეს 106 მ. ჯიბგირი რიფსიმე შაიანცი შეიპყრეს.

— **ხარდაფის ჭერის** ახდის საშუალებით დესიმონოვის ქ. № 30 გაქურდეს თედორე მოსულოვის პურის საწყობი.

— **ქურდობა.** 3 დეკ. გუდოვიჩის ქ. № 6 გაქურდეს მარიამ კალანტაროვის ბინა. წაიღეს 100 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ალექსანდრეს ქ. № 42 ქეთევან ბადრიძის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

— ამავე დღეს პლეხ. გამზ. № 156 გაქურდეს თამარ მამასახლისოვის ბინა.

— **პატიმარის დაშავება.** 4 დეკ. ღამით მე-9 სამ. რაიონთან არსებულ საპატიმროდან გაქცევის მიზნით ფანჯრიდან გადახტა თამარ ჩერთიშოვა, რომელიც დაშავდა ფეხში. დაშავებული გადაგზავნილი იქნა 1-ლ საავადმყოფოში.

— **შეპყრობა.** ქურდობისათვის შეიპყრეს მეეზოვე ნიკო ზახარიანცი.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 4 დეკ. მარო ნასკიძამ, 60 წლისამ თავის ბინაზე (შერემეტიევის ქ. № 46) თოკით ჩამოიხრჩო თავი.

— **გვამის პოვნა.** შერემეტიევის ქ. № 9 მდებარე სახლის ეზოში აღმოჩენილი იქნა გიორგი ჯავახიშვილის გვამი.

— **ქალის გატაცება.** ერწოს სამილ. რაიონში 27 ნოემბ. დღით სოფ. ხევსურეთში ქ. წიკლაურს თავს დაესხნენ შეიარაღებულნი პირნი მისი ქალიშვილის მართას მოსატაცებლად. ქალის მოტაცება ვერ მოახერხეს. დამნაშავენი ვანო ჩუკური და ერეკლე ჯომაგიძე დააპატიმრებულია.

— **თავდასხმა.** წალკის თემში კიზილ-კილისის საგარაჯო საძოვრებზე მწყემსებს თავს დაესხა 6 შეიარაღებული პირი და გაიტაცეს 50 სული მსხვილფეხა საქონელი.

— **სოფ.** საყდრიონში ქურდობისათვის დააპატიმრეს ტაგლიაშვილი.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით ანტონოვის ქ. № 3 მარიამ მილიშევას ბინიდან მოიპარეს 250 მანეთის ნივთები.

◆ **გვამის პოვნა.** გუშინ, სალამოს, შერემეტიევის ქუჩაზე № 9 იპოვეს ადამიანის გვამი.

საავადმყოფოს პროზექტურაში გვამი გამოცნობილი იქნა და იგი აღმოჩნდა გიორგი ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილს ნაძალადევათ სიკვდილი არ ეტყობა.

◆ **დაჭრა.** გუშინ, სადგურის ქუჩაზე ევგენი ჯანდაბაძემ ჩხუბის დროს დანით დასჭრა ალექსანდრე ბუაძე, თხილორე კუპრაძე, სერგო ტუღუში და დანიელ თევზაძე. ამათგან ბუაძე მძიმედ არის დაჭრილი.

ყველა დაჭრილები მოთავსებულია რესპუბლიკის საავადმყოფოში.

ჯანდაბაძე დააპატიმრეს.

როგორც ირკვევა ჯანდაბაძემ ბოროტმოქმედება ჩაიდინა შურისძიების ნიადაგზე.

◆ **ხანძარი.** გუშინ, სალამოს, საკვამლე მილის გაუწმენდლობის გამო ცეცხლი გაუჩნდა „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობას (რუსთაველის გამზირი № 8). ხანძარი ჩააქრეს.

◆ **გუშინვე** ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე კოოპერატიული ამხანაგობის სახლს (ალექსანდროვის ქ. № 12).

ხანძარი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

◆ **გაქცევა ვერ შესძლო.** გუშინ, სალამოს, სპეცდანიშნულების იზოლიატორში მოთავსებული ტუსაღი ვ. ტუღლიშვილი შეეცადა გაქცეულიყო. ამ მიზნით მან მცველს მოუნდომა თოფის ართმევა და გაუწია წინააღმდეგობა, მაგრამ ტუღლიშვილი მოკლული იქნა.

ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში ტუღლიშვილმა ოთხჯერ მოინდომა გაქცევა, მაგრამ ვერ შესძლო.

ტუღლიშვილი დაპატიმრებული იყო მკვლელობისათვის.

მუშათა ცხოვრება

„კომუნისტი“-ს მუშ კორების კრება

ოთხშაბათს, რვა დეკემბერს, სალამოს ხუთ საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს ბინაზე მოწვეულია „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებას დაესწრებიან მუშ-გლეხინის სახალხო კომისარი ამხ.ა. დოლიძე და ამხ. გოგიბერიძე.

მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

ლეჩხუმის პროფბიუროს მუშაობა

(წერილი ლეჩხუმიდან)

ლეჩხუმის სამაზრო პროფკავშირი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს როგორც სამაზრო ცენტრში, ისე პერიფერიებში.

პროფკავშირი ყოველგან ზომებს მიმართავს იმისათვის, რომ მტკიცე და მიზანშეწონილი კურსი აიღოს მთელი მაზრის მასშტაბით ადგილკომების ჩამოსაყალიბებლად და მათ მუშაობის გასაცხოველებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა შორის კულტ-განმანათლებელ მუშაობას.

ლეჩხუმის მაზრა ცნობილია მთელ რესპუბლიკაში თავის გეოგრაფიულ მდებარეობით. მთა-გორიან და მიუვალ ადგილებით, სადაც განსაკუთრებულ პირობებში უხდებათ მუშაობა ადგილებზე მყოფ—მუშაკთ. მძიმეა აქ მუშაობის პირობები, მაგრამ მაინც მოვაწყვეთ მუშათა და გლეხთა კლუბი. კლუბის აგებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ფართე მასამ. კლუბში ჩამოყალიბებულია დრამ-წრე, რომელიც ორ კვირაში ერთხელ დგამს წარმოდგენებს. უკვე მიღებულია ზომები კლუბის ირგვლივ სხვადასხვა წრეთა ჩამოსაყალიბებლად.

წრეთა სამეცადინოთ ეწყობა განსაკუთრებული ბინები, რომელიც დამთავრდება ამ ახლო მომავალში.

„ბარიტის“ მადანზე მომუშავე მუშები ყველანი თავის დროზე კავშირის წევრად ჩაერიცხეთ და დავაზღვევეთ კიდეც. აქ მუშაობენ გამოცდილი პროფმუშაკები.

კავშირის გამგეობა ხშირად იწვევს სხდომებს. სადაც მუშავდება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ. შრომის დაცვის, ხელფასის, დაზღვევის და სხვ.

შრომის პირობები მძიმეა და წარმოებაც ზარალობს

ხელსაწყო იარაღების დიდი ნაკლებობაა სალიანდაგო განყოფილების მეოთხე უბანში.

ალბად ადმინისტრაცია ფიქრობს ამით მომჭირნეობის გატარებას და სახალხო დოვლათის შე[illegible] ისეთ დიდ უბანში, როგორიც უღელტეხილია. გამოსატენი წერაქვები არ არის, და რაც არის, ისიც უვარგისია. მათი შეკეთება შეუძლებელია, რადგანაც მათ მრავალჯერ გაიარეს უბნის სახელოსნოში და ხანგრძლივი მუშაობით აღარც წვერი და აღარც გამოსატენი თავები აღარ შერჩათ.

ხელეჩოებისთვის თვით გზის ოსტატები დარბიან და ერთი მეორეს ეხვეწებიან მათხოვეო.

რკინის ნიჩბები იმდენად მოცვეთილია, რომ ყუაზედ არის დამდგარი. ასეთივეა სხვა იარაღების მდგომარეობაც.

მეშვიდე სოსტატოს ხელის რონოდანა არა აქვს და უნდა გულახდილად ითქვას, რომ ეს სოსტატო „შელოცვილ“ ფუძედ გადაიქცა და ერთი რონოდანის ღირსი ვერ გახდა. 1925 წელში ახალ რონების გაზიდვას და ძველის ცვლას ერთი დაზიანებული რონოდანით იწარმოებდა იგი. წელს განძელების ცვლამ საბოლოოდ იმსხვერპლა ისიც და დღეს ყოველგვარი მასალის გაზიდვას მუშები მხრით აწარმოებენ.

ყოვლად წარმოუდგენელია, თუ რა უნდა ქნან მუშებმა რაიმე უბედური შემთხვევის დროს, მით უმეტეს ასეთ დიდ სალიანდაგო ნაწილში, როგორც უღელტეხილზეა, სადაც მძიმე რონები აწყვია და მუხის განძელებია.

ნუ თუ ასეთების ზურგით გაზიდვით ფიქრობს ადმინისტრაცია წარმატებით მოძრაობის აღდგენას.

ასეთი „მუშაობა“ ძირს უთხრის ჩვენ წარმოებას და ჩვენ ამითი ზარალის მეტი არაფერს ვაძლევთ რკინისგზას.

ეს ნაკლულევანება ადმინისტრაციამ დროზე უნდა გამოასწოროს.

და-რე-ლი.

ხშირათ ასეთი გასამართლება

5 დეკემბერს, დილის 12 საათზე საქონლის სადგურის აუდიტორიაში მოეწყო გ. წერეთლის ნაწარმოების „პირველი ნაბიჯი“-ს მიხედვით მთავარი გმირის ერემია წარბას ლიტერატურული გასამართლება.

ნაწარმოების შინაარსი დამსწრე საზოგადოებას გააცნო ამხ. ნ. გოგიბერიძემ.

ბრალს სდებდენ: ამხ. ალ. კალანდაძე და ვაშაკიძე.

იცავდა ამხ. კეშელავა.

ბრალმდებელთა და დამცველთა სიტყვის შემდეგ საზოგადოებიდან ილაპარაკეს ამხ. კ. გოგიბერიძემ, ს. მახარაძემ, მგალობლიშვილმა, ქორიძემ და სხვამ.

საზოგადოებამ მოისმინა, აგრეთვე მხარეთა კამათი, რის შემდეგ გასამართლება დამთავრდა.

სასამართლომ 1 საათის [illegible] შემდეგ გამოიტანა განაჩენი, სადაც ბრალდებულ ერემია წარბას მიუსაჯა 2 წლის პირობითი სასჯელი. ასეთ განაჩენის გამოტანით საზოგადოება ფრიად კმაყოფილი დარჩა. ასეთი გასამართლება უფრო ხშირად უნდა მოეწყოს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წესრიგი არ იყო დაცული, რაც საქ. სადგურის კულტკომისიამ უნდა მიიღოს მხედველობაში.

მუშკორი ჯავახიშვილი

ვის იყვანენ ალმწერლებად

გაზეთებში გამოცხადებულია წესები, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ქალაქის მცხოვრებთა აღმწერლებად მიღებულნი. იყო ნათქვამი, რომ პირველ რიგში მიიღებიან დაზღვეული უმუშევრები და იმავე დროს კავშირის წევრები შრომის ბირჟაზე აღრიცხულნიო. მეორე რიგში არაბირჟაში აღრიცხულნი, ხოლო ღარიბნი, თუ მათ ამისათვის სათანადო სწავლა შესწევდათ, რისთვისაც უნდა შეევსოთ განსაკუთრებული ანკეტები. ასეთები კიდეც შევავსეთ 8 ოქტომბერს. ამის შემდეგ გვარბენიეს რამოდენიმეჯერ, რათა გავეგო ვიყავით თუ არა მიღებული და მოუთმენლად მოველოდით იმ დღეს, როდესაც გამოაკრავდენ მიღებულთა სიებს. აი კიდეც გამოაკრეს სიებიც ნოემბრის ბოლო რიცხვებში. მაგრამ ვაი უბედურებავ, რას ვხედავთ. ისინი, ვინც არც ბირჟაში იყვნენ აღრიცხულნი, არც კავშირის წევრებია და არც დაზღვეულნი არიან, მიღებული არიან. და ისინი ვინც დაზღვეულიც არის, კავშირის წევრიცაა და ამავე დროს ღარიბიცაა არ არიან ამ სიაში.

როგორ მოხდა ეს გაუგებარია.

დაშვებული შეცდომები, აუცილებლად გასწორებულ უნდა იქნეს.

მუშკორი შხამი.

ამ პატარა ქურდებს დიდი ყურადღება სჭირია

სადგ. თბილისის ბაქანზე დახეტიალობენ უპატრონო ბავშვები, რომლებიც ქურდობით ირჩენენ თავს; ჩამოდგება მატარებელი, ადიან საკლასო რონოდებში და თვალ და ხელს შუა აცლიან მგზავრებს ბარგს.

მაგალითად, 2 დეკემბერს სალამოს 6 საათზე მოვიდა თელავის მატარებელი. სამი პატარა ავიდა რბილ რონოდაში და ერთ მგზავრს ხელიდან კალათი გამოაცალეს, დანარჩენებმა კი მუშტები დაუშინეს საწყალ მგზავრს.

გარდა ამისა, გასულ წელს სადგ. თბილისში დაიწვა ერთი რონოდა პატარების მეოხებით, რადგანაც სიცივის გამო ცეცხლს ანთებდენ. ასეთ მაგალითს სადგ. შორაპანშიც ჰქონდა ადგილი. ამიტომ საჭიროა, რომ რკ. გზ. სამმართველომ მიიღოს ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ზამთარი მოახლოვებულია და შესაძლებელია კიდევ დაიწვას რამოდენიმე რონოდა პატარების წყალობით.

მ. ციცინათელა

ასეთი მოვლინეობით დიდი ზარალი არ მოგვივიდეს

(დნ—მ-ს და საგზაო კომიტეტის საყურადღებოდ)

სად. თბილისის ადმინისტრაცია ხანდისხან ძალიან უმნიშვნელო, ცხოვრებაში გაუტარებელ ბრძანებებს უშვებს ხოლმე. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ ბრძანებას (№2423—21—4 ა. წ.)

ბრძანება ამბობს, რომ სახალხო მატარებლის უფროს კონდუქტორებს ევალებათ, რათა ყველა მატარებლებზე, სადაც კი არის ხმარებაში სანთლები, მოაგროვონ მისი დაწვის დროს დაცვენილი წვეთები და ნაწვავები. ეს კი ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან „დნ—ებს“ არა აქვთ დრო, რომ ეს სანთლის ნაწვავი აგროვონ და ნაწვავის წვეთები ეძიონ მატარებელში.

ჩემი აზრით, ეს ბრძანება ადმინისტრაციამ უნდა შესცვალოს, თორემ სანთლის ნაწვავი იმდენ ზარალს ვერ მისცემს რკინისგზას, როგორც უბილეთო მგზავრები. ის აჯობებს, რომ ხშირად ისინჯებოდეს მატარებელი და უბილეთო მგზავრები არ დასეირნობდენ მატარებელში.

მუშკორი — არხის-პირელი.

მუშათა ქრონიკა

— **განწესი.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაავალა კონდუქტორთა გუნდების განმწესრიგებელს, რათა თავის დროზე შეიმუშაოს განწესი.

— **იურიდიული კონსულტაცია.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის იურიდიულ კონსულტაცია უკვე გაიხსნა. მუშებს ეძლევათ რჩევა-დარიგება ყველა საკითხებზე.

— **წიგნები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ დაადგინა, შეძენილ იქნეს სამკითხველოსთვის ქართული წიგნები.

— **ხელფასი.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა: ვინაიდან კონდუქტორები არ იღებენ თანაბარ ხელფასს, დაევალოს ადმინისტრაციას, რათა მოაგვაროს ეს საკითხი.

— **სამკურნალო.** ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ სოხუმში გაგზავნა სამკურნალოდ 15 კაცი.

— **„წითელი შოლტი“.** საქ. სადგურის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მე-35 ნომერი „წითელი შოლტის“ სახელწოდებით.

— **ჭრა-კერვის წრე.** ამხ. ბ. ძნელაძის და ოქროევის სახ. კლუბის გამგეობამ საჭიროთ სცნო ჭრა-კერვის წრის დაარსება.

— **სადგურ თბილისის** მოძრაობის დარგის თანამშრომელთა საერთო კრებამ დაავალა ადმინისტრაციას, რათა მორიგ კონდუქტორთა დასასვენებელ ოთახში არ იყვნენ უსაქმო კონდუქტორები.

— **2 მილიონი.** ა.-კ. რკინის გზის სამმართველომ საუღელტეხილო ელექტროფიკაციისთვის გადასდო 2 მილიონი მანეთი.

— **თბილისის საუბნო დამზღვევი** სალარო პენსიონერთათვის პენსიების გაცემას დაიწყებს 7 დეკემბრიდან.

— **აფთიაქები სახელოსნოსათვის.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაადგინა: ეთხოვოს მე-9 უბნის უფროსს მოაწყოს პატარა აფთიაქები სახელოსნოებისათვის.

— **შრომის დაცვა.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა სთხოვა შრომის ინსპექტორს, რათა გამოაკვლიოს შრომის დაცვის პირობები განძელების მეღენთავ ქარხანაში.

— **სალაროს კრება.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა საჭიროდ სცნო, რათა ამავე უბნის ხაზზე ახლო მომავალში ჩატარებულ იქნეს ურთიერთ დამხმარე სალაროების წევრთა საერთო კრებები.

— **ლიკვიდაცია.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა დაავალა ყველა ხაზის ადგილკომებს, მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა.

— **ტელეფონი.** ძნელაძის და ოქროევის სახელობის კლუბის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა საუბკავშირის წინაშე, რომ კლუბისთვის შეძენილ იქნეს გზის ქსელის ტელეფონი.

ხელოვნება

მუშათა თეატრი

(რუსული დრამა)

მიმდინარე თეატრალურ სეზონში მუშათა თეატრი აკმაყოფილებს პროფკავშირების მუშური მასის კულტურულ მოთხოვნილებებს. სცენიური ძალების, ალექსანდროვის მეთაურობით შედგენილია დასი, რომელიც დასდგამს წარმოდგენებს, სახალხო თეატრში; ამასთანავე დიდი ყურადღებაა მიქცეული იმაზე, რომ დაიდგას ისეთი წარმოდგენები, რომლებიც მუშათა მასის თანამედროვე მოთხოვნილებას შეეფერება. რეპერტუარში შეტანილია ახალი, რევოლიუციონური მიმართულების პიესები, სოციალური დრამები, საბჭოთა კომედია; ამასთანავე ადგილი აქვს დათმობილი რუს და ევროპიულ კლასიკების ნაწარმოებთ (ოსტროვსკი, გოგოლი, შექსპირი, შილლერი და სხ.).

დასის შემადგენლობაში მიწვეული არიან ბაქოს მუშათა თეატრის საუკეთესო მსახიობნი. დასს ჰყავს სათადარიგო დასი, რომელიც უმთავრესად ახალგაზრდა, ნიჭიერ სცენის მოყვარეებისაგან შესდგება. დასის მხატვრულ ნაწილს განაგებს რევოლიუციონური მოძრავი თეატრის —„წითელი ჩირაღდნის“ პირველი დამაარსებელი და ხელმძღვანელი ვ. ტატიშჩევი; სარეჟისორო ნაწილი დავალებული აქვს დასის მსახიობ — ლიუბოშს. გარდა ამისა, განზრახულია რამოდენიმე პიესის შესრულება მარჯანიშვილის, ახმეტელის და ფედოროვის დადგმით. თეატრთან არის საკუთარი ორკესტრი იმ პიესებისათვის, სადაც საჭიროა მუსიკალური ილიუსტრაცია. თეატრის მუსიკალურ ნაწილს განაგებს ფანიევი.

კლასიკურ რეპერტუარიდან უკვე ნაწილობრივ შესრულებულია ოსტროვსკის „ბელუგინის ქორწინება“, გოგოლის „რევიზორი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ხოლო თანამედროვე პიესებიდან—ვინნიჩენკოს „ცოდვა“, ტოლსტოი - შჩეგოლევის „დედოფლის შეთქმულება“, შაპოვალსკის „1881 წელში“, გორკის „ყალბი ფული“, უკვე დაიდგა ლუნაჩარსკის „დათვური ქორწინება“, ბელოცერკოვსკის „გრიგალი“, ბულგაკოვის სატირა „ზოიას ბინა“, ახალი პიესა „იღმუვლე ჩინეთო“ და სხვა.

ეს დასი იმუშავებს შემდეგი პროგრამის მიხედვით: 4 თვე ბაქოში, სამი თვე თბილისში, თვენახევარი ერევანში და სამი კვირა ბათომსა და სოხუმში. დარჩენი ორი თვე—დასვენება და მზადება შემდეგი სეზონისათვის.

ვ. ბ.

პროლეტარულ მწერალთა შორის

კვირას, 5 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში შესდგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის სასეზონო პირველი სხდომა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბ. ბუაჩიძემ, რომელმაც ახსნა ასეთი საღამოების მოწყობის მნიშვნელობა. შემდეგ ის ზოგადათ შეეხო თანამედროვე ქართულ ლიტერატურის სინამდვილეს.

ქართული პროლეტარული ლიტერატურის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. რონდელმა, რომელმაც ზოგადი თეორეტიული ანალიზი მისცა პროლეტარულ ლიტერატურის მხატვრულ შემოქმედებითი პრინციპებს.

მომხსენებელი შეეხო საქართველოში პროლეტარული პოეზიის განვითარების საფეხურებს.

პოეზიის განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს პროლეტარულმა პოეტებმა: ა. ამაშუკელმა, კ. კალაძემ, ა. ლორთქიფანიძემ და შინატელმა.

საღამოს ბლომად დაესწრო საზოგადოება.

№.

ხელოვნების ქრონიკა

— „ცისფერი ყანწელების“ საღამო ქუთაისში. იანვრის შუა რიცხვებში ქუთაისში გაიმართება „ცისფერი ყანწელების“ საღამო.

— ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა გაიხსნება დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

— „ამერიკელი ძია“. დღეს, რუსთაველის თეატრში მეორედ წარმოდგენილი იქნება: „ამერიკელი ძია“.

— „ნამუსი“ კინო „არფასტოში“ განახლდა ჩვენება სომხეთის კინომრეწველობის სურათის: „ნამუსი“-ს.

— „იბლავლე ჩინეთო“. ხვალ მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „იბლავლე ჩინეთო“.

— ლექსების წიგნი. გამოვიდა ხანდრო ეულის ლექსების წიგნი შ. დუდუჩავას წინასიტყვაობით. გამოცემა სახელგამის.

— „ვარსკვლოვან ცის ქვეშ“. კინო „მინიონში“ დაიწყო ჩვენება ახალი სურათის: „ვარსკვლოვან ცის ქვეშ“ აღმოსავლეთის ცხოვრებიდან.

რკინის გზებზე

ლიანდაგის დაზიანება

5 დეკემბერს სადგ. ევლახში იყო თავისუფალი ხაზი, რელსის გაფუჭების გამო დაიკეტა 4½ საათის განმავლობაში.

დაჯახება

5 დეკემბერს, დღის 5 საათზე სადგ. კიურაკჩაიში საბარგო მატარებლის მიღების დროს უკანასკნელი შევიდა ჩიხში, სადაც იდგა ერთი დატვირთული რონოდა. დაჯახების დროს დაიმტვრა ამ რონოდის უკანასკნელი და მატარებლის შემადგენლობიდან გამოვარდა ერთი ლია რონოდა. მატარებლის წინა სამ რონოდას დაუზიანდა ბუფერები.

სადგურის უფროსის განმარტებით ჩიხის ისარი დაკეტილი იყო და იგი ვიღაცას გაუღია მატარებლის მიღებამდე.

ამ შემთხვევის გამო საფოსტო მატ. № 3-მა დაიგვიანა 15 წუთით.

დაუდევრობის ნიმუში

5 დეკემბერს ადგ. ევლახში იყო თავისუფალი მხოლოდ ერთი ხაზი. სადგ. მინგაჩაურიდან მოდიოდა საბარგო მატარებელი და რათა წარცხი აცილებული ყოფილიყო, სადგურის მორიგემ გასცა განკარგულება, რათა მეისრეს სემაფორი არ გაეღო სადგ. მალისაკენ მატარებლის გაგზავნამდე. განკარგულება მოყვანილ იქნა სისრულეში.

მიუხედავათ ამისა მემანქანე ლუნევსკი შევიდა მესამე დაკავებულ ხაზზე და დაეტაკა მიმავალ მატარებლის მომწოლ ორთქლმავალს.

კაზანცევის [illegible]

კვირას ნაშუადღევის 1 საათზე თბილისიდან-ბაქოსკენ წავიდა კაზანცევის მუხრუჭებით ახლად შედგენილი საცდელი მატარებელი. მატარებელს გაჰყვა სპეციალური გამომცდელი კომისია ამხ. ფლ. კაზანცევთან ერთად.

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებული დეპეშის თანახმად, მატარებელი ბაქოში უკვე ჩასულა.

დოლი

საქართ. ცხენები

ბაქოში გამართულ საშემოდგომო დოღის დასრულების გამო, მოხდა შესაფერი ჯილდოების დარიგება. პირველი სახელობით ჯილდო (250 მანეთის რაოდენობით) მიეკუთვნა საქართ. ცხენთსაშენის მერანს „დივნის“.

ჯილდოები მიიღეს აგრეთვე „ეთერმა“ და „იაჯა-ქიაურელმა“.

ცხენები საფრანგეთიდან

ცხენთსაშენის სამმართველო ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთში 11 საუკეთესო ჯიშის ცხენის შესაძენათ.

გასაწვრთნელათ

ცხენთსაშენის სამმართველომ გადასწყვიტა ჩამოიყვანოს მოხროვანის სამომშენებლოდან 15 საუკეთესო ჯიშის ცხენი თბილისის საჯინიბოში გასაწვრთნელათ.

სასამართლო

რკინისგზის საავადმყოფოს თანამშრომელთა საქმე

(მესამე დღე)

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით გურასპოვას ბავშვს ლიაპისისაგან დაზიანებული აქვს ერთი თვალი.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგაც თვალის მორჩენა საეჭვოა.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

მუქთად ქეიფს მოყვარულნი

ამა წლის ნოემბრის ერთ საღამოს, ორი „ძმა-ბიჭი“—მოქ. სერგო ბაქრაძე და კონსტანტინე მეძმარიაშვილი პლეხანოვის გამზირზე დასეირნობდნენ. ამ სეირნობის დროს მათ წინ შემოხვდენ სხვა ისეთივე „ძმა-ბიჭები“—მოქ. გიორგი ჩხეიძე და ალექსანდრე მელიავა. მეგობრებმა გადასწყვიტეს ერთად ექეიფათ იმ საღამოს. არ გასულა დიდი ხანი, რომ თავიანთი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. შევიდნენ ერთ-ერთ სასადილოში და ძალზე შექეიფიანდნენ.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა სასადილოს გამგემ ანგარიში წარუდგინა მოქეიფეთ და ითხოვა გასწორება.

— ეხლავე, მეგობარო, ეხლავე, ხომ არსად გავრბივართ. ერთი ბოთლი ღვინო კიდევ მოგვართვი და შემდეგ გაგისწორებთ ანგარიშს— უპასუხეს „ძმა-ბიჭებმა“.

სასადილოს გამგე დამშვიდდა და განაგრძო თავისი საქმე. ცოტა ხნის შემდეგ შევიდა მოქეიფეებთან და ნახა, რომ 4 კაცის მაგიერ ზის მარტო ერთი კაცი.

— მეგობარო თქვენზე ირიცხება 25 მანეთი და გაასწორეთ ანგარიში—ეუბნება სასადილოს გამგე მეძმარიაშვილს.

— რაო, ოცდახუთიო? კაპეიკიც არ მაქვს; ფული ჩემ ამხანაგებს უნდა გადაეხადათ, თქვენ კი ისინი არხეინათ გაგიშვიათ გარეთ—მიუგო მეძმარიაშვილმა.

როცა მეძმარიაშვილს დამატებით ღვინო არ მოუტანეს, მოჰკიდა ხელი თეფშებს, ჭიქებს, ბოთლებს და ყველაფერი ნაცრად აქცია. გაჩნდა ჩხუბი, გამოჩნდა მილიციელი. ჩხუბის დროს გაპარული „ამხანაგები“ სწრაფად გაჩნდენ, რომ ეხსნათ თავიანთი „მეგობარი“. „ძმა-ბიჭებმა“ სცემეს სასადილოს გამგეს და მილიციელს. მოქალაქენი გალანძღეს.

დიდი ვაი-ვაგლახით ისინი კომისარიატში მიიყვანეს.

გუშინ ეს საქმე გაირჩა სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში.

სასამართლომ ჩხეიძეს, ბაქრაძეს და მელიავას მიუსაჯა პირობითი სასჯელი.

გამოირკვა, რომ მეძმარიაშვილი წინედაც ყოფილა პასუხისგებაში მიცემული ხულიგნობისათვის.

სასამართლომ მეძმარიაშვილს მიუსაჯა 6 თვით გამსახლში დაპატიმრება და სასჯელის მოხდის შემდეგ თბილისის ფარგლებიდან გადასახლება.

ტრაგედია ქეიფობის შემდეგ

(ნ. სიხარულიძის საქმე)

ამა წლის 16 სექტემბერს ნაშუადღევის სამ საათზე სასადილო „ნადკურორი“-ში შეგროვდენ ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის ახლად კურს დამთავრებული მეთაურები. მათი მიზანი იყო სადილით აღენიშნათ სკოლის დამთავრება. პირველად სასადილოში მივიდენ ვლასა ხიმთიშიძე და ნიკოლოზ სიხარულიძე.

ლხინში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე: შალვა დევდარიანმა, ივანე მიქაძემ, მალხაზ გოგიჩაიშვილმა, ვასილ რუხაძემ და გიორგი ბურკაძემ.

შეზარხოშების შემდეგ მათ სუფრაზე მიიწვიეს როსკიპი ქალები: ქ. პ. თ. და მ. ჯ.—მეტსახელად „გურკა“.

სუფრაზე მოიწვიეს აგრეთვე მეთაურები და დროს მხიარულად ატარებდნენ. ღამის 11 საათზე კაბინეტში დარჩენ მხოლოდ: შალვა დევდარიანი, ნიკოლოზ სიხარულიძე და სამი როსკიპი ქალი. ქ. პ. ღვინოს არ სვამდა. სიხარულიძე ემუდარებოდა მას დაელია ღვინო და „გაეწია მისთვის თანაგრძნობა“ ქ-მა ანგარიში არ გაუწია სიხარულიძის თხოვნას. ამის შემდეგ სიხარულიძემ ამოიღო რევოლვერი და მძიმედ დასჭრა იგი.

მომხდარი უბედურების შემდეგ სიხარულიძემ რევოლვერი ფანჯრიდან მტკვარში გადააგდო და მოინდომა გაპარვა, მაგრამ დააპატიმრეს.

მეორე დღეს პ—ს ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ მან განაცხადა, რომ ის დასჭრა მოქ. შალიკომ, რომლის გვარი არ იცის. საავადმყოფოში პ—ს წარუდგინეს შალვა დევდარიანი, ვასილ რუხაძე და ნიკოლოზ სიხარულიძე, მაგრამ დამნაშავე დაჭრილმა ვერ გამოიცნო.

გვამის განკვეთისას აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებულს მოხვედრილი ჰქონდა „ნაგანის“ რევოლვერის ტყვია მუცელში.

იჭვით დააპატიმრეს დევდარიანი, მაგრამ მეორე დღესვე სიხარულიძემ განაცხადა ს. ს. მილიციაში, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა.

ამჟამად საბრალმდებლო სკამზე ზის ნიკოლოზ სიხარულიძე, რომელსაც ბრალდება ქ. პ.—ს წინასწარი განზრახვით მოკვლა.

გუშინ ნაშუადღევის სამსაათზე სამხედრო სკოლის დარბაზში (პლეხანოვის პროსპექტი) აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო შეუდგა სიხარულიძის საქმის განხილვას.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. სიჭინავა, სახალხო მსაჯულები: სიხარულიძე და ტიღიშვილი.

ბრალს სდებს პროკურორი ლ. ფლენტი, საზოგადო ბრალდებულად გამოდის ამხ. ოკუჯავა, იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ღვამიჩავა.

გასამართლებას დიდძალი წითელ-არმიელები ესწრება.

პროცესი საზოგადო-საჩვენებელი ხასიათისაა.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული სიხარულიძე.

ბრალდებული ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მკვლელობის ჩადენის დროს ის ძალზე მთვრალი იყო.

დასასრულ ბრალდებული აცხადებს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა უცაბედათ.

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას. დაკითხულ იქნენ გედევანიშვილი და ფირცხალაიშვილი.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს შუადღის 12 საათზე.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

ფეხბურთი

სომხეთი—„არსრაიონი“

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა სომხეთის ნაკრები გუნდის და „არსრაიონის“ შეჯიბრი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

სომხეთის ნაკრები გუნდი მონაწილეობას იღებდა ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშებაში; გუნდს ორი შეჯიბრი ჰქონდა ბაქოში და ორივე მისი დამარცხებით დამთავრდა (სომხეთი—„პროგრესი“ 0:4 და სომხეთი—საქართველო 0:7).

უნდა ითქვას, რომ გუნდი არც თუ ისე სუსტია. ჩანს, რომ გუნდი ახალგაზრდაა, მოთამაშეებს აკლიათ ერთმანეთთან შეწყობა-შეთამაშება, ზოგიერთებს კი ჯერ კიდევ ხანგრძლივი ვარჯიშობა დასჭირდებათ, სანამ შეეჩვევიან ბურთის მოხმარებას.

სომხეთის წინააღმდეგ სათამაშოდ გამოვიდა „არსრაიონი“. ეს გუნდი შარშან ერთერთ პირველ ხარისხოვან გუნდათ ითვლებოდა თბილისში. მაგრამ კვირ. შეჯიბრმა დაამტკიცა, რომ გუნდი საგრძნობლად შესუსტებულა, მიუხედავათ იმისა, რომ გუნდში თითქმის არავითარი ცვლილებები არ მომხდარა.

თამაშის ორივე განყოფილებაში უპირატესობა სომხეთის ნაკრების გუნდის მხარეზე იყო. „არსრაიონი“ ყოველთვის ძლიერი იყო თავისი ტეხნიკით. ამ შეჯიბრში კი მათი ტეხნიკა თითქმის სრულებით არ ჩანდა.

პირველი ტაიმი საკმაოდ მოდუნებულად ჩატარდა და დამთავრდა 0:0.

მეორე ტაიმში სომხეთის გუნდმა გააცხოველა თამაში და მე-30 წუთზე პირველი ბურთი გაატარა „არსრაიონის“ კარებში. ჩქარა მათ მეორე ბურთი შეაგდეს მოწინააღმდეგის ბადეში „პენალტი“-დან, მაგრამ მსაჯმა რატომღაც მათ ეს ბურთი არ ჩაუთვალა.

ტაიმის ბოლოს არსრაიონელებმა შესძლეს ერთი ბურთის გატანა „კორნერი“-დან და შეჯიბრი დამთავრდა 1:1.

სომხეთის გუნდიდან კარგად თამაშობდენ მცველები და ორივე გარე-მარბი. არა უშავს ნახევრად მცველთა შემადგენლობას. ძალიან სუსტია ცენტ-სამეული.

ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სომხეთი—საქართველო

მეორე შეჯიბრი ამიერ-კავკასიის პირველობაზე გაიმართა საქართველოს და სომხეთის ნაკრებ გუნდების შორის. საქართველო ამ შეჯიბრში გამოვიდა შესუსტებული შემადგენლობით (ზოგიერთი ძლიერი მოთამაშეები ისვენებდენ): პაპკოვი, ფოჩხუა, ლაზარევი, ფრუიძე; ანიკინი; იმნაძე; ქებაძე; ჟორდანია, ვაჩნაძე, იაკიმიდი და ქოიავა.

თამაშის დაწყებისთანავე აშკარა შეიქნა საქართველოს ნაკრები გუნდის უპირატესობა. მე-10 წუთზე ქებაძემ მიაწოდა ბურთი ქოიავას, ამ უკანასკნელმა კი ლამაზი დარტყმით სომხეთის ბადეში მოაქცია იგი.

მე-14 წუთზე ჟორდანიამ გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი და მეორე ლამაზი ბურთი გაატარა მოპირდაპირის კარებში.

მიუხედავათ სომხეთის მოხდენილ თამაშისა, მათი ფორვარდები იშვიათათ მიდიოდენ საქართველოს გუნდის კარებამდი. მე-19 წუთზე ქებაძეს ლამაზი გოლი შეაქვს თავით. მე-27 წუთზე სომხეთის გუნდი დაჯარიმდა. ან. ჟორდანიამ განზრახ არ შეაგდო ბურთი „პენალტი“-დან. მე-42 წუთზე ქოიავას მიერ მოწოდებული ბურთი ჰაერშივე მიიღო ვაჩნაძემ და ძლიერი დარტყმით სომხეთის გუნდის ბადეში მოაქცია იგი. პირველი ტაიმი თავდება 4:0.

თამაშის მეორე განყოფილებაში სომხეთის გუნდის მოთამაშეები უფრო ძლიერად იწყებენ თამაშს, საკმაოდ ხშირად მიდიან საქართველოს გუნდის კარებისკენ, მაგრამ უნაყოფოდ.

მე-12 წუთზე ქებაძეს შეაქვს მეხუთე გოლი. ცოტა ხნის შემდეგ ბრძოლის ინიციატივა სომხეთის გუნდის ხელში გადავიდა. ამ უკანასკნელის მოთამაშეები მედგრად აწვებიან საქართველოს კარებს.

მე-32 წუთზე ჟორდანიამ შეაგდო მეექვსე გოლი. სომხეთის გუნდი სცდილობს მშრალი შედეგით არ გამოვიდეს შეჯიბრიდან, მაგრამ ამაოდ. მე-42 წუთზე ქებაძეს შეაქვს მეშვიდე და უკანასკნელი გოლი.

კალათბურთი

საქართველოს გუნდის გამარჯვება

4 დეკემბერს ქალაქის სტადიონზე აუარებელი ხალხის თანდასწრებით გაიმართა ორი ძლიერ საინტერესო თამაში ქალებსა და ვაჟებს შორის.

პირველ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდენ საქართველოს ქალთა გუნდი „მედსანშრომა“ და „ნაკრები აზერბეიჯანი“. დიდი ბრძოლის შემდეგ შეჯიბრი მოიგო საქართველოს გუნდმა 13:10. საქართველოს მხრიდან აღსანიშნავია მ. გონჩაროვას მეტად მოხდენილი თამაში.

იმავე დღეს ერთმანეთს შეხვდენ საქართველოს გუნდი „სინათლე“ (ვაჟების) და „ნაკრები აზერბეიჯანი“. თამაში მეტად საინტერესო გამოდგა. დიდი ბრძოლის შემდეგ შეჯიბრი მოიგო საქართველომ 25:18.

საქართველოს მხრიდან ლამაზად თამაშობდენ გ. საყვარელიძე და მიხ. ცქვიტაძე. კალათბურთის ორივე შეჯიბრს სჯიდა ამხ. იოხავა.

ა. პ.

იურიდიული დახმარება

დაიშვება თუ არა სოფლის შრომით მეურნეობაში დაქირავებული შრომა

კითხვა

გთხოვთ გვიპასუხოთ, გვაქვს თუ არა უფლება დავიქირავოთ სოფლის მეურნეობისათვის მუშახელი?

რაჭველი გლეხი პავლე გ—ძე.

პასუხი

თანახმად მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 37-სა, დაქირავებული შრომით სარგებლობა შეუძლიან: ა) მიწის მშრომელ მოსარგებლეს, თუ კი იგი მუშახელის ან ინვენტარის ნაკლებობის გამო (ე. ი. მას არა აქვს მიწის დასამუშავებელი იარაღები, გუთანი, სახნისი, არ ყავს მუშა საქონელი) დროზე ვერ ასწრებს საჭირო სასოფლო სამეურნეო სამუშაოს შესრულებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დამქირავებლის ოჯახის ყველა სახლში მყოფი და შრომის უნარის მქონე, წევრი იმუშავებს დაქირავებულ მუშასთან ერთად და ბ) წითელარმიელის მობილიზაციით, ან ბეგარით სამხედრო სამსახურში გაწვეულის ოჯახს (თუ მათ ამით შეუმცირდებათ მუშა-ხელი), საბჭოთა ან საზოგადო სამსახურში არჩეულ პირთა ოჯახებს და საზოგადოდ ყველა იმ პირთ, ვისაც აქვთ უფლება გასცენ მიწა იჯარით. (იხილე იქვე მუხ. 26) დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ კი შესრულებული იქნება სოფლის მეურნეობისათვის მიღებული შრომის დაცვის და მოწესრიგების კანონი. (იხ. იქვე მუხლი 38).

აქვს თუ არა ყოფილ მემამულეს უფლება ისარგებლოს მუდმივი დაქირავებული შრომით?

კითხვა

ჩვენ სოფელში ცხოვრობს ერთ-ერთი ყოფილი მემამულე, შრომის უნარს მოკლებული და მოხუცებული.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, აქვს თუ არა მას მუდმივი დაქირავებული შრომის გამოყენების უფლება?

ლეჩხუმის გლეხი ზურაბ კი—ტაძე.

პასუხი

მუდმივი დაქირავებული შრომის გამოყენება არ შეუძლია ყოფილ მემამულეს, გარდა იმისა, ვისაც შრომის უნარი დაეკარგა. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 37-ის შენიშვნა).

პარტიული კალენდარი

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-3-ე რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1) შესდგება მე-3-ე რაიონის პარტკონფერენციაზე გასაგზავნათ სამხედრო ორგანიზაციებიდან არჩეულ დელეგატების თათბირი.

ყველა დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-8-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგება მე-8-ე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

— ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 9 საათზე უნივერსიტეტში მოწვეულია უჯრედების გაერთიანებული კრება.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქართვ. კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ქალაქის რაიონის ყველა პოლიტსკოლების და საბჭოთა პარტსკოლების ხელმძღვანელებს, რათა დღეს, დღის 2 საათზე გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-2-რე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— ს. კ. პ. ლენინის რაიკომის რემედასხ აცხადებს, რომ დღეს, 7 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. ლენრაიკომის შენობაში მოწვეულია ლენრაიკომის რემედასის პლენუმი.

ლენრაიკომის რემედასის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დაწუხრებულნი მეუღლე სერგო ყარამანის-ძე ბოლქვაძე, შვილები: ლეო, ნელი და ზოია, დედა ნატალია, რძლები: ნინა და [illegible], ძმები ბარნაბ და ვალოდია ერმალოსძენი ხუნდაძეები, დები: მართა და ნინა, სიძეები: არსენ სალაყაია, ალფეზი და ისაკი რამიშვილები შვილებით, მაზლები: ვასო, გიორგი, ტოტია და ვალოდია, რძლები: ნატალია, ნინა, აგრაფენა და თამარა ბოლქვაძეებ შვილებით. მული გულნტი ყარამანის ასული თელიასი შვილებით, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 5 დეკემბერს დილით ათ საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

შუშანიკა ერმალოს ასული
ბოლქვაძისა

დაკრძალვა ოთხშაბათს 8 დეკემბერს წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება ნაშუადღევის 3 საათზე. ობსერვატორიის შესახ. № 8. 835 2—1.

გულდათუთქულნი დ'და ხატალია, ქმარი სერგო, შვილი პატარა ლეო, ძმები: გიორგი, ვარლამ და ვალოდია, რძლები: კატო, ნინა და გალინა ხუნდაძეები თავიანთი შვილებით, დები: მართა და ნინუცა, სიძეები: არსენ სალაყაია, ისაკი და ალფეზ რამიშვილები თავიანთი შვილებით, ბიძები: რაჟდენ, სილოვანი და სიმონი, ბიცოლები: ოლღა, პატკულია, კეკელა და სონია ხუნდაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი, დაუვიწყარი

შუშანიკა ერმალოზის ასული
ხუნდაძე-ბოლქვაძისა,

რომლის დასაფლავება მოხდება ქალაქ თბილისში, კუკიის სასაფლაოზე (წმინდა ნინო) 8 დეკემბერს დღის 2 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან, ობსერვატორიის შესახვევი № 8. 832

კუბოს კარამდი გლოვა-მწუხარებაში მყოფნი გაუბედურებულნი დედმამა ხარიტონ და მარიამ დოლიძეები აცნობებენ ყველას, ვისაც მათთვის კარგი უნდოდა, რომ 11 დეკემბერს დილით შ..ოს, ქ. ოზურგეთში მოიდანახეს ეკლესიაში გარდახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ჩვენი უდროოთ დაკარგულის სიბერის ჟამის იმედის ერთად ერთი შვილის

გრიშა დოლიძის

მოსაგონარათ. ამასთან დიდ მადლობას ვსწირავთ ყველას, ვინც წრფელი გულით თანაგვიგრძნეს. ნ. 319

უზომო მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანნა სოლომონის ასული, ძმა აკაკი, დები: მარიამ მაღრაძისა, ქრისტინე ყანჩაველისა, ბაბილინა მაჭავარიანისა, სიძეები: აქსენტი მაღრაძე, ირაკლი ყანჩაველი რომან მაჭავარიანი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს რომ 5 დეკემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა მე-9 რაიონის უფროსი თანამშრომელი

გრიგოლ პავლეს ძე ამაშუკელი

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, ნაშუადღ. 3 ს. წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან არდაგანის შესახვევი № 6, ვარდანაშვილის სახლიდან. 1—1 832

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ დეკემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე ათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში — „ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, ჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

აპოლო

არფასტო

სოლეი

დარბაზი

(ყოფ. გლობუსი)

ნ. 287 0—6

არაჩვეულებრივი ინტერესის გამო

ნიბელუნგები-ს 1 და 2 სერიის ჩვენება გაგრძელებულია. უკრავს სიმებიანი ორკესტრი

უკანასკნელად თბილისში

ნამუს რეჟ. ბეკ-ნაზაროვი

პროგრამის :არეში მიწისძვრა სომხეთში

ამ დღეებში: „ნაჩქარევი ქორწინება“

უკრავს სიმებიანი ორკესტრი

კონრად ვეიდტ და კსენია დესნი სურათში

ვილჰელმ ტელლ უკრავს სიმებიანი ორკესტრი

ისევ ეკრანზე „მეჟრაბპომ-რუსის“ საუკეთესო სურათი

პროცესი სამ მილიონზე უკრავს სიმებიანი ორკესტრი

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 7 დეკემბერს, მეორეჯერ **მაზეპა**

ა. ციხენვალის დადგმით.

მონაწილეობს სპრიშევსკაია, დამსახურებული მსახიობი ხაიბიცკაია, კანცბურგი, გორელოვი, მესნიაევი.

დირიჟორი სტოლერმანი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს **აიდა**

მზადდება დასადგმელად **თამარ ცბიერი**

ნ. 314

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1925 წ. 1 ივნისის სავალო გადასახადის შემოუტანლობის გამო, უოფ.

თბილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებში

დ-გირავებული ქალ. თბილისში, თელავში, ახალციხეში, ცხინვალში, ახალქალაქში, დუშეთში, სურამში, შაუმიანში, ხაშურში, სიღნაღში, მანგლისში, და კოჯორში

მდებარე, მამულნი დანიშნულნი არიან ამა 1926 წლის 29 დეკემბრის თარიღით

საჯარო ვაჭრობის წესით გასაყიდათ ქალ. თბილისში, ბანკის ბინაზე (პუშკინის ქუჩა № 3). ამ პირველ ვაჭრობის დროს გაუყიდავათ დარჩენილი მამულები გაყიდულნი იქნებიან მეორე და საბოლოო საჯარო ვაჭრობით 1927 წლის 17 იანვარს იმავე ბანკის ბინაზე. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, მსურველმა, სავალო გადასახადთა გარდა, უნდა შემოიტანოს ბანკის სალაროში ქალაქის, სახელმწიფო და სხვა ყველა გადასახადნი; თავნი ვალის ნაშთი და ვადაგადადებული გადასახადები მყიდველს შეუძლია თავის სახელზე გადაიტანოს. გასაყიდათ დანიშნულ მამულთა სია, დაწვრილებითი ცნობებით, გამოკრულ იქნება როგორც ბანკისა და მის განყოფილებათა დარბაზებში, აგრეთვე სხვა თვალსაჩინო ადგილებში.

ნ. 307

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

სამანიშვილის დედინაცვალი

რეჟისორები: ქ. მარჯანიშვილი, ზ. ბერიშვილი

ოპერატორი ვ. ენბელსი. ნ. 316

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს.

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი საყოველთაოდ აცხადებს, რომ საშემოსავლო გადასახადის ა. წ. 24 სექტემბრის დებულებით გათვალისწინებულ ს.ს.რ.კ. ფინსახკომის მიერ ა. წ. 11 ოქტომბერს დამტკიცებულ ს.ს.რ. კავშირის ადგილების ზოლებათ დაყოფის განრიგის თანახმად, ქ. თბილისის მიკუთვნებულია პირველ ზოლს, ბათომი, ქუთაისი და თბილისი მაზრა—მეორე ზოლს, საქართველოს რესპუბლიკის ყველა დანარჩენი ქალაქები და ქალაქის სამოსახლო ადგილები, ავტონომიური ნაწილებით, და ქალაქის გარეუბნები—მესამე ზოლს და დანარჩენი ადგილები მეოთხე ზოლს.

საქართველოს ფინანსთა სახალხო
კომისარის მოადგილე -- ფანცხავა.

გადასახადთა განყოფილების
მმართველი—ბეზირგანიშვილი.

ნ. 315

გორის უბნის სახ. სასამ. ალმასრ. ბ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 8 დეკემბერს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში დანიშნულია მოქ. ალექსანდრე პლატონის-ძე ძაბილონის ქონების **საჯარო ვაჭრობა** ქონება შეიცავს სხვადასხვა მაგარ სასმელებს, ღვინის კასრებს, მაგიდებს, ხარს და სხვას სულ შეფასებულ 159—50 კ. ვალის სანაზღაუროთ ვასილ მუჩაიძისა თანახმად გორის უბნის სახ. სასამ. ალმასრ. ფურც. 30 ოქტ. 1926 წ. № 2690. ნ. 318

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს ალმასრულებელი ძოძუაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 10 დეკემბ. 1926 წ. დღის 12 ს., სახლში № 4 ყაზბეგის 1-ლი ჩიხი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ლევან ჩიგნავერიანის მოძრავ ქონებას: გარდეროობს, ინგ. კრაოტებს, შკაფს, კომოდს, ძვ. სტ. ტრიუმოს, საწერ მაგიდას და სხვ. შეფასებულს 225 მანეთად, მოქ. თადეოზ ბერუჩევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის პირველი სახალხო სასამართლოსაგან 20 ოქტ. 1926 წ. თარიღით, № 4983 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 828

УНДЕРВУД

малый и на развернутый лист и АРИФМОМЕТР продается. Улица Клары Цеткин (б. Елизаветинская) № 146, кв. 7, 3-ий этаж с 4—5 ч. № 836

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო

სწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურგანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.

მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1

ქვ. 788

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღებ. დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 5

სახელმწიფო უნივერსიტეტის

კბილის სნეულებათა

კლინიკაში

პლეხანოვის პროსპექტი № 1'6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

ექიმი

მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

25—

მ დიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ყველასათვის ხელმისაწვდომი

სამშობიარო თავშესაფარი

ს. ივ. არარატოვისა

რესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. საშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი ა. დ. შახბაზიან

ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

განაახლა ავადმყოფების მიღება

ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ლიზა ალიაშვილია სახელზე, ჩ. გ. 830

დავკარგე პარტიის საწევრო ბილეთი № 491340 განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო ბილეთი № 19280 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური დარგის პირადობის მოწმობა ეფრემ ვასილისძე ვაწაძის სახელზე, ჩ. გ. 833

დავკარგე თამასუქი 50 მანეთის გიორგი გიორგისძე ონიკოვის სახელზე, ჩ. გ. 831

დავკარგე სიღნაღის განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ირაკლი იოსებისძე მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 834

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1769 ირაკლი ნასიძის სახელზე, ჩ. გ. 837

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1599 ოლღა ნიკოლაძის ასული ჯანოაშვილის სახელზე, ჩ. გ. 829

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 14948 თამარა ე. ჩოხელის სახელზე, ჩ. გ. 827

დავკარგე პასპორტი ვანო ლეონტისძე სალარაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 317

დავკარგე ნამსახურობის ნუსხა № 1904, პირადი წიგნაკი № 1058 და კომკავშირის წიგნაკი № 12958 დიმიტრი იაკოვლევის სახელზე, ჩ. გ. ნ. 317

დავკარგე თბილისის კომ. ბანკის ქუთ. განყოფილებაში შეძენილი ერთი აქცია № 9. ღირებული (53) მანეთად ივანე არსენისძე ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 317

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 987 ვანო კოლუაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 317

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.